PRIME Time

N14 (264) ორშაბათი, 14 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

საბურძანიას პროტეჟე - ირაკლი ალასანია

„არავითარი დანიშვნა ირაკლი ალასანიასი არ მომხდარა, მისი დანიშვნა მხოლოდ ჩემი ინიციატივა იყო“ EXCLUSIVE

რა მოხდა კლუბ „სენატში“

„თუ რაიმე მცირე ინციდენტი ხდება, ამის მოგვარებას კლუბი ადგილობრივი რესურსით ახერხებს“ EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ ექსკლუზივი - EXCLUSIVE

რისი ეშინია და რატომ არ სურს საუბარი ჟვანიას ცხედრის გამკვეთ სანიტარს?!

მერაბიშვილის ორმაგი თამაში

EXCLUSIVE

სად გაქრა მერაბიშვილი ნაციონალური პოლიტიკიდან?

რამდენიმე შტრიხი ლევან ვასაძის რაინდობიდან

მთაწმინდიდან ტიტულებამდე

EXCLUSIVE

უუნარო განათლების სამინისტრო და დაუმორჩილებელი 53-ე სკოლა

რა ბედი ელით მე-12 კლასელებს და პედაგოგებს იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი სკოლაში აკადემიურ წელს გამოაცხადებს?!

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

რატომ ახსენებს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის გვარს გარდაცვლილი სულიკო ასათიანის ვაჟი

„პირდაპირ გეტყვით: სააკაშვილი რომ ამბობდა, 26 მაისს არ ვიცოდი, ეს ადამიანები მკვდრები თუ იყვნენო, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მამაჩემი 26 მაისს, უკვე გარდაცვლილი, შავი ჯიპით წაიყვანა პროზექტურაში კუდ-ის ორმა თანამშრომელმა“

„მამაჩემს თითები ჰქონდა დამტვრეული მარცხენა ხელზე, ცაცია იყო. ყელი გამოჭრილი ჰქონდა, თუმცა ამაზე მითხრეს, ექსპერტიზის მიერ გაკვეთის კვალიაო. ვერაფერს გეტყვით... თვალი ჰქონდა ჩავარდნილი, თავი – გაჩეჩქვილი, სასტიკად იყო ნაწამები“

EXCLUSIVE

X FACTOR-ი იწყება

თამთა გოდუაძე: „შეიძლება ვიღაცას სტილის გამო არ მოვწონდე, მაგრამ ეს დიდად არ მანაღვლებს“

კვესიტაძის „განსხვავებული აქცენტები“ და რამიშვილის ეგზოტიკური შოუ

„ეს იქნება ამ გადაცემის „ნოუჰაუ“. ჩვენ ზოოპარკთან გვაქვს მოლაპარაკებები და ყოველ გადაცემაში ახალ-ახალი ცხოველი იქნება წარმოდგენილი“ EXCLUSIVE

საკაშვილის პირადი დაცვა ლაფანყურის სპეცოპერაციაზე ალაპარაკდა

EXCLUSIVE

„დამევალა, ორმხრივი ცეცხლის გახსნის დროს ტერორისტების ლიკვიდაცია მომეხდინა“

EXCLUSIVE

გეგმა, რომელზეც გიორგაძემ უარი თქვა, შესაძლოა, ოქრუაშვილმა გამოიყენოს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა საკადრო ცვლილებები მზადდება მთავრობაში



ვინ შეინარჩუნებს მინისტრის პორტფელს?

სალომე გოგოხია

სავარაუდოდ, თვითმმართველობის არჩევნების შედეგ, მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდება. კულუარებში ამაზე საუბარი უკვე მიმდინარეობს და რამდენიმე მინისტრის ვინაობასაც ასახელებენ. თუმცა, მმართველი გუნდი ამ თემაზე ღიად საუბარს გაურბის. სამაგიეროდ, პირად საუბრებში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას ადასტურებენ.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, საუბარია განათლების და მეცნიერების, ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა და განსახლების, იუსტიციის და კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრებზე.

ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გურამ ოდიშარიას მინისტრობით უკმაყოფილებაზე ირიბი მინიშნება ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სტუმრობისას გააკეთა, როცა განაცხადა, რომ ოდიშარიას აკლია გამოცდილება, აკლია გადაწყვეტილების მიღების დროულობა.

რაც შეეხება განათლების მინისტრს, თამარ სანიკიძის მოსალოდნელ შეცვლაზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიძინა ივანიშვილსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის „შავმა კატამ გაირბინა“. ცნობილია, რომ სანიკიძე პრეზიდენტის კადრია. მინისტრის პოსტზე ოფიციალურად დანიშვნისთანავე სანიკიძემ, პირველივე გადაწყვეტილებით, რესპუბლიკელებს დაარტყა და მინისტრის მოადგილედ მომუშავე დავით ზურაბიშვილი გაათავისუფლა. ასევე, დაითხოვა დანარჩენი ორი მოადგილეც.

ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა სანიკიძის მაშინდელ პრინციპულობას ხაზი გაუსვა და მინისტრს „კერკეტი კაკალი“ უწოდა.

რაც შეეხება დავით დარახველიძეს, მის მინისტრად დანიშვნას, იმთავითვე, ოპოზიციის მკვეთრი წინააღმდეგობა მოჰყვა. ოპონენტები მას ხშირად ახსენებენ წინასაარჩევნოდ გაკეთებულ რასისტულ განცხადებას. ასევე, დარახველიძის მინისტრობას უკავშირდება გავრცელებული ხმები დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემას გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ამის შესახებ თავად დარახველიძემაც ისაუბრა არა ერთ სატელევიზიო გადაცემებში, რომ აქვს ინფორმაცია, სამინისტროში მომუშავე კონკრეტული პირები დევნილებს გარკვეული თანხის სანაცვლოდ ბინებს ჰპირდებიან. თუმცა, კონკრეტული ქმედება მისი მხრიდან არ განხორციელებულა. ბუნებრივია, ეს მის ავტორიტეტზე დადებითად ვერ იმოქმედებს.

ბოლო დროს იუსტიციის მინისტრის მიმართ მედიაში არასახარბიელო ინფორმაციები იბეჭდება. ერთ-ერთი ვერსია, რაც მის მოსალოდნელ გათავისუფლებას უკავშირდება, კეზერაშვილის საქმეა. გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთის მხარეს სამინისტრომ არასაკმარისი მასალები მიაწოდა, რაც, საბოლოო ჯამში, იმით დასრულდა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ქართულ მხარეს არ გადმოსცეს.

მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე ინფორმაცია საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა სერგო რატიანმა დაგვიდასტურა. მისი თქმით, თეორიულად ამაზე საუბარი მიმდინარეობს, თუმცა, ზუსტი პროგნოზის გაკეთება უჭირს.

ექსპერტები პოლიტიკის საკითხებში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავენ.

ყოფილი პრემიერის ყოფილი მრჩეველი, გია ხუხაშვილი ამბობს, რომ მთავრობაში იციან რაც სჭირდებათ.

ნარმანიას შემცვლელი რომ უნდა დაინიშნოს ეს გადაწყვეტილია. მთავრობაში უკეთ იციან რა სჭირდებათ - შიდა გადაჯგუფება, უფრო მეტი ყურადღება, სუსტების მოცილება და უფრო ეფექტური ხალხის მოყვანა, - ეს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს“,- აცხადებს ხუხაშვილი.

მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილიც.

„გამორიცხული არ არის, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობაში ცვლილებები განხორციელდეს. არა მხოლოდ საკადრო ცვლილებების მქონე პროცესი, არამედ გარკვეული საფუძველი იმისა, რომ მკაფიოდ გავაცნობიეროთ ვინ ვისით შეიცვლება და ეს გადაწყვეტილება ვის უნდა მივაკუთვნოთ. მუდმივი ტრაბახის თემა, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ, არჩევნების მერე პრიორიტეტული არ იქნება“. - ამბობს ცისკარიშვილი.

კონკრეტულად რა კომპონენტით მოხდება ამა თუ იმ მინისტრის შეცვლა-დათხოვნა, ამაზე ცალსახად საუბარი ცისკარიშვილს ერთი მიზეზის გამო უჭირს.

„სჯობს დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და გავაკეთოთ ანალიზი, რა ხდება ხელისუფლებაში, ვიდრე საკუთარი ვარაუდებით და პროგნოზებით დავძაბოთ სიტუაცია, რომელსაც ისედეც არ აკლია დაძაბულობა“. - დასძინა ცისკარიშვილმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაბეღლავის“ უპირატესობა სწორედ მის ბუნებრივ გამორჩეულობაშია

თეა ხომერიკი

წყალი აუცილებელია ადამიანის ყოველდღიურობაში, როგორც ორგანიზმის სიცოცხლის აუცილებლობისათვის, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც.

და მაინც, რა სარგებლობა მოაქვს წყალს, რამდენი ლიტრი ან ჭიქა უნდა მიიღოს ადამიანმა დღე-ღამის განმავლობაში, და თუ გადაავიწყდა ან უარი თქვა მასზე, ან სულაც არ ინდომებს, რა პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს ამ ფაქტმა...

სპეციალისტების განმარტებით, ადამიანის ორგანიზმის 70 პროცენტი წყალს უჭირავს. წყალი იოლად ცივდება, და ასევე იოლად ცხელდება, ამ პროცესით წყალი ადამიანის ორგანიზმს აღჭურვავს სითბური თვითღირებულების საუკეთესო რეჟიმით. წყალი საუკეთესო გამხსნელია. მისივე მეშვეობით რეგულირდება სხეულის ტემპერატურა, სტაბილურდება ცხოველმყოფელობის პროცესები, მიეწოდება უჯრედებს საკუთარი და აუცილებელი საკვები ნივთიერებები, გამოიყოფა მარილები და მავნე ნაერთები და სხვა.

კომპანია „ნაბეღლავის“ ლაბორატორიის გამგე დალი დოლიძე აღნიშნავს, სასიცოცხლო ფუნქციები რომ არ მოიშალოს, წყალი ადამიანმა დღე-ღამეში არა უმცირეს 1.5ლ და უფრო მეტიც 2-3ლ-მდე უნდა მიიღოს. (თუ, რა თქმა უნდა, არ აქვს ისეთი დაავადება, რომლის დროსაც სითხის შეზღუდვა აუცილებელია).

„ზედმეტი რაოდენობის წყლის დაკარგვა ორგანიზმში არასასურველ შედეგს იწვევს. მაგალითად, 10 პროცენტი წყლის დაკარგვისას ვითარდება ჰალუცინაციები, 12 პროცენტი წყლის დაკარგვისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია სამედიცინო დახმარების გარეშე, ხოლო 12 პროცენტზე მეტი წყლის დაკარგვისას სისხლი სქელდება, ძნელდება სისხლძარღვებში მისი მიმოქცევა, რამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს“, – მიაჩნიათ კომპანიის სპეციალისტებს.

ცნობისთვის, „ნაბეღლავის“ მინერალური წყლის საბადო კურორტ ნაბეღლავის ტერიტორიაზე, მდ. გუბაზეულის ხეობაში, ზღვის დონიდან 450-475 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ნაბეღლავის წყარო 1905 წელს აღმოაჩინეს, გადმოცემის თანახმად, გურიის ხელუხლებელი ბუნების წიაღში, ადგილობრივ მოსახლეობას ყურადღება მიუქცევია ერთ-ერთი წყაროსთვის, რომელსაც ხარები ეტანებოდნენ; სწორედ ამ წყალს აღმოაჩნდა განსაკუთრებული გემო და გამორჩეული სამკურნალო თვისებები. ნაბეღლავის მინერალური წყლის საბადო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში იქნა შესწავლილი, ცნობილი ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ.

თავდაპირველად, წყლის ქიმიური შემადგენლობა, 1921 წელს, საქართველოში მოღვაწე ლატვიელმა მკვლევარმა რობერტ კუპცისმა შეისწავლა, 1930-იან წლებში კი წყლის საბადოზე ჰიდროგეოლოგიური კვლევები ჩატარდა, გამოჩენილი ქართველი და სხვა საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელობით. ამავე პერიოდში მეცნიერულად დადგინდა მინერალური წყლის ქიმიური მახასიათებლები - ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი შემადგენლობა და ნახშირმჟავა გაზის შემცველობა.

წყლის სამკურნალო თვისებების მეცნიერულად დადგენის შემდეგ, ნაბეღლავში პანსიონატი ამოქმედდა და მას კურორტის სტატუსიც მიენიჭა.

სპეციალისტები ასევე გვირჩევენ მინერალური წლის მიღებასაც და მის განსხვავებულობაზეც საუბრობენ. მინერალური წყლის განსხვავებულობას კი მისი შემადგენლობა განაპირობებს.

„მინერალური წყალიც ბუნებრივია, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებას მათი შემადგენელი მინერალები განსაზღვრავს. მაგალითად, „ნაბეღლავის“ უპირატესობა სწორედ მის ბუნებრივ გამორჩეულობაშია. ის თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით სხვა მინერალური წყლებისაგან გამოირჩევა. სიღრმისეული წიაღიდან ჭაბურღილებით მიღებული მინერალური წყალი სხვა წინასწარ დამუშავებას და დასუფთავებას არ საჭიროებს. მხოლოდ იფილტრება და ნახშირორჟანგის გაზი ემატება. არის რიგი შემადგენელი იონებისა, სხვა წყლებისგან განსხვავებით, რის გამოც „ნაბეღლავის“ მინერალურ წყალს სასმელად მსუბუქ მინერალურ წყალს უწოდებს მომხმარებელი. „ნაბეღლავი“ ასევე სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულთათვის. არეგულირებს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და სხვა“.

მნიშვნელოვანია, რომ „ნაბეღლავი“ არის ბუნებრივი ნახშირორჟანგით გამდიდრებული, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი სუფრის წყალი. „ნაბეღლავის“ მინერალური წყლის საბადო მდებარეობს კურორტ ნაბეღლავის ტერიტორიაზე და სახელიც ადგილწარმოშობის შესაბამისად ეწოდა. სასიამოვნო გემოს გარდა ყურადღებას იმსახურებს უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებების გამო; ამასთან, მისი მოხმარება შეიძლება შეუზღუდავი რაოდენობით, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის. „ნაბეღლავის“ სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის განმენდას მავნე ნივთიერებებისაგან და მის გამდიდრებას აუცილებელი მინერალებით.

- ქ-ნო დალი, მინერალური წყლები სავაჭრო ქსელში შუშისა და პლასტმასის ბოთლებში გვხდება. კარგავენ თუ არა ისინი საკუთარ ბუნებრივ ღირებულებებს?

- „ნაბეღლავი“ ისხმება შუშის და პლასტმასის ბოთლებში დახუფული სახით. შენახვის მიზნით წყალს ემატება ნახშირორჟანგი – CO_2, რომელიც ქიმიაში მშრალი ყინულის სახითაა ცნობილი. ამის გამო ყველა ქიმიური რეაქცია გაჩერებულია და მინერალური წყალი არ კარგავს თავის თვისებებს. დასავლეთ საქართველოს მტკნარი წყლები რბილი წყლებია, არ არის ხისტი. მთის წყლები, მით უმეტეს „ნაბეღლავის“ შემთხვევაში, მინერალურ შრეებში გავლის შემდეგ იღებენ მინერალიზაციას და სასმელად სასიამოვნო მისაღებია. ესეც შეიძლება იყოს მისი გამორჩეულობის ერთ-ერთი საფუძველი.

კომპანიის წარმომადგენელი აქცენტს აკეთებს ბუნებრივ წყაროს წყალზეც, რომელიც ონკანის წყლისგან განსხვავდება და მის უპირატესობაზეც მიანიშნებს: **„მთის ბუნებრივი წყალი არის სუფთა, ნიადაგიდან ამომდინარე ცივი წყალი, რის გამოც მიკრობების გამრავლება ნაკლებად ხდება. ონკანის წყალი კი შეიძლება იყოს მთის მდინარეებისა და ზღვის გაფილტვრის და დამუშავების შემდეგ მიღებული. თუმცა ორივე შემთხვევაში ეს წყაროს წყალი იქნება თუ ონკანის, მისი მიღება აუცილებელია“.**

„ბახმარო -კავკასიური წყარო“ მთების წიაღში დაბადებული, ბუნებრივი ჟანგბადით მდიდარი წყალია და არაჩვეულებრივი რბილი გემოთი ხასიათდება. ბახმაროს წყაროს სათავე ქარხნიდან 1,5 კმ მოშორებით მდებარეობს და წყალი მილსადენით მიეწოდება ქარხანას, სადაც ფილტრაციის რამდენიმე ეტაპს გადის და ამავე დროს არ იცვლება მისი პირველადი ქიმიური შემადგენლობა. „ბახმარო“ მიეკუთვნება დაბალმინერალიზებული წყლების ტიპს, მდიდარია ჟანგბადით და pH-ის იდეალური მაჩვენებელი აქვს: 7.5.

„მაგთიკომის“ ინიციატივით ქართველი მოქანდაკისა და მხატვრის, ბიძინა ავალიშვილის ნამუშევართა ალბომი გამოიცა

რამდენიმე დღის წინ, „მაგთი კლუბში“, გამოჩენილი ქართველი მოქანდაკისა და საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ბიძინა ავალიშვილის ნამუშევრების ალბომის პრეზენტაცია მოეწყო. ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი „მაგთიკომი“ გახლდათ.

ქართული კულტურის პოპულარიზაცია „მაგთიკომის“ ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. რიგით მეცამეტე ალბომი, რომელიც ქართული ხელოვანების უკვდავყოფას მიეძღვნა, სწორედ ამ კომპანიის ინიციატივითა და სპონსორობით გამოიცა. 160 გვერდიანი, მაღალპოლიგრაფიული გამოცემა, მიწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ.

მანანა ავალიშვილი, ბიძინა ავალიშვილის შვილიშვილი: „ეს არის პირველი ალბომი, სადაც პაპაჩემის ყველა ნამუშევარმა მოიყარა თავი. მანამდე იყო პატარა ბროშურები, მაგრამ ასეთი მასშტაბური კატალოგი არ ყოფილა. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „მაგთიკომს“, რომელმაც ბიძინა ავალიშვილი ამ ალბომით კიდევ ერთხელ გააცოცხლა. მთელი საქართველო შემოიარა ფოტოგრაფმა გია ჩხატარაშვილმა და გადაიღო მისი ქანდაკებები, ძეგლები... ალბომზე დართულია დათო ანდრიაძისა და ოთარ მიმინოშვილის წერილები. გამოცემაზე მუშაობა დაახლოებით 6 თვე მიმდინარეობდა და კიდევ ერთხელ, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა ასეთ დიდ საქმეში“.

„მან იღვაწა იმისთვის, რომ ხეში და ქვაში გადაეტანა ქართველთა გენიოსების: ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის - გამოჩენილი ქართველი მეცნიერების: ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი შანიძისა და სხვათა სულისა და სხეულის სიძლიერე“, - წერს პროფესორი, ოთარ მიმინოშვილი.

ბიძინა ავალიშვილი პიროვნებებს ძერწავდა ხეში, ქვაში, ბრინჯაოში... და როგორც მსახიობს, არაერთხელ შეეძლო ერთი და იმავე გმირის განსახიერება: ასე უბრუნდებოდა ის ვაჟასა და გალაკტიონს, ოღონდ ყოველ მომდევნო ვარიანტს აუმჯობესებდა. მის ქანდაკებებში იგრძნობა დიდოსტატის მკლავის ძალა, მის მიერ შექმნილი პორტრეტები ყველასგან გამოირჩევა სახის ნაკვთებით, სხეულის კუნთების ხაზგასმით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და ესთეტიზმით.

შეგახსენებთ, რომ „მაგთიკომის“ ხელშეწყობით უკვე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმუნდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილისა და ემირ ბურჯანაძის ნამუშევართა ალბომები. როგორც „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, თათული ღვინიაშვილი ამბობს, კომპანია მომავალშიც არა ერთ საინტერესო სიურპრიზს უმზადებს საზოგადოებას.

თათული ღვინიაშვილი: „ეს არის „მაგთიკომისთვის“ რიგით მეცამეტე გამოცემა. ამჯერად გამოიცა მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის ნამუშევრების ალბომი, რომელზეც, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი და შრომატევადი მუშაობა მიმდინარეობდა. ეს იმ დიდი საქმის გაგრძელებაა, რასაც „მაგთიკომისთვის“ ქართული საქმის კეთება ჰქვია. ნამდვილად ქართული საქმის კეთებაა, როდესაც მომავალ თაობას საშუალებას აძლევს გაეცნონ და აღიზარდონ ეროვნულ ღირებულებებზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით, წინ კიდევ ძალიან ბევრი შემოქმედის ალბომი გველოდება“. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოძიება 26 მაისის საქმის

● ექსჰუმაციის შედეგები...
● სატელევიზიო კადრების
● ექსპერტიზა...
მოწმეები... დაზიანებები...

რატომ აცხადებს ექსპრ
გვარს გარდაცვლილი ს

მარიამ ნადირაძე

იმ დაძაბულ ფონზე, როდესაც ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დასჯის კომპეტენციამ პროკურატურისა და სასამართლოს შენობებიდან ქუჩებში გადაინაცვლა, ნებისმიერი იმ სისხლის სამართლის საქმის წამოწევა, რომლის ობიექტური გამოძიების მოლოდინით ხელისუფლება შეიცვალა, ისევ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესის წისქვილზე ასხამს წყალს. მთავარი თეზისი – „ქვეყანაში პოლიტიკური დევნა დაიწყო“ – მოძებნილია. ამის შემდეგ კი ნებისმიერი ფაქტი, იქნება ეს რომელიმე ნაციონალისთვის კვერცხის სროლა, სახეში გალაწუნება, ბრალის წაყენება, დაკითხვაზე დაბარება, თუ განაჩენის დაყენება – ერთ ქვაბში იხარშება. ამ ქვაბს კი ისევ და ისევ პოლიტიკური ანგარიშსწორება ერქმევა სახელად. ეს იმ დროს, როდესაც ძველმაც და ახალმა ხელისუფლებამაც ყველაზე კარგად იციან, ერთი მხრივ, რატომ წავიდნენ... მეორე მხრივ კი – რატომ მოვიდნენ ხელისუფლებაში. მილიონმა ადამიანმა ხმა მკვლელობების, დარბევების, წამებების, წართმეული საკუთრების, ტერორისა და ძალადობის ფაქტების ობიექტურად გამოძიების მოლოდინს დაუჭირა მხარი. მათ კი დღესაც ცნობილი მანევრით პასუხობენ – სამართლიანობის აღდგენას რომ ელოდი, დღესაც უსამართლობაში ცხოვრობ, რადგან შენ რომ დამნაშავე გეგონა, სწორედ იმ ადამიანებთან აქვს გამოძიებას კითხვებიო...

ერთი სიტყვით, რას გაუგებ „ნაციონალურ ლოგიკას“?.. თუმცა, ფაქტია, რომ, თუ ვერ გაუგებ, დაზომბდები მაინც და ეს უკვე მავანისთვის საქმეთა საქმეა.

ასეა თუ ისე, სულ მალე კიდევ ერთი ამბავი შეიძლება აფეთქდეს და რაკი სტრატეგია უკვე ნაცნობი და განსაზღვრულია, ჩვენს მკითხველს ამ ამბის დეტალების შესახებ მოვუყვებით.

საქმე 2011 წლის 26 მაისს მიტინგის დარბევას შეეხება. ამ საქმეზე შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი სამსახურებრივი მუხლით უკვე იხდის სასჯელს. მას სასამართლომ 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. თუმცა, როგორც ჩანს, პროკურატურა ამაზე შეჩერებას არ აპირებს. როგორც შევიტყვეთ, ის მალე დასკვნით ფაზაში გადაიყვანს 27 მაისს მაღაზიის სახურავზე აღმოჩენილი გარდაცვლილი სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძის გარდაცვალების მიზეზების დადგენისთვის მიმდინარე გამოძიებას.

ამასობაში კი ცნობილი ხდება, რომ ცხედრების ექსჰუმაციის შედეგად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა უკვე დაიწერა. ექსპერტებმა ცხედრები სხვადასხვა ადგილას შეისწავლეს. მისი განცხადებით, ერთი გარდაცვლილის ცხედარს ექსპერტიზა ქუთაისში ცხაკაიას სახელობის საავადმყოფოში ჩაუტარდა, მეორეს კი – თბილისში, ღუდუშაურის ინსტიტუტში. დიდი ალბათობით, ეს დასკვნა აქამდე ცნობილ ვერსიას იმის შესახებ, რომ თითქოს ეს ადამიანები მაღალი ძაბვის სადენზე დენის დარტყმით გარდაიცვალნენ, ყირაზე დააყენებს.

თუმცა, სანამ ამის შესახებ ექსპერტ ალეკო გეჯაძესთან საუბარს შემოგთავაზებდეთ, ჯერ ვნახოთ, რას უმხელს „პრაიმტაიმს“ იმ მაღაზიის მფლობელი და სისხლის სამართლის საქმის ერთერთი მთავარი მოწმე, ოლეგ ჟვანია.

თავის დროზე, ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში ის გვიამბობდა: „26 მაისს რაც მოხდა, კარგად იცით... როცა სახურავზე ამიყვანეს და კაბელი მაჩვენეს, მაშინვე გავაპროტესტე, ამისთვის ბევრი არგუმენტი მქონდა. ბოლოს და ბოლოს, 2 დღის განმავლობაში მაღაზია დენის გაუთიშველად მუშაობდა. მაგის გარდა, კაბელი გადაჭრილი იყო ბასრი საგნით, პრიალებდა კაბელი. თანაც ეს კაბელი ადრე ქვემოთ ეგდო და მათ ჰქონდათ ამოტანილი სახლის სახურავზე. ბოლოს იმ პოლიციელებმა მითხრეს, ყველაფერი ვიცით, მაგრამ მთავრობას ხომ არ ჩამოვკიდებთ ამ სირცხვილს, როგორმე უნდა ჩამოვწეროთ ეს საქმეო. შემომთავაზეს, თქვით, რომ დაზიანებული კაბელის შესახებ შეატყობინეთ თელასს. ამის გამო არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ, რადგან „თელასის“ თანამშრომლებთან უკვე შეთანხმებულები ვართ, თქვან, რომ გამოძახების მიუხედავად, არ გამოცხადდნენ, სამაგიეროდ კი საამურ მომავალს მპირდებოდნენ. მერე უკვე ღიად მითხრეს, ასეა საჭირო, ამ ხნის კაცი ხარ, სახელმწიფო ხედვა უნდა გქონდესო... როცა ამ ყველაფერზე ისევ უარი განვაცხადე, დამიწყეს ჯიკაობა – ხელი მკრეს, მეც ხელი ვკარი და ა.შ... როცა იქიდან წამოვედი, „პიონერთა სასახლის“ შიგნით ეზოში უკვე სხვები დამხვდნენ, შავი მანქანით. უფრო ხანშიშესულები, სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ. მანქანაში არ ჩავმჯდარვარ, ისინი გადმოვიდნენ. უფრო კორექტულად ვილაპარაკეთ, დაფიქრდით, ასეა საჭიროო და ისევ მიმეორებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი ხედვა უნდა მქონოდა. შევთავაზე, მოწმედ სხვა მოენახათ, მე კი ერთადერთი, რაც შემეძლო, გამეკეთებინა, ხმა არ ამომეღო და არ ჩავრეულიყავი არაფერში“. ეს ჩვენება **ოლეგ ჟვანიამ** სამჯერ მისცა პროკურატურას:

– ბოლოს როდის გქონდათ პროკურატურასთან შეხება?

– დაახლოებით 2-3 თვის წინათ.

– ჩვენებაზე დაგიბარეს?

– კი.

– ეს მერამდენე ჩვენება იყო?

– მესამე.

– დამატებითი კითხვები ჰქონდათ?

– ასეთიც იყო, მაგრამ ძირითადად მეკითხებოდნენ, ხომ არ გავიგე რამე, ვინ შემოდო ის გარდაცვლილები სახურავზე. ბოლოს რომ ისევ ეს მკითხეს, ძალიან გავნერვიულდი და გამომძიებელს ვეჩხუბე. ბოლოს დათო საგანელიძე იყო ჩემთან მოსული და იმან წამიყვანა პროკურატურაში.

– დათო საგანელიძე რა შუაში იყო?

– აინტერესებდა, ამდენ ხანს რატომ არ ჰქონდა შედეგი ამ საქმის გამოძიებას. მან მოითხოვა, რომ კიდევ დავეკითხე დამატებით.

„პირდაპირ გეტყვით: სააკაშვილი რომ ამბობდა, 26 მაისს არ ვიცოდი, ეს ადამიანები მკვდრები თუ იყვნენო, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მამაჩემი 26 მაისს, უკვე გარდაცვლილი, შავი ჯიპით წაიყვანა პროზექტურაში კუდ-ის ორმა თანამშრომელმა“

– რამე ახალი გქონდათ სათქმელი?

– არა, ისევ ძველი ჩვენება გავიმეორე და წამოვედი... მეტიც, ჩემი საქმე მოვიკითხე, რაზეც დაპატიმრებული ვიყავი და მითხრეს, თქვენი საქმე დაიკარგა, არსად არ იძებნებაო.

– ბოლოს რომ მიხვედით, რა მოხდა, მომიყევით...

– არაფრით განსხვავდებოდა წინა დაკითხვებისგან. აბსოლუტურად იგივე ჩვენება... იგივე კითხვები... განსხვავებული მხოლოდ ის იყო, რომ მკითხეს, ვინ დამკითხა მათზე ადრე...

– აინტერესებდათ, ვინ დაგკითხათ ამ საქმის გარშემო სააკაშვილის ხელისუფლების დროს?

– მაშინაც და ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც.

– რა აინტერესებდათ?

– ეჭვი გამიჩნდა, რომ არკვევდნენ, ხომ არ იყო დამალული ჩემი ჩვენება წინამორბედის მიერ და ყველა დაკითხვა დაფიქსირებული ჰქონდა თუ არა.

– აინტერესებდათ, რამდენად კეთილსინდისიერი იყო არჩილ კბილაშვილის დროს პროკურატურა?

– მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, აინტერესებდათ, ყველა ოქმი არის თუ არა საქმეში. როცა ეს საუბარი შედგა, მაშინ მთავარი პროკურორი ჯერ დანიშნული არ იყო და ფარცხალაძის გადადგომის შემდეგ მოვალეობას ირაკლი შოთაძე ასრულებდა.

საქმის გამოძიებას, რომ სხვა ჯგუფი ჩაუდგა სათავეში, ამას გარდაცვლილი სულიკო ასათიანის ვაჟიც ადასტურებს, თუმცა, ამის შესახებ მოგვიანებით.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, დავით საგანელიძისგანაც მიეღო კომენტარი, მაგრამ ის საქართველოში არ იმყოფებოდა...

როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ექსპერტმა ალეკო გეჯაძემ ცხედრების ექსჰუმაციის შემდეგ ხელახალი ექსპერტიზის დასკვნა უკვე დადო, „პრაიმტაიმი“ მას დაუკავშირდა:

– გამოძიება მიმდინარეობს. სასამართლო პროცესზე ჯერ დაკითხული არ ვარ ამ ნაწილში. შესაბამისად, გამოძიებას ხელი რომ არ შეეშალოს, ბუნებრივია, ამ ინფორმაციას დეტალებში ვერ მოგცემთ. თუმცა, იმის თქმის რესურსი და უფლება მაქვს, რომ არსებითად შეგვიძალა ხელი რბილი ქსოვილების ლპობითმა პროცესებმა. ამის მიუხედავად, გარკვეულწილად სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით ჩვენ დავდეთ კითხვის ნიშნები. ამ კითხვის ნიშნებს შეისწავლის საგამოძიებო ნაწილი და, ალბათ, მიიღებს შესაბამის ადეკვატურ გადაწყვეტილებას. მეტს ვერაფერს გეტყვით.

– ამ დასკვნამ შეიძლება შეცვალოს აქამდე ცნობილი ვერსია მათი გარდაცვალების შესახებ?

– ჩვენ ძალიან საინტერესო კითხვები დავდეთ გამოძიების წინაშე ჩატარებული კვლევისა და მასალების შესწავლით – არა მარტო გვამის, არამედ საქმის მასალების შესწავლით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სხვა დამატებითი გამოკვლევის არჩატარების ინფორმაციის გამოაშკარავებით, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა სიკვდილის რეალურ მიზეზზე მსჯელობისთვის. ჩვენ დავდეთ კითხვის ნიშნები და ვთქვით, რომ დენით გარდაცვალებასთან მიმართებაში ჩვენ ამ ვერდიქტს ვერ გავიზიარებთ.

– რატომ ვერ გაიზიარებთ?

– ამაზე პასუხს ჯერ ვერ მოგცემთ.

– შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენი დასკვნის მიხედვით, ძველი ვერსია სიკვდილის მიზეზის შესახებ, არ დასტურდება?

– ... კითხვის ნიშნის ქვეშ დგება...

– ბატონო ალეკო, როდესაც ცნობილია, რომ ისინი დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალნენ, რატომ დადგა დღის წესრიგში ექსჰუმაცია? აქ ხომ ტყვია არ არის, რომ 3 წლის შემდეგ, ლპობითი პროცესების მიუხედავად, მაინც მიიღოს ექსპერტმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია?

– სწორედ ლპობის გამო, შეიძლება უშუალოდ სიკვდილის მიზეზი ვერ დაადგინო, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით საქმეში არსებული მასალებით, აქამდე არსებული მიზეზი შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს გამოძიებამ.

– ამბობთ, რომ ეჭვები სხვა მასალებით გაგიჩნდათ და არა ექსჰუმაციის შედეგად?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დასკვნით ეტაპზე გადადის

„მამაჩემს თითები ჰქონდა დამტვრეული მარცხენა ხელზე, ცაცია იყო. ყელი გამოჭრილი ჰქონდა, თუმცა ამაზე მითხრეს, ექსპერტიზის მიერ გაკვეთის კვალიაო. ვერაფერს გეტყვით... თვალი ჰქონდა ჩავარდნილი, თავი – გაჩეჩქვილი, სასტიკად იყო ნაწამები“

ეზიდენტ სააკაშვილის ულიკო ასათიანის ვაჟი



ნიკოლოზ კვინტრაძე (მიტინგზე) ნიკოლოზ კვინტრაძე (პროზექტურა)

– დიახ.

– ექსჰუმაციამ არაფერი ინფორმაცია არ მოგცათ?

– ვერ გეტყვით, ამ ეტაპზე.

– ექსჰუმაცია ოჯახმა გთხოვათ?

– არა, როგორ გეკადრებათ. ეს ჩატარდა მთავარი პროკურატურის ოფიციალური დადგენილებით ჩვენი ცენტრის მიერ.

– თქვენ იმიტომ მოგმართეს, რომ პირველადი დასკვნა, რომლის მიმართაც ეჭვები არსებობდა, სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიურომ ჩაატარა?

– დიახ. ბუნებრივია, აღარ ენდობოდნენ.

თუმცა, როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, პროკურატურა არათუ არ ენდობა ძველი ექსპერტიზის დასკვნას, ამ ექსპერტიზის მასალები საერთოდ გამქრალია სისხლის სამართლის გამოძიების საქმიდან. ამ თემას ერთ-ერთი გარდაცვლილის ვაჟთან ინტერვიუშიც შევეხებით. მანამდე კი ცოტა რამ იმ საეჭვო გარემოებების შესახებ, რაც აქამდე პერიოდულად მჟღავნდებოდა:

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ცხედარი თავისუფლების მოედანზე, მაღაზიის სახურავზე იპოვეს და შსს-მ მყისიერად გამოთქვა ვარაუდი, რომ ორივენი მაღალი ძაბვის სადენებს ემსხვერპლა. შესაძლოა, ეს ვერსია დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება – გაუგებარია, როგორ მოახერხეს ბორკილებდადებულმა ადამიანებმა სახურავზე ასვლა?

კვინტრაძის მეგობარმა, ავთანდილ რეხვიაშვილმა დაადასტურა, რომ კვინტრაძეს 26 მაისის დარბევის ღამეს ხელები ჰქონდა შეკრული. რეხვიაშვილის თქმით, სამართალდამცველებმა კვინტრაძეს ხელბორკილები დაადეს, რის შემდეგაც ის ერთ-ერთ სამმართველოში გადაიყვანეს და სწორედ აქედან იკარგება მისი კვალი.

მოგვიანებით ტელეგადაცემა „კვირის რეპორტაჟმა“ გაავრცელა 26 მაისის აქციის დარბევის კადრი, რომელზეც კვინტრაძე რამდენიმე დასისხლიანებულ მამაკაცთან ერთად ასფალტზე პირქვედამხობილი წევს და ხელებზე ბორკილი აქვს დადებული. ნიკა კვინტრაძის მამა შვილის ცხედრის პოვნიდან მეორე დღეს გულის შეტევით გარდაიცვალა. ოჯახი წლების განმავლობაში დუმილს ამჯობინებდა.

ალეკო გეჯაძე

რაც შეეხება სულიკო ასათიანს, რომლის ცხედარიც კვინტრაძის ცხედრის გვერდით იყო აღმოჩენილი, თვითმხილველთა თქმით, ისიც სპეცრაზმელების მსხვერპლი გახდა. ვანელი სულიკო ასათიანის შვილი 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა. მიხეილ სააკაშვილმა გარდაცვლილი გორგასლის ორდენით დააჯილდოვა და ორდენი პირადად გადასცა ან უკვე გარდაცვლილ სულიკო ასათიანს.

გავრცელდა სულიკო ასათიანის ნაცნობის ინტერვიუც, რომლის ვინაობასაც, ალბათ, გარკვეული ობიექტური მოსაზრებების გამო, ჟურნალისტი მალავს: „არ მოველოდით, რომ ასე სასტიკად გაგვისწორდებოდნენ, გაქცევაც ვერ მოვასწარით. ისე გამეტებით გვირტყამდნენ ხელჯოხებს, რომ სულიკოს თავი გაუჩეჩქვეს. ის მიწაზე ეგდო და ხელბორკილი ედო, თუმცა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ, ის თვალთახედვიდან დავკარგე და ამის შემდეგ, ცოცხალი არ მინახავს. როგორც ჩანს, დასისხლიანებულმა მაინც მოახერხა გაქცევა, მაგრამ სახურავზე როგორ აღმოჩნდა, არ ვიცი. შესაძლოა, იქ თავად სპეცრაზმელებმა აიყვანეს და დაადგეს, რადგან თავი ისე ჰქონდა გახეთქილი, ალბათ, სისხლისგანაც დაიცალა“.

სამი წლის წინათ საია-მაც ასევე მოიპოვა მოწმის ახსნა-განმარტება (მისი ვინაობაც, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება), რომელიც 26 მაისს აქციის დაშლის დროს მოსწავლე ახალგაზრდობის

პაატა ასათიანი

სასახლეში იმალებოდა და 26 მაისს, დილით, ეს ტერიტორია სწორედ ამ მარკეტის სახურავიდან დატოვა. თავის ახსნა-განმარტებაში მოწმე აღნიშნავს, რომ ამ ადგილას მას არავის გვამი არ უნახავს.

ხელისუფლებამ ამ ორი ადამიანის გარდაცვალების შესახებ განცხადება 27 მაისს გააკეთა და დააკონკრეტა, რომ სწორედ ამ დღეს იპოვეს მათი ცხედრები.

თუმცა, ამ „აღმოჩენასთან“ დაკავშირებითაც ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვანდობს სულიკო ასათიანის ვაჟი, პაატა ასათიანი:

– პირდაპირ გეტყვით: სააკაშვილი რომ ამბობდა, 26 მაისს არ ვიცოდი, ეს ადამიანები მკვდრები თუ იყვნენო, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მამაჩემი 26 მაისს, უკვე გარდაცვლილი, შავი ჯიპით წაიყვანა პროზექტურაში კუდ-ის ორმა თანამშრომელმა.

– მარტო მამათქვენი, თუ ნიკა კვინტრაძეც?

– მარტო მამაჩემი...

– ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც მამათქვენი პროზექტურაში მიიყვანა?

– სწორედ მათ ვინაობას ადგენს ახლა გამოძიება. პროკურატურაში საიდუმლოდ მითხრეს, რომ მალე დასკვნით ეტაპზე გადავლენ. დიდი იმედი მაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რა მოხდა რეალურად, მით უმეტეს, რომ ამას პირადად დაჰპირდა ჩემს ოჯახს ბიძინა ივანიშვილი.

– არჩევნებამდე?

– დიახ, არჩევნებამდე.

– რატომ შეგეპარათ ეჭვი, რომ მამათქვენი დენის დარტყმით არ გარდაიცვლებოდა?

– მამაჩემს თითები ჰქონდა დამტვრეული მარცხენა ხელზე, ცაცია იყო. ყელი გამოჭრილი ჰქონდა, თუმცა ამაზე მითხრეს, ექსპერტიზის მიერ გაკვეთის კვალიაო. ვერაფერს გეტყვით... თვალი ჰქონდა ჩავარდნილი, თავი – გაჩეჩქვილი, სასტიკად იყო ნაწამები.

– საერთოდ, რატომ დადგა დღის წესრიგში ცხედრის ექსჰუმაცია?

– უნდა შეედარებინათ ძველი ექსპერტიზის ანალიზებზე. აღმოჩნდა, რომ ძველი ანალიზები საერთოდ განადგურებული იყო.

– ვერ იპოვეს?

– განა ვერ იპოვეს, გაანადგურეს.

– ექსჰუმაცია თქვენ მოითხოვეთ, თუ გამოძიებამ ჩათვალა საჭიროდ?

– ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ მამაჩემი დენით არ იყო გარდაცვლილი და ვითხოვდით ექსჰუმაციას. ამის გამო მემუქრებოდნენ, გაჩუმდი, თორემ მამაშენს მიყვებიო.

– ვინ გემუქრებოდათ?

– ეს იყო დეპუტატი, რომლის დაკითხვასაც ვითხოვ და ჯერაც არ დაკითხულა, პაატა ლეჟავა. ის უშიშროების წარმომადგენლებთან ერთად დადიოდა ჩვენთან ოჯახში და მეუბნებოდა, რომ, თუ არ გავჩერდებოდი, მამაჩემის ბედს გავიზიარებდი.

– რატომ არ დაკითხეს აქამდე?

– გამომძიებელი ახლა შეიცვალა. წინა გამომძიებელს რომ ვეკითხებოდი ამის შესახებ, მეუბნებოდა, ეს ჩვენ ვიცითო... მითხრა, ყველაფერზე ყვირიან, პოლიტიკური დაჭერები მიდისო და არ გვინდა ესეც საბაბად გავუხადოთო... არადა, პაატა ლეჟავა ჩემამდე მამაჩემს ემუქრებოდა, თუ არ გაჩერდები, შენს თავს დააბრალე, რაც მოგივაო.

– რა იყო ამ მუქარის საფუძველი?

– მამაჩემი ოპოზიციაში იყო. ადგილობრივ არჩევნებშიც მონაწილეობდა, ერთ-ერთი კანდიდატი იყო ჩვენს რაიონში... რატომ უნდა გამოვრიცხო, რომ ის პაატა ლეჟავას დავალებით მოკლეს?

პაატა ლეჟავა:

– პაატა ასათიანის ჩვენების საფუძველზე პროკურატურაში დაკითხვაზე ხომ არ დაუბარებიხართ?

– არა, არ დავუბარებივართ. პაატა ასათიანს, რომ ჩემ მიმართ პრეტენზიები აქვს, პირველად თქვენგან მესმის. მე მათთან არავითარი შეხება არ მქონია, გარდა იმისა, რომ ამ ოჯახის თხოვნით, დედამისს ორჯერ შევხვდი მხოლოდ.

– რატომ ითხოვდნენ თქვენთან შეხვედრას?

– ოჯახი მშიერი დარჩა, გვიჭირსო – ხან რა სჭირდებოდათ და ხან – რა... ერთხელაც არ გამოუთქვამთ რამე პრეტენზია.

– პაატა ასათიანი აცხადებს, რომ თქვენ ჯერ – მის მამას, მისი გარდაცვალების შემდეგ კი შვილს ემუქრებოდით...

– საერთოდ, არ ვიცნობდი, თვალითაც არ მყავდა ნანახი, თუ ძალიან გაინტერესებთ. და ვერც ვერავინ დაადასტურებს იმას, რომ მე ამ ადამიანს ვიცნობდი, ან შენახვედრი ვიყავი...

– რას ამბობთ, თქვენს რაიონში ის ადგილობრივ არჩევნებშიც იყრიდა კენჭს...

– ადგილობრივ არჩევნებში უამრავი ადამიანი იყრიდა კენჭს და ყველას ხომ არ ვიცნობ სახეზე?

– ფიქრობთ, რომ ამ საქმეში უდანაშაულო ხართ და პროკურატურა თქვენით არ დაინტერესდება?

– ამ ხელისუფლებისგან ვერაფერს გამოვრიცხავ, აბსურდზეც აგებენ საქმეებს. თუმცა ფაქტია, რომ მათ მტკიცებულება ვერ ექნებათ.

პაატა ლეჟავა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ერთი კვირის განმავლობაში ზევრჯერ მოგვიწია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია“

39 წლის მერაბ ქარჩხაძემ თვითმკვლელობა მას შემდეგ დაგეგმა, როცა საკუთარი შესაძლებლობების ყველა რესურსი ამოწურა. გადაწყვეტილებაზე ზუსტად ორი დღე იფიქრა და შვილის ოპერაციისთვის საჭირო ფულის შეგროვების სხვა ალტერნატივა ვერ დაინახა. მეუღლე მეზობელთან გაუშვა და თავი საკუთარ ეზოში, საკუთარი ხელით გაკეთებულ ვენახის ხეივანზე ჩამოიხრჩო...

მერაბ ქარჩხაძე

13 წლის ირინას ოპერაცია სწორედ ამ უბედური შემთხვევის შემდეგ გაუკეთდა. სადაზღვევო კომპანია დღეს ირწმუნება, საკუთარი პროცედურების მიხედვით ვმოქმედებდით და უარის თქმა არც გვიფიქრიაო, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის უარის თქმის უფლება სადაზღვევოს არ ჰქონდა. თუმცა ფაქტია, თვითმკვლელობამდე მერაბ ქარჩხაძემ და მისმა მეუღლემ დასახმარებლად არაერთხელ მიმართეს და ყოველ ჯერზე პასუხად უარს იღებდნენ.

ირინამ ლავინის ძვალი მეგობრის დაბადების დღეზე, ცეკვისას მოიტეხა. აუტანელი ტკივილების გამო, გოგონა დედამ მეორე დილითვე წაიყვანა ქუთაისის საავადმყოფოში. საყოველთაო დაზღვევის უმწეოთა პროგრამაში ყოფნის მიუხედავად, დედა-შვილს ქუთაისი-ვანის საავადმყოფოებში ზუსტად ერთი კვირის განმავლობაში ამისამართებდნენ. საბოლოოდ მოტეხილობაც დაუდგინდა, თუმცა მკურნალმა ექიმმა ოპერაცია რატომღაც გადაუდებელ აუცილებლობად არ ჩათვალა და სახლში გაუშვა. აუტანელი ტკივილების გამო ირინასთვის სასწრაფოს გამოძახება ორჯერ დასჭირდათ. სასწრაფოს ექიმიც გამაყუჩებლის გაკეთებით დროებით უჩერებდა ბავშვს ტკივილს. ამ პერიოდის განმავლობაში მერაბ ქარჩხაძე ჯერ საავადმყოფოებში ცდილობდა გამოსავლის პოვნას, მოგვიანებით კი, ფულის შეგროვება გადაწყვიტა და დასახმარებლად ნათესავებს მიმართა. ირინას ოპერაციისთვის ზუსტად 2 ათასი ლარი იყო საჭირო.

ლია ქარჩხაძე, დაღუპულის მეუღლე:

– ბავშვი იყო ამხანაგის დაბადების დღეზე, ცეკვის დროს დაეცა იატაკზე, ეს მოხდა 18 მარტს. არ მეგონა, მოტეხილობა თუ ჰქონდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც წავედით ქუთაისში. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ბევრჯერ მოგვინია ქუთაისში ჩასვლა, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია. როდესაც ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო. ოპერაცია გაუკეთდა ხუთი დღის შემდეგ, ანუ ორ აპრილს. თავიდან, როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში.

– რა მიზეზით გაგიშვეს უკან?

– არ ვიცი, არაფერი არ აუხსნიათ, უბრალოდ, გვითხრეს, აქ არ უნდა მოსულიყავითო.

– ვანში რა გითხრეს?

– ვანში ოპერაციები არ კეთდება, არ არის საჭირო აღჭურვილობა.

– ახლა როგორ არის ირინა?

– ახლა კარგად არის უკვე. ყველაფერი გაუკეთდა.

– მეუღლეზე გვითხარით, როდის მოიკლა თავი?

– ჩემმა მეუღლემ თავი 21 მარტს მოიკლა.

– ანუ ირინას ოპერაცია მას შემდეგ დაუფინანსეს, რაც თქვენმა მეუღლემ თავი მოიკლა?

– დიახ, ასე გამოვიდა. ჩემმა ქმარმა თავი რომ მოიკლა, შემდეგ გაუკეთეს ირინას ოპერაცია. ჩემი მეუღლე ძალიან ნერვიულობდა, რომ ბავშვს ვერაფერს ვუკეთებდით. იმ დღეს, სანამ თავს მოიკლავდა, საღამოს 10 საათი იქნებოდა, მითხრა, გადადი მეზობელთან, ილაპარაკე და ცოტა ხანში გადმოდიო. არ მივდიოდი, მაგრამ დამაძალა. ალბათ, სულ 20 წუთი ვიყავი გასული სახლიდან. როცა დაბრუნდი, უკვე კარგად ბნელოდა და დავინახე ეზოში, ვენახის ტალავერზე რაღაც იყო ჩამოკიდებული. შორიდან ვერ გავარკვიე, რა იყო, შემეშინდა და მეზობელს დავუძახე. მეზობელი გადმოვიდა და ერთად ვნახეთ, რომ ჩემი მეუღლე ეკიდა თოკზე. უკვე დაღუპული იყო...

– მანამდე არ მიმართეთ ან გამგეობას, ან ჯანდაცვის სამინისტროს?

– დავდიოდით ქუთაისისა და ვანის საავადმყოფოებში, მაგრამ არც ერთის მხრიდან იმედისმომცემს არაფერს გვეუბნებოდნენ. დაღუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო. მანამდე ნათესავებსაც დავურეკეთ მოსკოვში, ყველას ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ არავინ დაგვეხმარა.

მერაბ ქარჩხაძის დაკრძალვიდან ზუსტად მესამე დღეს ირინა და დედამისი ქუთაისის „ჯეოჰოსპიტალის“ საავადმყოფოში მოათავსეს და მეოთხე დღეს ბავშვს ოპერაცია გაუკეთდა. თუმცა სასწრაფოს ექიმმა პირველივე გამოძახებისას დაადასტურა, რომ გოგონას გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა.

ნაირა კიკაბიძე, სასწრაფოს ექიმი:

– მე როცა გამომიძახეს, ბავშვი უკვე ნამყოფი იყო ქუთაისის საავადმყოფოში. მწვავე ტკივილების გამო მოხდა ჩვენი გამოძახება, ჩვენ ადგილიდან დავრეკეთ „ჯიპიაიაში“, ვთხოვეთ, იქნებ როგორმე დააფინანსოთ დროულად-თქო, თუმცა პასუხი იყო, რომ ათი დღე მაინც უნდა გავიდესო. ძვლის მოტეხილობა იყო. რატომ არ დააფინანსა სადაზღვევომ, არ ვიცი. ბავშვს საშინელი ტკივილები ჰქონდა. გავუყუჩეთ და წამოვედით. ჩვენს სასწრაფოს ქუთაისში გადაყვანის უფლება არ აქვს, შესაბამისად, ჩვენ მეტის გაკეთების უფლება არც გვქონდა.

– თქვენი გამოძახების დროს ბავშვის მამა სახლში იმყოფებოდა?

– კი, მამა იქ დაგვხვდა, ძალიან ნერვიულობდა, განიცდიდა. ჩვენი წამოსვლიდან ორი დღის შემდეგ გავიგეთ, რომ თავი მოუკლავს ბავშვის მამას. ამაზე მთელი ვანი ლაპარაკობდა.

ირინა ქარჩხაძე „ჯიპიაიის“ უმწეოთა დაზღვევის პროგრამაში იყო. შესაბამისად, სადაზღვევოს არანაირი უფლება არ ჰქონდა, ოპერაციაზე უარი ეთქვა. თუმცა კომპანია აცხადებს, რომ მომართვაში არ იყო მითითებული გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა. ამით „ჯიპიაიაი“ საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს და სრულ პასუხისმგებლობას ვანის სასწრაფო დახმარების ცენტრს აკისრებს. სასწრაფო დახმარების ცენტის ხელმძღვანელის, მაკა ზარნაძის განცხადებით, ქარჩხაძეების ოჯახმა სასწრაფო დახმარება პირველად 20 მარტს გამოიძახა და სწორედ ამ დღეს შევსებულ ბარათზე დეტალურად წერია მორიგე ექიმის მიმართვა „ჯიპიაიის“ მიმართ – რაც შეიძლება დროულად გაუკეთდეს გოგონას ლავინის ძვლის ოპერაცია.

მაკა ზარნაძე, ვანის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მენეჯერი:

– 20 მარტს გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა, ტკივილის გამო. მივიდა ბრიგადა ადგილზე, დახმარება აღმოუჩინა, მოახდინა ტკივილის გაყუჩება და შესთავაზა საავადმყოფოში გადაყვანა. პატრონისგან მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ ქუთაისის საავადმყოფოში ბავშვი სწორედ წინა დღით ჰყავდათ. ოჯახი ელოდებოდა დაფინანსებას სადაზღვევოსგან. სასწრაფოს მისია და მისი ჩართულობა ამ საქმეში იყო მხოლოდ ეს. ჩვენ მეტი შეხება ამ საქმესთან არ



როგორ მუშაობს სადაზღვევო კომპანია უმწეოთათვის და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ვანში მომხდარ ტრაგედიაზე

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

„ჯიპიაის“ მხრიდან 2 000 ლარის დაზოგვის გამო, მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამის ტრაგედია

ადგილი, სადაც მერაბ ქარჩხაძემ თავი მოიკლა

„როდესაც სადაზღვევო კომპანიაში მივედით, გვითხრეს, არასწორად ხართ მოსულებიო და უკან გამოგვაბრუნეს. გაგვიშვეს ვანში“



„დალუპვიდან ერთი დღით ადრე ჩემმა მეუღლემ შვილს უთხრა, ნუ გეშინია, მამიკო, იმედები არ არის, მაგრამ ჩემი გასვენების ფულით ოპერაციას მაინც გაგიკეთებო“

ირინე ქარჩხაძე

„როდესაც ოჯახმა უარი განგიცხადათ საავადმყოფოში გადაყვანაზე, ხელწერილის დაწერა არ მოსთხოვეთ?

– არა, რადგან სასწრაფო გამოძახებული იყო ტკივილის გასაყუჩებლად. ანუ ოჯახს იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ ტკივილგამაყუჩებელი ეყიდა.

– სასწრაფოს ექიმს არ დაუდგენია, რომ ბავშვს გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებოდა?

– სასწრაფოს ექიმი არ ადგენს, გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება თუ არა პაციენტს. გარდა ამისა, ექიმმა ბავშვის დედისგან მიიღო ინფორმაცია, რომ წინა დღეს იყვნენ საავადმყოფოში, გადაღებული ჰქონდათ რენტგენი და ხელში ექჭირათ პასუხიც. ისინი, უბრალოდ, დაფინანსებას ელოდებოდნენ. მე ექიმსაც ველაპარაკე და მითხრა, რომ მან ბარათში დეტალურად ჩაწერა, როგორ მოიქცა: ადგილზე მისულმა ექიმმა დაურეკა „ჯიპიაის“ წარმომადგენელს, ასევე დარეკა სამინისტროს ცხელ ხაზზე და შეატყობინა აღნიშნული ფაქტის შესახებ, მიუთითა, რომ წამლის ზემოქმედების გავლის შემდეგ ბავშვს კვლავ დაეწყებოდა ტკივილები, ამიტომ თხოვნით მიმართა სადაზღვევოს, რომ იქნებ ოპერაცია დაეჩქარებინათ. ეს ყველაფერი დეტალურად აქვს მითითებული ბრიგადის ექიმს ბარათზე.

რეალურად კი, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, „ჯიპიაი“ შეეცადა, ზედმეტი ხარჯები თავიდან აეცილებინა, რადგან მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან კომპანია უმწეოთა დაზღვევის პროგრამიდან საერთოდ გადიოდა. ანუ მისი მოვალეობის შესრულების ამოწურვამდე სულ ათიოდე დღე იყო დარჩენილი. 2 ათასი ლარის დაზოგვის გამო საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადა, იმ მიზნით, რომ იგივე ვალდებულებას პირველი აპრილიდან უკვე სახელმწიფო აიღებდა. თუმცა კომპანიას უარის თქმის უფლება არ ჰქონდა.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაიმ“ თავდაპირველად კომენტარზე უარი განაცხადა. მოგვიანებით კი განცხადება გაავრცელეს, სადაც დაწვრილებით ხსნიან საკუთარ ნაბიჯებს: „ირინა ქარჩხაძე დაზღვეულია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. ირინას ოჯახმა გეგმური ოპერაციის მოთხოვნით მოგვმართა 2014 წლის 19 მარტს. საქმე ეხებოდა მოტეხილობის მკურნალობას და კლინიკისგან იყო მომართვა არა გადაუდებელ, არამედ გეგმურ ოპერაციაზე, რადგან სამედიცინო თვალსაზრისით საჭირო იყო ქსოვილების შეშუპების ჩაცხრობა ოპერაციის ჩატარებამდე. კომპანიის მიერ უმოკლეს ვადაში გაიცა საგარანტიო მოთხოვნილი თანხის 100%-ით დაფინანსებაზე. საგარანტიოს საფუძველზე დაზღვეულს ოპერაცია ჩაუტარდა 30 მარტს ქუთაისის ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში და ამჟამად გაწერილია ბინაზე. ოჯახს რაიმე სახის პრეტენზიით არც ოპერაციის ჩატარებამდე და არც შემდეგ ჩვენთვის არ მოუმართავს“.

მართალია, ქარჩხაძეების ოჯახს არც ჯანდაცვის სამინისტროსთვის მიუმართავს დაფინანსების თხოვნით და არც საჩივარი დაუწერია „ჯიპიაის“ სახელზე, მაგრამ ფაქტია, მერაბ ქარჩხაძის თვითმკვლელობის შემდეგ გოგონას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და დღეს ის უკვე ჯანმრთელია, თუმცა დაობლებული...

აღნიშნული ფაქტით ვანის პოლიციის სამართველო დაინტერესდა და რამდენიმე დღის წინ სასწრაფოს ექიმი, რომელიც ირინა ქარჩხაძის გამოძახებაზე იმყოფებოდა, დაიკითხა.

ნაირა კიკაბიძე, ვანის სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმი:

– დაკითხვაზე წამიყვანეს, დეტალურად გამომკითხეს, რა მოხდა იმ დღეს, როდესაც ჩვენ ირინე ქარჩხაძის გამოძახებაზე ვიმყოფებოდით. ყველაფერი დეტალურად მოვყევი. ვუთხარი, რომ ჩვენ ვნახეთ ბავშვი და მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამამ თავი მოიკლა. ეს ყველამ იცოდა, თუმცა დეტალები მე ნამდვილად არ ვიცოდი. მითხრეს, რომ მეტჯერ აღარ მომიწევს სამმართველოში მისვლა.

ნაირა კიკაბიძე დაკითხვაზე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

„ექიმებმა გასინჯეს, არ ჩაუწერიათ, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხაბურძანიას პროტეკ

ვალერი ხაბურძ „კორუფცია უშიშროებაში, ერთნაირად ვაგებთ პასუხს მეც და ალასანიაც“

ქეთი ხატიაშვილი

ვალერი ხაბურძანია ირაკლი ალასანიას მოუწოდებს, უჩივლოს „პრაიმტაიმს“ იმ წერილის გამო, რომელიც გაზეთში მის შესახებ დაიბეჭდა. უშიშროების ექსმინისტრის განმარტებით, ალასანია, უბრალოდ, ვალდებულია, „ბრალდებებს“ უპასუხოს.

ამ პუბლიკაციას თავად ხაბურძანია მოსკოვიდან გამოეხმაურა. ის არ ეთანხმება „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ მოსაზრებას, თითქოს 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს შევარდნაძეს უღალატა, უშიშროების მაშინდელი მინისტრი ირაკლი ალასანიასაც გამოექომაგა და მაშინდელი მოვლენები გაიხსენა.

ვალერი ხაბურძანია დარწმუნებულია, რომ ალასანია, ისევე როგორც ბურჯანაძე, ამერიკელების პროექტია.

ალასანია-ხაბურძანიას პროექტი

ვალერი ხაბურძანია ადასტურებს, რომ სერიოზული გავლენები ჰქონდა კრემლში. თანაც იმდენად სერიოზული, რომ ერთხელ შევარდნაძის თხოვნით გადარეკა და პუტინის მისაღებში მჯდარი ასლან აბაშიძე პუტინმა აღარ მიიღო. ანუ დაბლოკა. თუმცა, იქვე ამბობს, რომ პუტინის ფავორიტი არ ყოფილა და რომ ეს ისტორია სააკაშვილმა მოიგონა.

ვალერი ხაბურძანია იხსენებს, რომ უშიშროების საბჭოდან ალასანია საკუთარი ინიციატივით ნამოიყვანა და პირველი მოადგილეობა ჩააბარა. ვალერი ხაბურძანია დარწმუნებულია, რომ ალასანიას მაშინაც და ახლაც ამერიკელები ლობირებენ. მისი თქმით, თავადაც ამ ნიშნით შეარჩია და გადმოიყვანა საბჭოდან სამინისტროში:

– თქვენს წერილში ირაკლი ალასანიას ამერიკული მოღვაწეობა მთლიანად ამოღებულია. ისეა წარმოჩენილი, თითქოს მას კონტრაბანდასთან ჰქონდა შეხება... არანაირი კავშირი არ ჰქონია. ის სულ სხვა შეხედულებებისა და აზრის კაცია.

ირაკლი ალასანიას ვურჩევ, ან პასუხი გასცეს ამას ყველაფერს, ან სასამართლოში იჩივლოს. აქ მისი დუმილი სწორი აღარ იქნება. ეს პოლიტიკოსის ტაქტიკა აღარ არის. მას, როგორც თავდაცვის მინისტრს, სერიოზულ ბრალდებებს უყენებთ.

არავითარი დანიშვნა ირაკლი ალასანიასი არ მომხდარა, მისი დანიშვნა მხოლოდ ჩემი ინიციატივა იყო:

ირაკლი ალასანია მუშაობდა უშიშროების საბჭოში ჩემს ყოფილ ადგილზე. მას ამერიკელები, შევარდნაძესთან ერთად, დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელად ამზადებდნენ. ეს თანამდებობა მაშინ ავთო იოსელიანს ეკავა. ავთო იოსელიანით, როგორც მაქვს ინფორმაცია, არც ამერიკელები და არც შევარდნაძე კმაყოფილნი არ იყვნენ.

როცა უშიშროების მინისტრად დავინიშნე, მოადგილეები დავნიშნე და ერთადერთი პირველი მოადგილის ადგილი იყო თავისუფალი. ვეძებდი კანდიდატურას. გამოცდილება უკვე მქონდა, უშიშროების საბჭოშიც ვიყავი ნამუშევარი და პარლამენტშიც – 6 თვე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნი ვიყავი ძალიან მძიმე საპარლამენტო პერიოდში; ამერიკელებთანაც მქონდა ურთიერთობა. რომ იტყვიან, ჩემით მივხვდი, რომ ირაკლი ალასანია უნდა დამენიშნა. ვიცნობდი ირაკლის. უკვე ის პერიოდია, როცა პანკისის მომზადება დავიწყე. ჩემსა და ირაკლის შორის

„როცა პარლამენტი დაიკავეს და უკვე კრწანისში ვიმყოფებოდით, თავდაცვის მინისტრი მოიკითხა შევარდნაძემ, დაურეკა და იცით, რა უპასუხა? საცოცხებია გზაში და ვერ წამოვალ, სადმე გავიჭედებიო“

სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა. როცა მინისტრი თემას ამზადებდა, უშიშროების საბჭოს აპარატი მას უკვე საბჭოს სხდომაზე გასატანად ამზადებდა და მაშინ მე და ირაკლის მჭიდრო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ირაკლი ჩემი მოღვაწეობით უკმაყოფილო არ იყო, რადგანაც მე ეს ტაბუდადებული თემა – პანკისი დავძარი ადგილიდან.

ჩემი მოადგილეობა ირაკლის თვითონ შევთავაზე. ვუთხარი: ირაკლი, მე ვიცი, რომ დაზვერვისთვის გამზადებენ-მეთქი. მან იუარა, რა თქმა უნდა. ვუთხარი, მე ჩემი ინფორმაცია მაქვს-მეთქი. შევთავაზე პირველი მოადგილეობა. ვუთხარი, უშიშროება უფრო ცოცხალი სამსახურია, საქმეა საკეთებელი, მით უმეტეს, რომ პანკისის თემა უნდა დავიწყო-მეთქი. დიდი სიამოვნებით დამთანხმდა მაშინვე.

შევარდნაძემ რომ გაიგო, ცოტა დაფიქრდა. ვუთხარი, ვიცი, ამზადებთ, მაგრამ ის მკვდარი სამსახურია და მირჩევნია, ჩემთან წავიყვანო-მეთქი. კარგიო, როგორც გინდაო.

ირაკლი იმიტომ შევარჩიე, რომ მას ამერიკელები კარგად უყურებდნენ. მე მას უშიშრობის აკადემიაშიც ვუკითხავდი ლექციებს, ყოველ შემთხვევაში, მის ნაკადს. ვიცოდი, მისი ამერიკული მოღვაწეობის შესახებ, ვიცოდი, როგორ ამზადებდნენ მას ამერიკელები და მეც მაინტერესებდა მისი გამოყენება ქვეყნის სასარგებლოდ.

– მის ამერიკულ მოღვაწეობაზე რა იცით?

– ირაკლი ალასანიამ დაამთავრა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთწლიანი სკოლა. მერე რაღაც ფიზიკური ტრავმა მიიღო ერთ-ერთი ვარჯიშის დროს და ეს კურსები ბოლომდე არ გაუვლია, თუმცა თეორიული ნახილი გაიარა.

– პრაქტიკა არ გაუვლია. ამბობენ, ტყეში პრაქტიკების დროს მიიღო ტრავმაო...

– ჰო, ნუ რა ვიცი, დეტალები არ არის საჭირო...

პანკისი

უშიშროების მინისტრი ამბობს, რომ პანკისის თემაზე პირადად მუშაობდა. დარწმუნებულია, რომ მან პანკისის ხეობა თითქმის განწმინდა, ნარკოტიკებისგანაც კი, თუმცა აღიარებს, რომ მის უწყებაში კორუფცია იყო და მასზე პასუხისმგებელი მინისტრიც იმდენად იყო, რამდენადაც მისი პირველი მოადგილე ირაკლი ალასანია.

– პანკისის თემაზე თვითონ ვმუშაობდი. პანკისში მე თვითონ შევდიოდი და ფარულ შეხვედრებს ვაწყობდი. მაგრამ შეუძლებელი იყო ჩემი 24 საათი პანკისში ყოფნა, ამიტომაც, პირველ ეტაპზე, სანამ ალასანიას დავნიშნავდი, ეს თემა ლაშა ნაცვლიშვილს ჩავაბარე. როცა ალასანია დავნიშნე, ამერიკელებმა ლაშას მიმართ დიდი სიყვარული არ გამოიჩინეს. ვფიქრობდი, ორივე ერთად იმუშავებდნენ პანკისზე, მაგრამ ნაცვლიშვილი არ მოეწონათ. ამერიკელებს საერთოდ ბევრი რამე არ მოსწონდათ. ზოგჯერ უსამართლო და უსაფუძვლო დემარშებს აწყობდნენ და ზოგიერთი მათი დემარში შეურაცხყოფის დონეზე დადიოდა. ასეთ რაღაცებს სხვები ვერ მაკადრებდნენ, რუსები მყავს მხედველობაში, ამერიკელები კადრულობდნენ, ამას პირდაპირ ვამბობ.

სწორედ ჩემს დროს დაიწყო პანკისში წესრიგის დამყარება. სწორედ ჩემს დროს თვითონ პანკისის ხეობაში არც ერთი გატაცება არ მომხდარა. ერთადერთი, პიტერ შოუ იყო და ისიც სულ სხვა ჯგუფმა გაიტაცა, არა ჩეჩნებთან დაკავშირებულმა. რაღაც დამთხვევითობაც იყო და შემთხვევითობაც და ჩვენ ის გავთავისუფლეთ. ზუსტად მაშინ შეწყდა ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა თელავის ბაზარში. შემიძლია გითხრათ, რომ 2002 წლის ზაფხულში პანკისის ხეობა, ფაქტობრივად, განთავისუფლებული იყო. იქ დარჩა რამდენიმე ოდიოზური ფიგურა და რამდენიმე კრიმინალი, რომელიც ტყეში იმალებოდა. რაიმე სერიოზული გატაცება არ ყოფილა. ალასანიას სამი კაცი ჰყავდა გარემოცვაში, მათ შორის იყვნენ დგებუაძე, იგივე „მასტერა“, გაბუნია და გეგეჭკორი. ეს უკანასკნელი დღესაც მისი მოადგილეა. ათასი ჭორი დადიოდა ალასანიაზე, მეც ბევრი ჭორი მომდიოდა. მაგრამ არის ჭორი და არის სიმართლე. ალასანია ძირითადად ამერიკელების დავალებით მუშაობდა. სხვა მიმართულებით მას არაფერი გაუკეთებია... შევარდნაძე დამპირდა, პანკისს თუ მიხედავ, 2 ჰექტარ მინას მოგცემო, მაგრამ მინა კი არა, ერთი ორდენიც არ გამაჩნია. ყველას აქვს ორდენი, ალასანიასაც, მათ შორის; შსს დააჯილდოვეს პანკისის თემაზე თითქმის მთლიანი შემადგენლობით, ჩვენს უწყებას კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დონეზე შეუქმნეს სირთულეები და მთხოვნელის როლში არ გამოვედი, ამიტომაც პანკისის ღონისძიებაზე ჩემი უწყებიდან არავინ დაუჯილდოვებიათ, მათ შორის არც მე, მადლობაც კი არ უთქვამთ.

ხელფასი და კორუფცია

უშიშროების ყოფილმა მინისტრმა გააპროტესტა წერილში მოხსენიებული ხელფასის ის რაოდენობა, რომელიც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ე – ირაკლი ალასანია

შევარდნაძის მინისტრობის დროს ჰქონდათ. მისი თქმით, მინისტრების ჯამაგირი 180 ლარი იყო და არა 45 ლარი, როგორც წერილში იყო მითითებული.

თუმცა, ხაბურძანია ადასტურებს, რომ ეს ხელფასი კორუფციის ეჭვების საბაბს იძლეოდა, მაგრამ იქვე დასძენს, – ასეთივე ხელფასები იყო პარლამენტშიცო.

– 45 ლარი ძალიან უტრირებულია. 180 ლარზე მეტი ხელფასი არავის ჰქონდა. ეს ხელფასი ჰქონდა სააკაშვილსაც და ჟვანიასაც. სისტემა იყო ასეთი. როცა მინისტრი გავხდი, პირველ დღეს სახლში ფეხით წავედი. მანქანა არ იყო. 10 ათასი დოლარი მომცეს ორი კვირის შემდეგ ამერიკელებმა ქეშად და შავად და ოთხფარიან „მერსედესს“ რომ ეძახიან, ისეთი მანქანა მიყიდეს. კორუფციაში ვმონაწილეობდი მეც, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაფერი ფარდობითია. პირდაპირ გეტყვით – საკაშვილზე ბევრად ნაკლებად კორუმპირებული ვიყავი... და ამას ყველგან დავამტკიცებ. მეუბნებიან ხოლმე, კორუფცია იყო სამინისტროში და ეს შენი ბრალი იყო, პანკისში რამე თუ მოგვარდა, ეს ალასანიას დამსახურებაო. ასეთი შეხედულება უსამართლობაა. კორუფცია თუ იყო სამინისტროში, ერთნაირად ვაგებთ პასუხს მეც და ალასანიაც, იმიტომ რომ ალასანია იყო ქალაქის სამმართველოს კურატორი. ირაკლი სულ მეუბნებოდა, კორუფცია, კორუფციაო. მაშინ მივეცი ქალაქის სამმართველო და ვუთხარი: აი, ირაკლი, მოუარე კორუფციას, გაძლევ ყველაფრის უფლებას-მეთქი, მაგრამ ვერ მოუარა. ჩვენ არც ერთ მსხვილ ბიზნესს არ ვმფარველობდით. მსხვილი ბიზნესი იყო სიგარეტი, ნავთობი, იარაღი... არც ერთში არ ვიყავით, ე.წ.ოდეერებიც კი არ გვყავდა წამყვან, მით უმეტეს საფინანსო და სამეურნეო უწყებებში.

კორუფციასთან ბრძოლის თემა აქტიურად 1998 წლიდან დაიწყო და როგორ შეფერხდა, გეტყვით... საჯაიას დროს ამერიკელებმა შევარდნაძეს მოსთხოვეს კორუფციასთან ბრძოლა. საჯაია ამერიკელებმა გაგზავნეს ჰონკონგში და შეისწავლა იმათი გამოცდილება. ჰონკონგში ინგლისელებმა შექმნეს სპეციალური ანტიკორუფციული სამსახური და ეს წარმატებული ვარიანტი აღმოჩნდა. ამერიკელების დაფინანსებით მეც ვიყავი ჰონკონგში და ანტიკორუფციული სამსახურის იურიდიული მხარე შევისწავლე. ჩამოვედი, უშიშროების საბჭოს აპარატში ჩემი ხელმძღვანელობით შევქმენით კანონპროექტი სპეციალური ანტიკორუფციული სამსახურის შესახებ, კანონპროექტი უშიშროების საბჭოში გავიდა, მთავრობამ დაამტკიცა და პარლამენტში ეს კანონი ჩააგდო იცით, ვინ? „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. რატომ უნდა შევაქმნევინოთ საჯაიას რაღაც ჯგუფი, რომელიც ჩვენ დაგვიწყებს ბრძოლასო... წაეკიდნენ ერთმანეთს იუსტიციის მაშინდელი მინისტრი თედო ნინიძე და მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტში ჩააგდეს პროექტი. ჟვანიამ და სააკაშვილმა პროექტი იმიტომ კი არ ჩააგდეს, რომ საჯაია არ გაძლიერებულიყო, არამედ იმიტომ რომ კორუფციასთან ბრძოლა არ დაგვეწყო და ისინი არ დასუსტებულიყვნენ. ეს იყო აქ მთავარი.

ღალატი

ეს არის ის თემა, რომელიც ვალერი ხაბურძანიას ყველაზე მეტად ანუხებს. ის ამბობს, რომ ბოლომდე იდგა შევარდნაძის გვერდით, რომ შევარდნაძემ თავად უღალატა გუნდს, როცა გადადგა და რომ მისი დიდი შეცდომა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენა იყო. ვალერი ხაბურძანიას სურს, ერთხელ და სამუდამოდ დაუსვას წერტილი ამ თემას და ყველა დაარწმუნოს, რომ მაშინდელი ძალოვნებიდან მხოლოდ ის იდგა შევარდნაძის გვერდით ბოლომდე.

– პრეზიდენტის გვერდით ჩემი მოვალეობის ფარგლებში ვიდექი ბოლომდე. როცა პარლამენტი დაიკავეს და უკვე კრწანისში ვიმყოფებოდით, თავდაცვის მინისტრი მოიკითხა შევარდნაძემ, დაურეკა და იცით, რა უპასუხა? საცობებია გზაში და ვერ წამოვალ, სადმე გავიჭედებიო. შევარდნაძე იმ პერიოდში ბოლომდე მენდობოდა რაღაცებში, თუმცა ბევრი რამ ჩემგან არ დაიჯერა. სანამ ეს ამბები დაიწყებოდა და სიები დგებოდა, მე ვურჩიე შევარდნაძეს, ნუ ჩაუდგები სათავეში „მოქალაქეთა კავშირს“-მეთქი. მე ვიყავი მასთან შესული და ვუთხარი, სულხან მოლაშვილი გადადგება და ახალი მოძრაობა შევქმნათ, ახალი სიები შევადგინოთ-მეთქი. შევარდნაძემ არც კი მითხრა და არც არა. ამიტომაც მოლაშვილმა გადადგომა ვერ გაბედა, – რომ ვერ გავიმარჯვოთ, დავიღუპებითო. შევარდნაძემ იმ მძიმე დღეებში ასეთი რამეც მთხოვა: ასლან აბაშიძეა პუტინთან მიღებაზე და დაურეკე პატრუშევს და პუტინმა არ მიიღოსო. გადავურეკე და ეს შეხვედრა არ შემდგარა. იმ არეულობის დღეებში ირაკლი ალასანიასა და ამერიკელების მიმართ შევარდნაძე აგრესიას გამოხატავდა და რუსების მიმართ სიმპათიები შევამჩნიე. კოლინ პაუელს ჩემი ინიციატივით დავალაპარაკე ჩემს მობილურ ტელეფონზე, რუსების ხაზით მე პატრუშევს ვთხოვე და შევარდნაძეს პუტინმაც დაურეკა. მეორე დღეს მითხრა კიდეც შევარდნაძემ ამის შესახებ. ირაკლი ალასანია, სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძესა და ჟვანიას უჭერდა მხარს. მოვიდა და მითხრა, შეიძლება ის გიჟი გავიდესო, სააკაშვილზე თქვა, ამიტომ შენ რას ფიქრობ ბურჯანაძეზეო... ბურჯანაძეს ამერიკელები ამზადებდნენ პრეზიდენტობისთვის... მინდა ყველას გავახსენო; იმ დღეს პარლამენტს შინაგანი ჯარის სამი კორდონი იცავდა. როცა შსს მინისტრი პარლამენტის უკანა მხარეს შეხვდა პარლამენტის ასაღებად დაგეშილ სააკაშვილს, მან სააკაშვილი ვერ დააკავა. მათი წაძიძგილავება დამთავრდა სიტყვებით: მიდი, ბიჭო, ხელი ჩაწიეო. შს მინისტრიც უკვე დაგვიანებით მიხვდა გამოუვალ მდგომარეობას, იქიდანვე გაეცალა სიტუაციას და თავის სამინისტროში წავიდა, ისე, რომ მოვლენების შემდგომ განვითარებაში მონაწილეობა არ მიუღია. სახელმწიფო დაცვამ ვერ გაუძლო ხალხის ნაკადს და ფაქტობრივად დაცვა მოხსნა და ხალხი პარლამენტში შეიჭრა. მე პარლამენტში ვიყავი. ყველანი გაიქცნენ, აჭარის დელეგაციის ნაწილი იბრძოდა ცოტა ხანს, დეპუტატებმა ფეხსაცმელებიც კი დაკარგეს.მე შემრცხვა გაქცევა და უკვე გაღებული დარბაზის კართან მივედი, რომელსაც ფართოდ გაღების მიზნით ამტვრევდნენ, მასასთან წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა.შემდეგში სწორედ იმ ხალხმა, ვინც მდგომარეობა აქამდე მიიყვანეს, შევარდნაძეს უთხრეს, თითქოს კარები მე გავაღე... კრწანისში ჯერ ივანოვი და ლორთქიფანიძე მოვიდნენ, შემდეგ ჟვანია და სააკაშვილი. მე მაშინ პაპაშვილსა და ნარჩემაშვილს ვუთხარი კიდეც: გული მიგრძნობს შევარდნაძე გადადგება და ასე დაგვტოვებს-მეთქი. არაო, ისინი მიმტკიცებდნენ, საიდან ეგ ინფორმაცია, მოსკოვიდან გითხრესო? რა შუაშია მოსკოვი, აგერ ნახავთ, თუ ასე არ მოხდება-მეთქი. მართლაც დახურული შეხვედრა სააკაშვილ-ჟვანიასთან კარგა ხანს გაგრძელდა, გამოვიდა შევარდნაძე და განაცხადა, წავედი სახლშიო. დეტალები რატომღაც გულაჩუყებული და მომტირალი ჟვანიასგან გავიგე.

ადამიანის ყველაზე კარგ თვისებად ბრმა ერთგულება კი არა, მადლიერების გრძნობა მიმაჩნია, ეს გრძნობა ყოველთვის მქონდა და არავისთვის არ გამიცია პასუხი ჩემ მიმართ უსამართლო ბრალდებებსა და შეურაცხყოფაზე, მაგრამ ვინარჩუნებ რა ამ გრძნობას, ახლა მაინც უნდა ვთქვა: სამწუხაროდ, შევარდნაძემ იმის ღირსადაც არ ჩაგვთვალა, მარტო ჩემს თავს არ ვგულისხმობ, ფაქტობრივად, არც ერთი, რომ კონსულტაცია მაინც გაევლო ჩვენთან, რაიმე მაინც ეთქვა, გადადგომას ვაპირებ და ან თქვენთვის რაიმე გარანტიებს მოვითხოვ, ან თუნდაც თქვენვე მიხედეთ თქვენს თავსო. ჩემი დიდი შეცდომა რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენა იყო. გადადგომა არავის არ უნდოდა, არც ფინანსთა მინისტრს, არც შს მინისტრს, მაგრამ გადაყენეს – ხალხი მიუსიეს და აიძულეს, გადამდგარიყო. როგორც ვიცი, ნინო ბურჯანაძეს უნდოდა ჩემი გადაყენებაც და ჩემს ნაცვლად ალასანიას დანიშვნა, თუმცა ახლა მათ ურთიერთობას მეგობრულს ვერ დავარქმევ. თავის ნებით მხოლოდ მენაღარიშვილი და ჯორბენაძე გადადგნენ. მე 45 დღე მქონდა, კანონით, მინისტრად დარჩენის უფლება და მინდოდა, ეს 45 დღე გამომეყენებინა და სამინისტრო გამესუფთავებინა. ჩვენ არ გვქონდა პოლიტიკურ თემებზე მუშაობის უფლება, ფაქტობრივად, არც და ვერც ვმუშაობდით. ვერც ვერაფერი მიპოვეს... ყოველივე ამის შემდეგ რატომ მევალებოდა, შევარდნაძეს პოლიტიკურ სამარეში ჩავყოლოდი? მე მის გვერდით ვიდექი ბოლომდე, თუმცა, მან, გამოვიდა, რომ თავად გვიღალატა ყველას, ვინც მის გვერდით ვიდექით, უბრალოდ შემდეგში ყველამ თავისი ქცევისა და რეალური მოქცევის შესაბამისად მიიღო, უმეტესად უსამართლოდ და ის, რომ მე რეპრესიებში ვერ მომაყოლეს, ჩემი დაძაბული და ღრმადნაფიქრი მოქმედების შედეგია და მეტი არაფერი.

„პირდაპირ გეტყვით – სააკაშვილზე ბევრად ნაკლებად კორუმპირებული ვიყავი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური რე

რამდენი მაღალჩინოსანი დაიჭირა სააკაშვილმა და რამდენი დაუჭირეს მას?

მარიამ ნადირაძე

პოლიტიკური დაჭერები - ეს არის თემა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანებიდან დღემდე სოციალური პრობლემების მოუგვარებლობით გადაღლილი ქვეყნისთვის მთავარი თავშესაქცევი გახდა. ეს პოლიტიკური ძალებისთვის არა მარტო ანგარიშსწორების, არამედ მთავარი პრობლემების გადაფარვის საუკეთესო საშუალებად ჩამოყალიბდა და უკვე ოცწლიანი გამოცდილი ხერხი დღემდე წარმატებით მუშაობს. თუმცა, თუ თვალს დაკვირვებით გადავავლებთ ჩვენს უახლოეს წარსულს, შესაძლოა აღმოვაჩინოთ, რომ ამ თემის პროვოცირებისთვის და ეფექტური შედეგისთვის ხელისუფლებაში ყოფნა სულაც არ არის საჭირო.

ჩვენს მკითხველთა შედარებით წლოვან ნაწილს ეს ყველაფერი კარგად ემახსოვრება, ხოლო მათ, ვისაც არ უნახავს და არც გაუგონია ის, რის შესახებაც დღეს უნდა ვუამბოთ, ობიექტური ანალიზისთვის, ან თუნდაც მისთვის აქამდე უცნობი ინფორმაციის მისაღებად, ვურჩევდით იმ ადამიანების ისტორიებსაც გასცნობოდა, ვისაც წლების წინ იჭერდნენ, დევნიდნენ, დაკითხვაზე იბარებდნენ, ატერორებდნენ, ან სულაც, „წეწავდნენ“.

მერაბ ჟორდანია

მერაბ ადეიშვილი



ასლან აბაშიძე

გია ჭანტურია

ასლან სმირგა

თემურ გასილია

ლევან მამალაძე

საკაკაშვილის ანგარიშსწორება ხალხის სახელით

ასე იყო, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებამ ე.წ. ზვიადისტების დევნა დაიწყო. მაშინ ბევრმა ემიგრაციას შეაფარა თავი, ბევრი კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა...

ათეული წლების შემდეგ, როდესაც მშვიდობიანმა რევოლუციამ შევარდნაძის რეჟიმი დაამხო, იგივე განმეორდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ყოფილი პრეზიდენტი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. რაც შეეხება დანარჩენებს, მათი ბედი სააკაშვილის ხელისუფლებამ ასე „დაწერა“:

2003 წლის დეკემბერში ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორზე, ლევან მამალაძეზე გამოცხადდა ძებნა, ვინაიდან მან რევოლუციისთანავე დატოვა საქართველო. მას ბრალად ოქროს მითვისება და ქონების გამოძალვა ედებოდა. სხვათა შორის, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მამალაძის დაპატიმრება პირადად სააკაშვილის სურვილი იყო, ვინაიდან, ყოფილ თანაგუნდელებს („მოქალაქეთა კავშირში“) ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული ვერ ატანა ჰქონდათ... მალევე, ერთ თვეში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ გაურკვეველ ვითარებაში ლევან მამალაძის ბიძამ საკუთარ ავტოფარეხში მოიკლა თავი. ამ თვითმკვლელობის მიმართ კითხვები დღესაც არსებობს. მაშინ კი ეჭვობდნენ, რომ დავით პაიჭაძის თვითმკვლელობა ბოლო პერიოდში ლევან მამალაძის ნათესავებზე ზეწოლით და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმის დაწყებით იყო პროვოცირებული...

რევოლუციური წლის დეკემბერშივე თბილისის აეროპორტში დაეკავებინა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია. მას სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟორდანიამ 15 იანვარს ბიუჯეტის სასარგებლოდ 742 ათასი ლარი გადაიხადა, რომელიც ნაციონალების მტკიცებით სწორედ ის თანხა იყო, რაც ჟორდანიამ მიითვისა, ის პატიმრობიდან მაშინვე არ გათავისუფლებულა, რადგან, მოგვიანებით, სადავო თანხა 4 მილიონამდე გაიზარდა...

სრულიად თოთო ხელისუფლებამ ხალხის გულის მოსაგებად იერიში სწორედ იმ ფიგურაზე მიიტანა, რომელიც ყველაზე მეტად ასოცირდებოდა კორუფციასთან. სააკაშვილს და მის გუნდს ჩხაიძის ჯიბის სიმძიმე თავადაც ჰქონდა მანამდე მოსინჯული, როდესაც ხელისუფლებას შევარდნაძის და იგივე, კაკო ჩხაიძის გვერდით წლების განმავლობაში წარმოადგენდნენ. ერთი სიტყვით, 2004 წლის 16 იანვარს ის დაიჭირეს. ოფიციალურად მას ბრალი გადასახადების დამალვის მუხლით წაუყენეს. გამოძიება მას 476 ათასი ლარის მითვისებას ედავებოდა. მოგვიანებით კი, თავისუფლების სანაცვლოდ, ბიუჯეტის სასარგებლოდ რამდენიმე მილიონიც გადაახდევინეს და ხალხის აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს...

აკაკი ჩხაიძის დაპატიმრებიდან მეორე დღესვე, 2004 წლის 17 იანვარს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, დავით მირცხულავა, რომელიც მანამდე ავადმყოფობის გამო, ჩვენებების მიცემაზე უარს აცხადებდა. დავით მირცხულავას 6 მილიონი დოლარის მითვისებაში ადანაშაულებდნენ. მან უარი თქვა ფულის გადახდაზე და სასამართლოსგან ათწლიანი პატიმრობაც დაიმსახურა.

თუმცა, 2008 წლის 7 იანვარს, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა, პატრიარქის შუამდგომლობით ის შეიწყალეს.

29 იანვარს დაიჭირეს საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე, ვახტანგ ჩახნაშვილი. მისმა ახლობლებმა 2 თვეში, მისი გათავისუფლების მიზნით ეროვნული ბანკის ანგარიშზე 1 მლნ 350 ათასი დოლარი გადაიხადეს.

2004 წლის 3 თებერვალი: ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი მერაბ ადეიშვილი სახელმწიფო კანცელარიაში დააკავეს. მას ძალაუფლების გადამეტებასა და სახელმწიფო სახსრების მითვისებაში ედებოდა ბრალი. გამოძიება მას ნახევარი მილიონის მითვისებას ედავებოდა, თუმცა მაშინდელი გენერალური პროკურორი, ირაკლი ოქრუაშვილი არ გამორიცხავდა, რომ გამოძიების პროცესში ეს თანხა შეიძლებოდა გაზრდილიყო.

20 თებერვალს აეროპორტში დაიჭირეს ყოფილი პრეზიდენტის სიძე, კომპანია „მაგთიკომის“ დამფუძნებელი გია ჯოხთაბერიძე, რამდენიმე თვის შემდეგ, კონკრეტულად კი აპრილში, ის გაათავისუფლეს. მისი გათავისუფლება ირაკლი ოქრუაშვილმა გააჟღერა და ახსნა, რომ მისმა მეუღლემ, მანანა შევარდნაძემ 15 500 000 დოლარი გადაიხადა. ოქრუაშვილის თქმით, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში მანანა შევარდნაძის პირადი ანგარიშიდან ჩაირიცხა. თუმცა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას არავითარი სადავო თანხა ბიუჯეტში არ გადაუხდია და საუბარი იყო კომპანიაში მისი წილის ტრანსაქციაზე საქართველოდან აშშ-ში. სხვათა შორის, ის ერთადერთი ბიზნესმენი იყო, რომელმაც სასტიკად გააპროტესტა დაჭერაც და გათავისუფლებაც. მან გამოშვებისას ციხის კარზე ბრაგუნი ატეხა და ყვირილით მოითხოვდა, უკან შემიშვით, ან ამიხსენით, საერთოდ რისთვის დამიჭირეთო...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ПРЕСИИС“ ქრონიკა

ლევან მამალაძე

აკაკი ჩხაიძე

კობა ნარჩემაშვილი

გია ჯოხთაბერიძე

ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ზურაბ ჭანკოტაძე სამართალდამცველმა ორგანოებმა 2004 წლის 18 მარტს დააკავეს, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით. მან უარი თქვა ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდით თავისუფლების მოპოვებაზე. თავდაპირველად მას 750 ათასი ლარის გადახდა მოსთხოვეს, შემდეგ კი თანხა თანდათან შემცირდა და, ბოლოს, 100 ათასი ლარი შეადგინა. თუმცა ჭანკოტაძემ ამ თანხის გადახდაზეც უარი თქვა...

საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, სულხან მოლაშვილი გენერალურ პროკურატურაში 22 აპრილს დაკითხვაზე მისვლის შემდეგ დააკავეს. მას ბრალად თანამდებობის ბოროტად გამოყენება და დაახლოებით 37 ათასი ლარის მითვისება ედებოდა. ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ნაციონალებს ფულის გადახდაც არ მოუთხოვიათ და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ციხეში მის მიმართ განხორციელებული წამება არაერთი საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციის შეშფოთების საგანი გახდა. ის პოლიტპატიმრადაც კი აღიარეს. ნინო ბურჯანაძის შეწყალებით გათავისუფლდა 2008 წლის 7 იანვარს. ის სააკაშვილის პირად პატიმრად იყო მიჩნეული. (სხვათა შორის, მოგვიანებით, 2011 წელს, ნაციონალებმა მისი ძმა, თორნიკე მოლაშვილიც დაიჭირეს - მ.ნ.).

სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე, „საქნავთობის“ კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტს, გია ჭანტურიას, სახელმწიფო ქონების მისაკუთრება წაუყენეს ბრალად. მისი აყვანის ოპერაცია, „რესტორან“ წისქვილში, სამართალდამცველებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მან მოახერხა დასხლტომოდა მათ და ბაქოში გადასულიყო. შემდეგ ის, პირადად ილჰამ ალიევის სურვილით, აზერბაიჯანში ნავთობის პროექტში მაღალ თანამდებობაზე დასაქმდა. საქართველოში კი მასზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა.

სხვათა შორის, 2004 წლიდან ინტერპოლით იძებნებოდა გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ალეკო გოცირიძეც. მასაც კორუფციულ დანაშაულში სდებდნენ ბრალს...

2004 წლის 6 მაისს აჭარაში განვითარებული პროცესები ყველასთვის კარგად არის ცნობილი. მოგვიანებით, ის აჭარის რევოლუციადაც მოინათლა. სწორედ ამ დღეს ასლან აბაშიძე გაიქცა და მისმა ხელისუფლებამ აჭარაში კაპიტულაცია გამოაცხადა... მოგვიანებით მას სასამართლომ დაუსწრებლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების სასარგებლოდ 98 229 530 ლარის გადახდა დააკისრა. მის მიმართაც წითელი ცირკულარით ძებნაა გამოცხადებული.

გენერალურმა პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წაუყენა შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, კობა ნარჩემაშვილს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მან საქართველო დატოვა. 2004 წლის 24 ოქტომბერს კი მისი დაკავება სანაპიროზე უშიშროებამ განახორციელა. ის ექსპრეზიდენტის მეუღლის, ნანული შევარდნაძის პანაშვიდიდან ბრუნდებოდა. მაშინ ხმებიც კი გავრცელდა, რომ იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა ყოფილი კოლეგის აყვანის ოპერაციაზე უარი განაცხადა და ეს საქმე უშიშროებამ ითავა, რომლის მინისტრიც მაშინ ვანო მერაბიშვილი გახლდათ. სხვათა შორის, პატიმარ კობა ნარჩემაშვილის მოსანახულებლადაც შედიოდნენ უცხოელები ციხეში და აცხადებდნენ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიადევნებდნენ თვალს...

ბათუმის ყოფილი მერი და ასლან აბაშიძის ყოფილი გუნდის წარმომადგენელი ასლან სმირბა 2005 წლის 7 სექტემბერს აჭარის პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, მას ბრალად ედებოდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა.

სასამართლომ ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მრჩეველს, თემურ ბასილიას, ჯერ კიდევ 2005 წლის ნოემბერში, დაუსწრებლად შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. თემურ ბასილიამ საქართველო 2004 წლის ივლისში დატოვა და ყაზახეთში „მილენიუმის“ პროგრამის ხელმძღვანელი გახდა. მალე ბასილიას ძებნა გამოცხადდა, თანაც საინტერესო ის არის, რომ ბასილია მოსაძებნი იმ დროისთვის ნამდვილად არ იყო, რადგან ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა სხვადასხვა ქვეყნის მინისტრებსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან. ბასილიას ბრალდების საქმე 37 ტომს მოიცავდა. მას 5 მილიონის გაფლანგვას ედავებოდნენ. საქმე ისე ხარიმართა, რომ ბასილიას სასამართლომ ყველა მძიმე ბრალდება მოუხსნა. ბოლოს 16 ათასი დოლარისა და 6 ათასი ევროს ქრთამის სახით აღება დაუდგინა და დაუსწრებლად თავისუფლების აღკვეთა 9 წლით მიუსაჯა.

ზემოთ შემოთავაზებულ ქვეთავში შევეცადეთ მკითხველთან ერთად გაგვევლო სააკაშვილის ხელისუფლების პირველი ორი წელიწადი, ანუ დაახლოებით იგივე დრო, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ითვლის.... ცხადია, შემდგომი წლების მოვლენების ქრონოლოგიის გაგრძელების საშუალებას ჩვენი გაზეთის ფორმატი ველარ მოგვცემდა და თანაც ჩამონათვალი იმდენად გრძელია, რომ ვეჭვობთ, გაზეთის ერთი ნომერი მისთვის საკმარისი ყოფილიყო... მაშინდელი დაჭერების ფონზეც კეთდებოდა განცხადებები პოლიტიკური დევნის შესახებ, მაშინაც უკრავდნენ ტაშს სააკაშვილს ისინი, ვის გულის მონადირებასაც ხელისუფლება ასეთი დაჭერებით ცდილობდა...

ამას წინათ ჩემმა კოლეგამ ერთ-ერთ ტელევიზიაში საკმაოდ ეფექტური და ემოციური ჩართვა გააკეთა. თემა დაკავებული, განსასჯელი, ბრალდებული და დაკითხვაზე დაბარებული „ნაციონალური“ სახეები იყო. ასეთი დაახლოებით ოცი აღმოჩნდა. აქედან კი მხოლოდ სამი იყო დაპატიმრებული...

ამას გარდა, თუ შედარებას გავაგრძელებთ, იმასაც მივხვდებით, რომ სააკაშვილის პატიმრები ძირითადად კორუფციაში იყვნენ ბრალდებულები და მათ, შესაბამისად, კარგადაც „წეწავდნენ“. რაც შეეხება საქმეებს, რომელსაც ახლა შეისწავლის გამოძიება, აქ „რაციონი“ გაცილებით მრავალფეროვანია - მკვლელობა, წამება, დარბევა და, რაღა თქმა უნდა, კორუფციაც.

ამდენად, გასაკვირია ყოფილი ხელისუფლების გაკვირვება, ვინაიდან მაშინაც და ახლაც კითხვები საზოგადოებას ჰქონდა, ჩვენმა მკითხველმა კი მასმტკაბებში სხვაობა მაშინდელ და ახლანდელ ე.წ. დაჭერებს შორის, ვფიქრობთ, თვალნათლივ დაინახა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უუნარო განათლების სამინისტრო

რა ბედი ელით მე-12 კლასელებს და პედაგოგებს, იმ შემთხვევაში თუ მინისტრი სკოლაში აკადემიურ წელს გამოაცხადებს?!

სალომე გოგოხია

იმ შემთხვევაში თუ დღეს 53-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი არ აღდგება, განათლების მინისტრი სამართლებრივად მინიჭებულ ბერკეტებს გამოიყენებს. შესაძლოა, მინისტრმა სკოლაში აკადემიური წელი გამოაცხადოს, ასეთ შემთხვევაში მე-12 კლასელები საატესტატო გამოცდებს ვერ ჩააბარებენ და ეროვნულ გამოცდებზე არ დაიშვებიან, ხოლო პედაგოგები უხელფასოდ დარჩებიან.

როგორც „პრაიმტაიმს“ მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა განუცხადა, შაბათს, სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე 53-ე სკოლის მასწავლებლების ნაწილმა მზადყოფნა გამოაცხადა გაკვეთილებზე შესვლაზე.

ახალი დირექტორი ეკა გახარია ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ დღეს სამსახურში მისვლას აპირებს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

„პრაიმტაიმის“ პრეს-კლუბიდან ყოფილ კოლეგებსა და მოსწავლეებს სასწავლო პროცესის აღდგენის თხოვნით მიმართა ყოფილმა დირექტორმა მარიამ რამინაშვილმაც.

დიდი ალბათობით, 53-ე სკოლაში დღეიდან სასწავლო პროცესი აღდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაშლილი სასწავლო პროცესი პირველ რიგში მოსწავლეებზე იმოქმედებს უარყოფითად, - აცხადებს მინისტრის მოადგილე ლია გიგაური.

ალბათ, ძნელად წარმოიდგენდა ვინმე, რომ დირექტორის გათავისუფლებით გამოწვეული უკმაყოფილება ასე თუ გამწვავდებოდა. 53-ე სკოლაში სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ მასწავლებლების და მოსწავლეების იმ ნაწილმა, რომლებიც კლასებში გაკვეთილებზე შევიდნენ, „მოწინააღმდეგე ბანაკის“ გაღიზიანება გამოიწვია და საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდეც კი მივიდა.

მოგვიანებით, ამის დამადასტურებელი ვიდეოკადრები განათლების სამინისტრომ კიდეც გაავრცელა.

სანიკიძის უწყებამ ასევე გაავრცელა სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსული ზარები, სადაც 53-ე სკოლის მშობლები სასწავლო პროცესის აღდგენას ითხოვენ, ასევე, აცხადებენ, რომ მათ სხვა მოსწავლეების მშობლები ურეკავენ და აფრთხილებენ, რომ ბავშვები გაკვეთილებზე არ შეიყვანონ და ა.შ.

სამწუხაროა, რომ განათლების სამინისტრო, რომელიც ამ სისტემის მთავარი ბირთვია, ნაცვლად იმისა, რომ სიტუაციას აკონტროლებდეს და საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს, ვიდეო თუ სატელეფონო ჩანაწერებით ვაჭრობს. ამით საზოგადოებას საკუთარ უუნარობასა და უმოქმედობაში არწმუნებს. რაც მომავალში კვლავ სამინისტროს ავტორიტეტზე იქონიებს უარყოფით გავლენას. მსგავსი გამოსვლები განათლების ფაქიზ სფეროს ჩრდილს აყენებს.

ექსპერტი განათლების საკითხებში თამარ მოსიაშვილი აცხადებს, რომ დირექტორების მოხსნა-დანიშვნას და შედეგად მოსალოდნელი საპროტესტო ტალღის თავიდან არიდებას ყოფილი განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მკაცრი პოლიტიკით და მიკრომენეჯმენტით ახერხებდა.

„თუ სამინისტრო ჩაატარებს კვლევას და მოიპოვებს ინფორმაციას სკოლებში შესყიდვებისა და გაქირავების პროცესში არსებული დარღვევების შესახებ, როგორი უნდა იყოს მისი პოზიცია? მე ვფიქრობ, ან პროცედურები უნდა გაამარტივოს, ან ამ დარღვევების გამოსწორების გზები შესთავაზოს სკოლებს. სამინისტრომ უნდა გააკეთოს არჩევანი: სკოლებს მხარს უჭერს თუ მხოლოდ დასჯის ბერკეტების ამოქმედებას აპირებს. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ გავარკვიოთ, სკოლის დირექტორებს ვირჩევთ, თუ უნდა დაგვინიშნონ“. - ამბობს მოსიაშვილი.

მისივე თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა პედკოლექტივი დირექტორის გათავისუფლებას პროტესტით პასუხობს.

„დაახლოებით ერთი თვის წინათ მსგავსი პროტესტი იყო ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლაში. მასწავლებლები და მოსწავლეები აპროტესტებდნენ ახალი დირექტორის დანიშვნას. ხოლო გასულ წელს 51-ე საჯარო სკოლაში, როდესაც აუდიტის დასკვნის საფუძველზე გათავისუფლეს დავით ლაგვილავა. მსგავსი პროტესტი განათლების ყოფილ მინისტრს დიმიტრი შაშკინსაც მოუწყვეს. მთავარია, სკოლაში სასწავლო პროცესი უნდა აღდგეს. იმაზე მეტი ვიფიქროთ სკოლების ავტონომიაზე, ვიდრე დღეს ვფიქრობთ. დღეს ნებისმიერი სკოლის ნებისმიერი დირექტორის გათავისუფლების ბერკეტი აქვს სამინისტროს, ეს ბერკეტი მოიპოვა 2010-2012 წლებში, მაშინ ვერ დავიცავით სკოლების ავტონომიურობა“. - ამბობს მოსიაშვილი.

რაც შეეხება მოსწავლეების ამგვარ აქციებში მონაწილეობას, მოსიაშვილი გაუმართლებლად მიიჩნევს, თუმცა, იქვე დასძენს, რომ ნებისმიერ მოსწავლეს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება აქვს.

ფაქტია, კვირა ისე მიიწურა, რომ სამინისტრო სასწავლო პროცესის აღდგენის მოთხოვნით მხოლოდ სატელევიზიო განცხადებებით შემოიფარგლა. სიტუაციის გამოსწორებით მიზნით კი კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს.

თუმცა, სკოლის უკმაყოფილო პერსონალის მოთხოვნას - ყოფილი დირექტორის პოსტზე დაბრუნებაზე, „კერკეტი კაკალის“ სახელით ცნობილმა მინისტრმა მტკიცე უარით უპასუხა. ამასთან, მოკვლევის მიზნით საქმე პროკურატურას გადაუგზავნა.

53-ე სკოლაში მონასტერი 7 აპრილს აირია, როცა დირექტორმა მარიამ რამინაშვილმა გათავისუფლების შესახებ ბრძანება მიიღო. რასაც მოსწავლეების და მასწავლებლების გარკვეული ნაწილის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. მათ გასული კვირა სკოლასა და სამინისტროსთან გამართულ აქციებში გაატარეს. სამინისტროს მოთხოვნას, სასწავლო პროცესს დაბრუნებოდნენ, მათი მხრიდან სრული იგნორი მოჰყვა.

სამინისტროს განცხადებით, გარკვეული ჯგუფები ცდილობენ ამ საკითხით მანიპულირებას და მოსწავლეების გამოყენებას პირადი მიზნების მისაღწევად. თუმცა, თავად 53-ე სკოლელები ამ ფაქტს უარყოფენ.

სამინისტროს ოფიციალური ვერსიით, დირექტორის გათავისუფლების მიზეზი ფინანსური დარღვევები გახდა, რაც აუდიტის დასკვნით დასტურდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და დაუმორჩილებელი 53-ე სკოლა



რა ბერკეტს გამოიყენებს განათლების მინისტრი პარალიზებული სასწავლო პროცესის აღსადგენად

EXCLUSIVE

„დირექტორს ერთი წლის წინათ ჰქონდა მიღებული გაფრთხილება ფინანსური დარღვევების გამოსწორებასთან დაკავშირებით. მეორე შემოწმებისასაც კვლავ ფინანსური დარღვევები დადასტურდა“. - აცხადებს მინისტრის მოადგილე ლია გიგაური.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით, ინსპექტირების ჯგუფის მიერ ადგილზე შემოწმებისას გამოვლინდა, რომ სკოლის ფართებით (6 საკლასო ოთახი) სარგებლობს კერძო პირი, ისე, რომ არ იხდის სარგებლობის თანხას, არ არსებობს ხელშეკრულებები, არ არის განათლების სამინისტროს და ეკონომიკური სამინისტროს თანხმობა, არ ჩატარებულა აუქციონი (სარგებლობა ხდებოდა 2013 წლის ოქტომბერში, ნოემბერში, დეკემბერში, 2014 წლის თებერვალში).

„2013 წლის განმავლობაში მოქმედი იჯარის 12 ხელშეკრულება დადებულია კანონდარღვევით ჩატარებული აუქციონის საფუძველზე (ჯამში იჯარით გაცემული ფართი 1600 კვ.მ-ზე მეტია); მოიჯარეების მიერ თანხების გადახდა ხდებოდა დარღვევით, არ არის გადახდილი საურავები. ერთ-ერთ შპს-ს არ აქვს გადახდილი იჯარის თანხა 3 600 ლარის ოდენობით, საურავი – 433 ლარი, კომუნალური გადასახადი – 108 ლარი (საურავის ნაწილი და კომუნალური გადახდილ იქნა ინსპექტირების დასრულების შემდეგ (საურავი 160 ლარი, კომუნალური გადასახადი 108 ლარი)“, - ნათქვამია დასკვნაში.

თუმცა, ამ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს ყოფილი დირექტორი მარიამ რამინაშვილი. „პრაიმტაიმთან“ საუბარში იგი აცხადებს, რომ საკლასო ოთახები იჯარით იყო გაცემული, მაგრამ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებდნენ.

„ჩემი „დანაშაული“ ის არის, რომ ყოველ გადაცდენილ ერთ დღეზე მეიჯარეს 0,001 ჯარიმა ეკისრება, რომელიც ხაზინას უნდა გადაუხადოს. მე გაფრთხილება მივეცი, რომ უნდა გადაეხადათ ეს ჯარიმა, მაგრამ კონკრეტული თარიღის მითითება გამომრჩა, ჯამში 0,64 თეთრი დაგროვდა, რასაც სამინისტრო მედავება. თუმცა, ეს არ არის არც თანხების გაფლანგვა და არც სისხლის სამართლის დანაშაული“, - ამბობს მარიამ რამინაშვილი.

რამინაშვილის გათავისუფლებას სხვადასხვა ვერსიები მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ადგილი განათლების მინისტრს მისი ნათესავისთვის სურდა. განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობს ექსპერტი მიშა თავხელიძე. მისი „ფეისბუქის“ გვერდზე ვკითხულობთ, რომ: - „როგორც მომიყვეს, 53-ში ნორმალური დირექტორი იყო, რომელიც მოხსნეს იმის გამო, რომ ერთ-ერთ მასწავლებელს, რომლის ძმა განათლების სამინისტროში მუშაობს, თვითონ მოუნდა დირექტორობა. სამი სხვა მასწავლებლის გარდა ამ იდეას მხარი არავინ დაუჭირა“.

ამ ვერსიებზე საუბარი რამინაშვილს უჭირს, თუმცა, მის გათავისუფლებას პირად ინტერესებს ნამდვილად უკავშირებს.

საკუთარი სიმართლის დამტკიცებას მარიამ რამინაშვილი მართლმსაჯულების გზით აპირებს. იგი დღეს სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

53-ე სკოლაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც გააკეთეს. ისინი მოუწოდებენ პედაგოგიურ კოლექტივს უპირობოდ, დღეიდან აღადგინოს სასწავლო პროცესი და პრიორიტეტი მიანიჭონ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებულ ბავშვის განათლების მიღების უფლებას.

„მიგვაჩნია, რომ ორშაბათიდან სასწავლო პროცესის აღდგენა ხელს შეუწყობს სამინისტროსა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის დიალოგის ეფექტურ წარმართვას, რომელიც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრების ნორმალიზაციაზე. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგთა კოლექტივი არ აღადგენს ორშაბათიდან სასწავლო პროცესს, მაშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ყველა სამართლებრივი მექანიზმი სასწავლო პროცესის უახლოს ხანებში აღდგენის მიზნით, ვინაიდან, საფრთხე ექმნება მოსწავლეების უსაფრთხოებას და აკადემიურ ჩართულობას“. - ნათქვამია განცხადებაში.

რა გავლენას იქონიებს 53-ე სკოლაში განვითარებული მოვლენები განათლების მინისტრის ავტორიტეტზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რით ჰგავს ანა მარგველაშვილი ბუშის ქალიშვილს?

ამ ისტორიამ ჯორჯ ბუშის ანცი ქალიშვილი გამახსენა, რომლის ქცევა ხშირად ხდებოდა ტაბლოიდების მთავარი თემა და თეთრი სახლი არაერთხელ ჩაუყენებია თავის მართლების პოზაში.

გიორგი მარგველაშვილი უკვე რამდენიმე კვირაა, ავლაბრის რეზიდენციაში მოკალათდა და საპრეზიდენტო რეზიდენცია, რომელსაც თურმე გარყვნილების ბუდეს ეძახდა, მშვენივრად გაითავისა. როგორც ჩანს, მისმა ქალიშვილმაც უკვე შეიფერა საპრეზიდენტო ოჯახის წევრობის „პრელესწი“. ანას მეგობარი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ, თუ ადრე ანა თითქმის ყოველდღე სტუმრობდა მისთვის ერთ-ერთ საყვარელ ბარ „people“-ს, ახლა უკვე ხშირად სტუმრობს ღამის კლუბებს და ხმაურიანი ინციდენტებიც არ აკლია.

ამას წინათ, ანა კლუბ „სენატში“ დააფიქსირეს, მეგობრებთან და პირად მცველებთან ერთად. იქ დამსწრე საზოგადოებას არ შეუმჩნევია, გოგონა მარგველაშვილი ნასვამი იყო თუ არა, თუმცა მხედველობიდან არავის გამოჰპარვია ის, რომ მას კონფლიქტი მოუვიდა „სენატის“ დაცვის სამსახურთან. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ანამ მაგიდიდან ფეხი არ ჩამოიღო. ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა და ანამ „კოკა-კოლის“ ბოთლით ხელში, „სენატი“ დატოვა.

იმედია, ანა არ გაჰყვება ჯორჯ ბუშ უმცროსის ქალიშვილის სკანდალურ გზას და მუდმივად არ შეექმნება პრობლემები კლუბებში ქცევისა და ალკოჰოლის მოხმარებასთან დაკავშირებით.

მომხდარის შესახებ კლუბ „სენატში“ დავრეკეთ, სადაც განგვიმარტეს, რომ მსგავსი ინციდენტი არ ახსენდებათ, თუმცა თუ რაიმე მცირე ინციდენტი ხდება, ამის მოგვარებას კლუბი ადგილობრივი რესურსით ახერხებს.

POLIT BAZ

ვინ აუკრძალა ნოდარ ხადურს ტელეეთერით გამოჩენა

ხადური საკუთარმა გუნდმა თავად აქცია „პერსონა ნონ გრანტად“, ოლონდ ტელევიზიებისთვის. ის გუნდური თამაშებისთვის წამგებიანი პერსონა აღმოჩნდა, ქულების მოტანის ნაცვლად, პირიქით, მიაქვს. ამიტომაც, როგორც ამბობენ, ხადურმა რჩევა მიიღო, რაც შეიძლება ნაკლებად გამორნდეს ტელეეთერებით, ინტერვიუებით და ზოგადად, რაც შეიძლება ნაკლებად შეახსენოს ხალხს საკუთარი არსებობა. პრინციპში, მიზეზი ბევრია, პირველ რიგში, ალბათ, არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტი, რომელმაც შედეგად ვერც დაპირებული პენსია გაზარდა და მით უფრო, ვერც საჭირო ეკონომიკური ზრდა მოიტანა. გარდა ამისა, ხადური პირადი უწყების ხარჯებითაც ბევრჯერ გასკანდალდა. მისი მინისტრობის დროს ოპოზიციამ ყველაზე მეტად ტუალეტის ქაღალდებში გახარჯული 30 ათასი ლარი და მობილური ტელეფონების შესაძენად გამოყოფილი 300 ათასი ლარი აიტაცეს. მოკლედ, ბევრი მიზეზი არსებობს ხადურის ეკრანზე გამოჩენის ასაკრძალად.

სხვათა შორის, ამომრჩევლის გაღიზიანების თავიდან აცილების ასეთ ხერხს თავის დროზე ნაციონალებიც წარმატებით იყენებდნენ. ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი, რომელსაც ტოქშოუებში გამოჩენა აეკრძალა, მაია ნადირაძე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი პოლიტიკოსები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის ტელეგენურობას, მაყურებელში ყოველთვის უარყოფით რეაქციას იწვევდა ნადირაძის დანახვა. ტელეეთერში „დაბლოკვას“ საბოლოოდ კომენტარის გაკეთების აკრძალვაც მოჰყვა. ეს იმიტომ, რომ ნადირაძე განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა და მითითებებსაც კი იძლეოდა, როგორი შინაარსის კითხვა უნდა დაესვათ მედიის წარმომადგენლებს. მოგვიანებით ყოფილმა ხელისუფლებამ იგივე წესები აამოქმედა გივი თარგამაძის, გიგა ბოკერიასა და ნინო კალანდაძის მიმართაც. სხვათა შორის, თარგამაძის „დამალვის“ ინიციატივა და მოთხოვნა ნინო ბურჯანაძეს ეკუთვნოდა. ნინო კალანდაძის შემთხვევაში კი ამომრჩეველს მისი საუბარი და პოლიტიკაში მოსვლის ისტორია უფრო აღიზიანებდა, ვიდრე მისი მსჯელობა. შესაბამისად, ნაციონალებმა დროებით მიმალეს ყველა წამგებიანი ფიგურა. ხადურის შემთხვევაში, კომენტარის აკრძალვამდე ჯერ არ არიან მისულები, თუმცა ფაქტია, რომ ფინანსთა მინისტრი უკვე დიდი ხანია ტელეეთერით მართლაც არ გამოჩენილა...

რატომ არ ჩანს ნიკა მელიას საარჩევნო კლიპში „ნაციონალური მოძრაობა“?

POLIT BAZ

თბილისის მერობის კანდიდატს ნიკა მელიას ბოლო ხანს სკანდალები არ აკლია... მის წინასაარჩევნო შეხვედრებს ფეხდაფეხ დაჰყვება „ახალგაზრდული ცენტრი“ და მეგაფონით აპროტესტებს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის კამპანიას. აღარაფერს ვამბობ, ცნობილ მანჩო გიორგობიანზე, რომელიც მელიას ჯერ რამდენიმე თვის წინ კაფე „ლა ტრუფეში“, მოგვიანებით კი, სულ ახლახან, 9 აპრილის მემორიალთან დაუპირისპირდა.

მოკლედ, მელიას ერჩიან, რადგან ის „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ თავად მელია მაქსიმალურად ცდილობს კონკრეტული პოლიტიკური პარტიისგან დისტანცირებას. დაკვირვებულ თვალს არ გამორჩებოდა, რომ წინასაარჩევნო კლიპში თითქმის არსადაა ნახსენები „ნაციონალური მოძრაობა“. საარჩევნო კლიპში ნიკა მელია საკუთარ მესიჯებს აჟღერებს და ამბობს, რომ „მისი პოლიტიკა თბილისია“, ანუ არა რომელიმე კონკრეტული პარტია. რომ არა ვიდეორგოლის ბოლოში მითითებული „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ნომერი 5, აპოლიტიკურ ადამიანს შეიძლება ჩაეთვალა, რომ ნიკა მელია მართლაც დამოუკიდებელი კანდიდატია და არა ყოფილი მმართველი გუნდის რჩეული. აღსანიშნავია ისიც, რომ წინასაარჩევნო შეხვედრებზე, მას თითქმის არასდროს ახლავს პარტიის ლიდერები. პიარის სპეციალისტების განმარტებით, ეს აპრობირებული პოლიტიკური ხრიკია, რათა რაც შეიძლება მინიმალურად მოხდეს კანდიდატის იმ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირება, რომელიც გასულ არჩევნებზე მნიშვნელოვნად დამარცხდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲕᲘᲜ ᲘᲒᲚᲝᲯᲔᲑᲐ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲡᲘᲔᲑᲨᲘ

POLIT BAZ

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ აღიარეს, რომ კვოტების გადანაწილება დიდი ხანია დაიწყო და პროცესი დასასრულს უახლოვდება. კოალიციის ნებისმიერი სუბიექტი აქამდე კვოტებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვას „აცილებას“ აძლევდა. ამბობდნენ, რომ კვოტების გადანაწილებამდე და სიების შედგენამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, თუმცა უმრავლესობის წევრის, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პროცესი თითქმის დასასრულს უახლოვდება. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, პარტიებს ერთმანეთის მიმართ ერთადერთი მოთხოვნა აქვთ – სიებში არ უნდა მოხვდნენ ნაციონალებიდან „დაპორტირებული“ პოლიტიკოსები. როგორც ამბობენ, პარტიები მოთხოვნას მკაცრად იცავენ. ბუნებრივია, საკუთარ პარტიულ სიას დამოუკიდებლად ადგენენ, თუმცა ერთიან სიაში მოსახვედრად მათ ერთმანეთის თანხმობა სჭირდებათ, საბოლოოდ კი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დადებითი პასუხიც. როგორც ამბობენ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემებიც იყო. კოალიციის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ყოფილი ნაციონალობა მათ იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს და ისინი შიხიაშვილების მსგავს პოლიტიკოსებს ერთიან სიაში აუცილებლად გააპროტესტებენ.

კვოტები, დედაქალაქის გარდა, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე გადანაწილებულია. კოალიციურ სიაში 50% პარტია „ქართული ოცნებისაა“, დანარჩენ 50%-ს კი ერთობაში შემავალი პარტიები ინაწილებენ. თუმცა ზოგიერთ პარტიას, რესურსის სიმცირის გამო, სხვა პარტიების „დახმარება“ სჭირდება. ანუ ეგრეთწოდებული ერთკაციანი პარტიების რეგიონულ სიას გაცილებით დიდი პარტიები ითვისებენ. რაც შეეხება დედაქალაქს, როგორც ამბობენ, შეთანხმებები, პრაქტიკულად, აქაც მიღწეულია. ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ყველგან ღირსეული კანდიდატები არიან შერჩეულები. დეპუტატს მიაჩნია, რომ ადამიანების განსჯა არა მათი პოლიტიკური წარსულით უნდა მოხდეს, არამედ მათი ღირსების მიხედვით.

ზვიად ძიძიგური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– მინდა, ერთი რამ კარგად განვმარტო, თუ ჩვენ დავიწყებთ პოლიტიკურ ცხოვრებას იმ ნიშნის მიხედვით, ვინ არის ნაციონალი, ვინ იყო ოპოზიციონერი და თან ამის გარკვევას სტრუქტურებში ვეცდებით, ეს ჩვენს ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს, რომ ადამიანები არა მათი პარტიულობის მიხედვით შეირჩნენ, არამედ მათი ღირსების მიხედვით. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შემადგენლობას, თავად პარტიებმა უნდა გადაწყვიტონ დამოუკიდებლად, ვის ჩასვამენ საკუთარ სიაში. რა თქმა უნდა, კოალიციურ რეჟიმში ამ საკითხის განხილვაც ხდება. უნდა გითხრათ, რომ ძირითადად ღირსეულ ადამიანებზე კეთდება აქცენტი.

ᲠᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ

მარგველაშვილი-ივანიშვილის დაპირისპირების შემდეგ კულუარებში აქტიურად საუბრობენ უსუფაშვილი-ივანიშვილის უთანხმოებაზეც. აღნიშნულ საკითხზე დეტალებს ჟურნალისტი, ელისო კილაძეც ეხმაურება სოციალურ ქსელში და ირწმუნება, რომ ივანიშვილს პირადად უსუფაშვილმა გადააფიქრებინა რესპუბლიკელების საწინააღმდეგო წერილის გამოქვეყნება გასულ კვირას. წერილის შინაარსის დეტალები ყველასთვის უცნობია. კილაძის განცხადებით, ის დაახლოებით იგივე შინაარსის უნდა ყოფილიყო, როგორიც მარგველაშვილის კრიტიკა. გარანტია, რომ წერილი არასოდეს გამოქვეყნდება, ბუნებრივია, არ არსებობს.

ელისო კილაძე, ჟურნალისტი:

– ივანიშვილი ძალიან განაწყენებულია რესპუბლიკელებზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დავით უსუფაშვილზე. ყოფილი პრემიერი აპირებდა წერილის გამოქვეყნებას, წერილის შინაარსის დეტალები არ ვიცი, სავარაუდოდ, დაახლოებით იგივე შინაარსის წერილი იქნებოდა, როგორიც იყო მარგველაშვილის მიმართ გაკეთებული კრიტიკული განცხადება. სხვა შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარის პირადი ვიზიტი და ბოდიშების მოხდაც არ გახდებოდა საჭირო.

– ფიქრობთ, რომ წერილი შეიძლება მაინც გამოქვეყნდეს?

– გააჩნია, რას მოიმოქმედებენ უსუფაშვილი და, ზოგადად, რესპუბლიკელები. ივანიშვილი უსუფაშვილისგან ითხოვდა, პარლამენტში უნდა მოგროვდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებას და საქართველოს პრეზიდენტის არჩევას პარლამენტის მიერ, რასაც დავით უსუფაშვილი და რესპუბლიკელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ამას მოჰყვა ივანიშვილის გაღიზიანება და გაბრაზება და უსუფაშვილის ვიზიტი სასახლეში, ბოდიშები უხადა და შეეცადა, აეხსნა, რომ ევროსაბჭოს ასამბლეაზე წასვლის წინ საქართველოს დელეგაციაზე მსგავსი დარტყმები ძალიან ცუდი იქნებოდა ქვეყნის რეპუტაციისთვის. რამდენადაც ვიცი, ივანიშვილმა დროებით გადაიფიქრა წერილის გამოქვეყნება.

POLIT BAZ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ვანო მერაბიშვილის

სად გაქრა მერაბიშვილი ნაციონალური პოლიტიკიდან?

მარიამ ნადირაძე

ანალიტიკოსებისთვის და ექსპერტებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მანევრები, ერთი მხრივ, ერთგვარ ტვინის საჭყლეტად, მეორე მხრივ კი – მათი შეხედულებების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდის საგნად არის გადაქცეული. ეს ე.წ. თავსატეხები, ობიექტურად უნდა ითქვას, რომ მართლაც ძალიან საინტერესოა გასაშიფრად...

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამოცანა გვეკითხება – სად გაქრა ვანო მერაბიშვილი? ფაქტია, რომ მაშინ, როცა საზოგადოებას აიძულებდნენ, ახლად დაპატიმრებულის წონაში კლებაზე, ან თუნდაც მის საკანში ტელევიზორის უქონლობაზე ედარდა, დღეს მისი ყოფა, რატომღაც აქტუალურობას კარგავს.

ამ კითხვაზე პასუხს ექსპერტები სხვადასხვა რაკურსში ხედავენ. „პრაიმტაიმი“ შეეცდება, შეძლებისდაგვარად, ყველა ვერსია განიხილოს, მკითხველთან ერთად.

წინასაარჩევნო წამგებიანი სახე

ვანოს უზარმაზარი პლაკატი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს დღეს აღარ ამშვენებს. არადა, თავის დროზე, როდესაც ის გააკრეს, მას კონკრეტული დატვირთვაც შესძინეს – ის ამ მოძრაობის დღევანდელი ყოფის ერთგვარ სიმბოლოდ აღიქმებოდა.

რთული საფიქრებელია, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ ეს „იარა უკვე მოიშუშა“... ამავდროულად, მათ კარგად იციან, რომ ვანო მერაბიშვილის მისამართით არსებული საზოგადო აგრესია მათ პოლიტიკურ ქულებს (ასეთიც არსებობს. – მ.ნ.) საგრძნობლად ემუქრებოდა. ჰოდა, სულზე მიუსწრო „ახალგაზრდული ცენტრის“ აქციამ. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეებმა ხსენებულ პლაკატს საღებავი შეასხეს, პრობლემა ჩვეულ „ნაციონალურ“ ჭრილში გადაწყდა. პლაკატის გაუჩინარებას ისინი ამ მოტივით ხსნიან, თუმცა, თუ ვინმეს გაუჩნდება კითხვა, რა პრობლემა გახდა ახალი პლაკატის დამზადება? – ამაზეც არსებობს პასუხი: ნაციონალებმა მათ ოფისზე თავდასხმის გამო ირაკლი კაკაბაძეს სასამართლოში პროცესი მოუგეს. კაკაბაძეს ჯარიმა დაეკისრა... ნაცებიც მისგან გადახდილი თანხებით აპირებენ პლაკატის დამზადებას და გამოფენას...

ამ არგუმენტის გაზიარება ვისაც სასაცილოდ მიაჩნია, მათი ეჭვები უფრო ღრმად მიდის, მით უმეტეს, რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, უკანასკნელ ხანს პარტია კონკრეტული ფიგურებისგან დისტანცირებას და პირიქით, კონკრეტული ფიგურებისგან პარტიის დისტანცირებას გამალებით ცდილობს. საკმარისია, თვალი გადავავლოთ ადგილობრივი არჩევნებისთვის თბილისის მერის კანდიდატად წამოყენებული ნიკა მელიას საარჩევნო კლიპებს, რომ, თუ საქმეში გარკვეული არ ხარ, ვერც კი მიხვდები, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატია...

ასეთი მიდგომა კი ამ ჯგუფისთვის „ნოუ ჰაუ“ ნამდვილად არ არის. ეს მოძრაობა თავისი არსებობის მანძილზე, რომელიც თითქმის 12 წელს ითვლის, ე.წ. რეფრეშინგის პოლიტიკას პირველად ნამდვილად არ მიმართავს... შეგვიძლია, თვალი გადავავლოთ, რა დროს სჭირდებოდა პარტიას ცნობილი და დამსახურებული ფიგურების ორბიტიდან გაქრობა, ან ჩრდილში გადანაცვლება:

თავის დროზე, როდესაც სააკაშვილი ჟვანიასა და ბურჯანაძეს გაემიჯნა და ეს მოძრაობა დააფუძნა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ხსენებული ყოფილი თანამოაზრეები შევარდნაძის ხელისუფლებასთან ასოცირდებოდნენ, პარტია შედარებით უცნობი, მაგრამ ენერგიული სახეებით დააკომპლექტა. თუმცა, რევოლუციის შემდეგ რაკი სხვა გამოსავალი არ იყო და გაერთიანება მაინც შედგა, ისეთი სახეები, როგორებიც იყვნენ ჟვანიას გუნდთან ასოცირებული დავით ტყეშელაშვილი, გიგი ნერეთელი, მიშა მაჭავარიანი და სხვები, პრაქტიკულად დაბლოკა ტელეეკრანებზე... ისინი მხოლოდ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ აღსდგნენ ჩრდილიდან, ვინაიდან სააკაშვილს თავისი გუნდის ხელახალი გადახალისება დასჭირდა და პრაქტიკულად, რესურსი აღარ რჩებოდა. ამიტომაც დებატებში უკვე კარგად გამოწვრთნილ ჟვანიას გუნდს დაეყრდნო და ტელევიზიები კვლავ მიღწევადი გახდა ამ ადამიანებისთვის.

თუმცა, სწორედ ამ დროს გადაინაცვლებენ ჩრდილში უშუალოდ სააკაშვილთან ასოცირებული ფიგურები – ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, ნინო კალანდაძე, კახა ბენდუქიძე, მაია ნადირაძე... ეს უკანასკნელი შემდეგ არჩევნებში სიაშიც კი აღარ აღმოჩნდება... ამ ადამიანებს 7 ნოემბრის შემდეგ ერთ ჯგუფში აერთიანებდნენ, რომელსაც პირობითად „ზიზღის ჯგუფი“ დაარქვეს და იმისთვის, რომ მათ გამო პარტია არ დაზარალებულიყო, ზოგი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკას, ზოგმა საკანონმდებლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელში გადაინაცვლა, ზოგმაც აღმასრულებლიდან ბიზნესს მიჰყო ხელი... თუმცა, რაც მთავარია, პარტიამ მათ მაინც ბოლომდე უპატრონა. სხვათა შორის, მანანა კობახიძემ ამას წინათ გააკეთა განცხადება, მაია ნადირაძე ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში მუშაობს და 9000 ლარი აქვს ხელფასიო...

რეფრეშინგი დასჭირდათ 2008 წლის ომის შემდეგაც და ლოგიკური იყო, რომ თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ამ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობიდან ბიზნესსექტორში ინაცვლებს, რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ პარტიის საკეთილდღეოდ...

ამ მეთოდმა ერთადერთხელ ვერ გაამართლა, 2012 წლის არჩევნების წინ, რადგან მაშინ მოვლენები მათთვის გაუთვლელი სისწრაფით განვითარდა...

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ახლაც, როცა ადგილობრივ არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება, მერაბიშვილის მხარდაჭერას ნაცებმა მისგან დისტანცირება არჩიეს....

პარტიული მორიგება

სხვათა შორის, სწორედ ამ ხერხს მიმართა თვითონ მიხეილ სააკაშვილმა მაშინ, როდესაც დათა ახალაიას გარშემო სკანდალი ატყდა. მან, მკრეხელობაში ნუ ჩამოგვართმევთ, პეტრესავით სამჯერ უარყო დათა ახალაიასთან მჭიდრო ურთიერთობა და განაცხადა, სულ ორჯერ მყავს ნანახიო. არადა სრულიად საქართველოსთვის ცნობილი იყო სააკაშვილისა და როლანდ ახალაიას ოჯახის სიახლოვე... იგივე გააკეთა მაშინაც, როდესაც ვანო მერაბიშვილის ცნობილ გამოთქმასთან დაკავშირებით – „ორი გვამი მჭირდება“ – რამაც ყოფილ პრემიერს მორიგი საზოგადოებრივი რისხვა დაატეხა თავს, – მიშამ განაცხადა: „გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები არსებობს, ვიდრე ეს საქმეაო“.

ამ შემთხვევაში სწორედ მიშასგან უარყოფილი ორი ფავორიტის შესახებ უნდა მოგახსენოთ:

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იყო გაჩაღებული. ამის საფუძველი კი ნამდვილად არსებობდა – ბოლოს და ბოლოს, ახალაიამ ყოფილი პრემიერი არჩევნებში წაგებასა და რუსეთთან კავშირში ღიად დაადანაშაულა. იგივე პოზიციაზე არიან მისი თანამოაზრეები – თეა თუთბერიძე და სხვები, ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ შემდეგი თაობა...

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკანდალების გააქტიურება ამ ორი ფიგურის გარშემო სწორედ მათი ორთაბრძოლის სიმწვავის პირდაპირპროპორციულად ვითარდებოდა. უკანასკნელ ხანს კი ნაციონალური კულუარებიდან, იქნებ მიზანმიმართულადაც, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარტიამ მათი ურთიერთობა დაალაგა...

შესაბამისად, ჩვენი მთავარი თემის ერთ-ერთი პასუხიც სწორედ ამ „დალაგებული ურთიერთობის“ ფარგლებში უნდა ვეძებოთ.

ზურაბ ჭიაბერაშვილი:
„მას ფარცხალაძე დაჰპირდა, რომ მკაცრ პირობებს შეგიქმნი ციხეშიო და ამას ასრულებს კიდეც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყოფილი პრემიერის გაუჩინარების ოთხი ვერსია

„ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ახლაც, როცა ადგილობრივ არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება, მერაბიშვილის მხარდაჭერას ნაცებმა მისგან დისტანცირება არჩიეს...“

გარიგება ხელისუფლებასთან

იმ ფონზე, როდესაც ჟვანიას საქმის ფარგლებში გამოძიებას უკვე სამი პატიმარი ჰყავს და მერაბიშვილისთვის ბრალი არ დაუმძიმებიათ, ლოგიკურად გამოიყურება ეჭვიც იმის თაობაზე, რომ სხვა საქმეებთან დაკავშირებით პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერი ხელისუფლებასთან გარიგდა. მით უმეტეს, რომ ამ ყველაფერს წინ მისი ცნობილი სკანდალური განცხადება უსწრებს იმის შესახებ, როგორ გაიტაცა საპატიმროდან ის მთავარმა პროკურორმა, ფარცხალაძემ და როგორ მოსთხოვა მას ინფორმაციები მიხეილ სააკაშვილზე ჟვანიას საქმის და გაფლანგული საბიუჯეტო სახსრების გარშემო.

სწორედ ამ განცხადების შემდეგ გაღვივდა ეჭვის მარცვალი სააკაშვილის გარემოცვაშიც – ხომ არ დაიწყო ვანო მერაბიშვილმა ორმაგი თამაში და ხმამაღლა გაცხადებული სკანდალის კვალდაკვალ, მართლაც შედის გარიგებაში ახალ ხელისუფლებასთან? სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სააკაშვილის დაუფარავი დისტანცირება ყოფილ, ერთ-ერთ ყველაზე დაახლოებულ თანაგუნდელთან. მით უმეტეს, რომ ვანო მერაბიშვილს მხოლოდ ამ ისტორიით არ დაუშანტაჟებია თავისი „თანაპარტიელები“. ასეთ ხერხს, როგორც ამბობენ, მან მაშინაც მიმართა, როდესაც სასამართლო პროცესზე მისი ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის დაკითხვის დროს განაცხადა: „ყველასთვის ნათელი გახდა, რომ გია ლორთქიფანიძეზე ხდება აშკარა მუქარა. ლორთქიფანიძე და მისი ოჯახი ყოველდღიურად ზეწოლის ქვეშ არიან. არაფერი გაუკეთებია გამოძიებას მის სახლთან დამონტაჟებული ბომბის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიუხედავად მისი ძმის უკანონო დაკავებისა, ყოველდღიური ზეწოლისა, პროკურორის მხრიდან გრძელდება ზეწოლა, პროკურატურა სასამართლო დარბაზში მიუთითებს გია ლორთქიფანიძეს, რომ მისთვის სასურველი ჩვენება მისცეს. აქედან გამომდინარე, მისი ჩვენება განაჩენზე გავლენას ვერ მოახდენს, გაგებით მოვეკიდები, თუ არ გააგრძელებს დაკითხვას“. მაშინ ექსპერტებმა ამ განცხადებაში სულ სხვა რამ ამოიკითხეს – მერაბიშვილმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი, რომ თითქოს გია ლორთქიფანიძე, რომელიც სასამართლოში ტრიბუნასთან დგას მოწმის სტატუსით, ის აუცილებლად მოჰყვება ისეთ რაღაცებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება... ასეა, თუ ისე, პატიმრობაში მყოფი პრემიერის იმიჯი ნაციონალებისთვის უკვე შანტაჟთან ასოცირდება. შესაბამისად, ანალიტიკოსთა ნაწილის ვარაუდი, რომ მისი გამიჯვნა პარტიიდან სწორედ ხელისუფლებასთან მერაბიშვილის შესაძლო გარიგებით აიხსნება, ეს პოზიციაც მთავარი კითხვის პასუხად მორიგ ლოგიკას ექვემდებარება...

„ექსპერტების ვარაუდით პატიმრობაში მყოფი პრემიერის იმიჯი ნაციონალებისთვის უკვე შანტაჟთან ასოცირდება. შესაბამისად, მისი გამიჯვნა პარტიიდან სწორედ ხელისუფლებასთან მერაბიშვილის შესაძლო გარიგებით აიხსნება“

შევიწროებული მერაბიშვილი

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, იმასთან დაკავშირებით, რატომ აღარ ჩანს ვანო მერაბიშვილი. ამ ვერსიას „პრაიმტაიმის“ კითხვაზე პასუხად ყოფილი გუბერნატორი, ზურაბ ჭიაბერაშვილი გვიამბობს: „სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ უკიდურესად მკაცრი რეჟიმი შეუფარდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და მინისტრმა სოზარ სუბარმა ვანო მერაბიშვილს. დღეის მდგომარეობით, მას შეუძლია მხოლოდ თვეში ერთხელ ისარგებლოს პაემნით და სამი სატელეფონო ზარი განახორციელოს. ასე ცდილობს ხელისუფლება, რომ ვანო მერაბიშვილი მოწყვიტოს გარე სამყაროს და პარტიულ საქმიანობაში ჩართულობას. როგორც წესი, ასეთ მკაცრ რეჟიმს უკიდურესად საშიშ რეციდივისტებს უფარდებენ ხოლმე. მას ფარცხალაძე დაჰპირდა, რომ მკაცრ პირობებს შეგიქმნი ციხეშიო და ამას ასრულებს კიდეც“.

მაშ ასე, მკითხველს თემასთან დაკავშირებით ოთხი ვერსია შევთავაზეთ. თუ საკითხს უფრო მეტად ჩავუღრმავდებით, შესაძლოა, იყოს მეხუთეც, რომელიც არც ერთ ზემოჩამოთვლილს არ გამორიცხავს, თუმცა ამაზე მსჯელობას, ალბათ, თავად მკითხველი განაგრძობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილის პირადი დაცვა ლაფანყურის სპეცოპერაციაზე ალაპარაკდა

my View

მირიან ბოქოლიშვილი

მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის სკანდალური განცხადება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან... ექსპრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი ამჟამად სასჯელს ძრ-ოხის ქურდობისთვის იხდის, თუმცა ის წინა ხელისუფლებამ დეზერტირობისთვისაც გაასამართლა. რა ინფორმაციას ფლობს თეიმურაზ გვარაძე ლაფანყურის სპეცოპერაციაზე? ამის შესახებ პატიმრის ნაამბობი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენლებმა გაგვაცნეს და თეიმურაზ გვარაძის წერილიც გადმოგვცეს. წერილიდან ირკვევა, რომ გვარაძე პირველად 2008 წელს დააკავეს და აწამეს. შესაბამისად, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენების მიცემას ითხოვს. ახლა პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, რა არის მისი მონაყოლიდან სიმართლე.

პატიმარი აცხადებს, რომ ის პროფესიონალი სნაიპერია და ერთ დროს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირად დაცვაში მუშაობდა. 2012 წლის აგვისტოში კი პატიმრობიდან დროებით გაათავისუფლეს, რათა მონაწილეობა მიეღო ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაში.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტებთან საუბრისას პატიმარმა განაცხადა, რომ ის იყო ზურაბ ჟვანიასა და გია არსენიშვილის ინიციატივით შექმნილი გასაიდუმლოებული დივიზიონის წევრი. 2004 წლიდან კი – საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პირადი უსაფრთხოების დაცვის შემადგენლობაში ირიცხებოდა.

„სწავლა დავიწყე 1995 წლის დეკემბერში, დავასრულე 2001 წლის ნოემბერში. გახლდით გია არსენიშვილისა და ზურაბ ჟვანიას ინიციატივით შექმნილი გასაიდუმლოებული დივიზიონის – „777“-ის წევრი. 2004 წლიდან დამეკისრა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაცვა, მისი უსაფრთხოება აყვანილი მყავდა ჩემი პირადი დაცვის ქვეშ“, – წერს საპატიმროდან გამოგზავნილ წერილში თეიმურაზ გვარაძე.

მისივე თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომში, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე წავიდა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა. ამის გამო, როგორც პატიმარი აცხადებს, მოდულის შენობაში მიიყვანეს და სასტიკად აწამეს, მოგვიანებით კი ოფიციალურად დააკავეს და დეზერტირობის ბრალდებით გაასამართლეს.

„2008 წლის 8 აგვისტოს მივმართე პრეზიდენტს თხოვნით, ცხინვალში ჩემს გაშვებაზე მეგობარ ჯარისკაცებთან, რაზეც არ დამთანხმდა. მითხრა, ეს ომი შენი არ არისო. მე არ დავემორჩილე ბრძანებას, რადგან 16 წელია, ვარ ჩემი ქვეყნის სამსახურში, თავი ჩავთვალე ვალდებულად, წავსულიყავი მეგობრებთან დასახმარებლად. ცხინვალში მოვახდინე 16 რუსი სნაიპერის ლიკვიდაცია, 16-ვე სნაიპერის პირადი ჟეტონი მოვიპოვე და როდესაც ვბრუნდებოდი, რამდენიმე დაჭრილი წამოვიყვანე და გორის სამხედრო ჰოსპიტალში მივიყვანე. იქ მისვლისთანავე დამხვდა სპეცდანიშნულების რაზმის 4 თანამშრომელი. მითხრეს, რომ პრეზიდენტს უნდოდა ჩემი ნახვა, წამომიყვანეს შავი ფერის პიკაპით. თბილისში მოდულის შენობაში ჩამომართვეს იარაღი, პირადი აღჭურვილობა, მართვის მოწმობა და სამხედრო ბილეთი. ახსნა-განმარტების ჩამორთმევისას ადგილი ჰქონდა ჩემს ნამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რასაც ესწრებოდა რამდენიმე თანამდებობის პირი. ცეცხლსასროლი იარაღით დამიხვრიტეს ხელისა და ფეხის მტევნები. 9 აგვისტოს დაახლოებით 15 საათზე გამათავისუფლეს, დავბრუნდი ჩემს ოჯახში. 2008 წლის 25 დეკემბერს დამაკავა თელავის პოლიციის უფროსმა შოთა ბეჟანიძვილმა და გადამცეს ძველი თბილისის სამმართველოს“, – წერს გვარაძე.

სნაიპერი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პირად დაცვაში მუშაობდა, 2012 წლის აგვისტოში პატიმრობიდან დროებით გაათავისუფლეს, რათა მონაწილეობა მიეღო ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაში

თეიმურაზ გვარაძე

ჩვენც გაგვიჩნდა და, ალბათ, მკითხველსაც გაუჩნდება კითხვა, ფეხებდახვრეტილმა ადამიანმა მეორე დღეს როგორ შეძლო სახლში მისვლა და ამჟამად თუ ეტყობა მას წამების კვალი? სამწუხაროდ, მისი ნაამბობის დაზუსტების შესაძლებლობა გასაგები მიზეზების გამო არ მოგვეცა, თუმცა ამ დეტალებს, ალბათ, პროკურატურა დააზუსტებს, რომელსაც ის ჩვენების ჩამორთმევას სთხოვს.

მანამდე კი დავეყრდნოთ იმ განცხადებას, რომელიც თეიმურაზ გვარაძემ საპატიმროდან გამოგზავნა. მოკლედ, მას დეზერტირობის ბრალდებით 3-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს, 2012 წლის ზაფხულში კი მას საპატიმროში ესტუმრა რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც განუმარტეს, რომ პანკისის ხეობაში რამდენიმე ტერორისტს სამი ადამიანი მძევლად ჰყავდა აყვანილი და თან ჰქონდა საბრძოლო იარაღი დაღესტნის მოქალაქეებისთვის გადასაცემად. გვარაძე აცხადებს, რომ მას სპეცოპერაციაში მონაწილეობა სთხოვეს, კერძოდ – ორმხრივი სროლის დროს ტერორისტების ლიკვიდაცია დაავალეს. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ კი დაწესებულებაში დააბრუნეს.

„სასჯელს ვიხდიდი ქსნის დაწესებულებაში. 2012 წლის 15 მაისს, ღამის საათებში, გამომიყვანეს დაწესებულების ეზოში, სადაც შევხვდი 12 სპეცრაზმელს, ნიღბებში. ახსნა-განმარტების გარეშე დამიწყეს ცემა, რომელიც დაახლოებით 30 წუთი გაგრძელდა. ტრავმა მივიღე მარცხენა ფილტვზე. ეს მოხდა ხათუნა კალმახელიძის მინისტრობის დროს. 2012 წლის 14 ივნისს გადამიყვანეს #19 სამკურნალო დაწესებულებაში. 2012 წლის 27 აგვისტოს, როგორც მახსოვს, მომმართა ადმინისტრაციის თანამშრომელმა ნუგზარმა და მითხრა, შენთან შეხვედრა უნდათო. გავყევი ადმინისტრაციის ეზოში, სადაც დამხვდა სამი პიროვნება. ამიხსნეს, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სჭირდებოდათ დახმარება. მითხრეს, რომ კახეთში, კერძოდ, პანკისის ხეობაში რამდენიმე ადგილობრივი მაცხოვრებელი ტერორიზმში იყო ეჭვმიტანილი. სოფელ ლაფანყურიდან სამი კაცი ჰყავდათ მძევლად აყვანილი. თან ჰქონდათ უკანონოდ დიდი ოდენობით საბრძოლო იარაღი, რომელიც უნდა გადაეცათ დაღესტნის მოქალაქეებისთვის უხათციხის მთაში. დავთანხმდი და წამიყვანეს. დამევალა, ორმხრივი ცეცხლის გახსნის დროს ტერორისტების ლიკვიდაცია მომეხდინა. ადგილზე მისვლისას მომცეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „აკაესი“, 460 ვაზნით და 4 მჭიდით, „ნოკიას“ რაცია, ფანარი, ცეცხლსასროლი იარაღი „კარაბინი“, გადაკეთებული, ტყვიამფრქვევის ლულით, რუმინული წარმოების ბინოკლი და მჭიდების ჩასაწყობი ჟილეტი. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ დავბრუნდი შეხვედრის ადგილას, მათ ჩაიბარეს იარაღი, ვუთხარი ჩატარებულ ოპერაციაზე და დამაბრუნეს #19 დაწესებულებაში“, – აცხადებს თეიმურაზ გვარაძე.

„დამევალა, ორმხრივი ცეცხლის გახსნის დროს ტერორისტების ლიკვიდაცია მომეხდინა“

თეიმურაზ გვარაძემ ამბობს, რომ ის უშუალოდ მონაწილეობდა ლაფანყურის სპეცოპერაციაში და როგორც თვითმხილველს, შეუძლია, გამოძიებას მნიშვნელოვანი ჩვენება მისცეს, თუმცა პროკურატურა მისი პერსონით ამ დრომდე არ დაინტერესებულა. გვარაძე ამტკიცებს, რომ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები – სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი შეტაკების ადგილას არ დაღუპულან, რაც ეწინააღმდეგება გამოძიების ოფიციალურ ვერსიას.

2012 წლის 15 ნოემბერს თეიმურაზ გვარაძე პატიმრობიდან განთავისუფლდა. მისი თქმით, განთავისუფლების შემდეგ ის მუდმივ ზეწოლას განიცდიდა, ვინაიდან ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციას და გარკვეული პირებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. 2013 წლის მაისში თეიმურაზ გვარაძე ხელმეორედ დააკავეს და ძროხის ქურდობაში დასდეს ბრალი. როგორც თავად აცხადებს, მისგან წამების გამოყენებით ცდილობდნენ, მოეპოვებინათ აღიარება დანაშაულისა, რომელიც არ ჩაუდენია. სასამართლომ 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, ადვოკატის თანდასწრებით დაკითხოს თეიმურაზ გვარაძე და გადაამოწმოს ის ფაქტები და გარემოებები, რაზეც ის მიუთითებს. ასევე, უნდა მოხდეს რეაგირება მსჯავრდადებულის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე და უზრუნველყოფილ იქნას მისი, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი მოწმის, დაცვის ღონისძიებები“, – განაცხადა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ დირექტორმა ალეკო ცქიტიშვილმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI GROUP
ორბელი ჯგუფი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI GROUP
ORBELI
ორბელი

100 ლარიანი
ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოქრუაშვილმა გეგმა „ბ“ აამუშავა

გეგმა, რომელზეც გიორგაძემ უარი თქვა, შესაძლოა, ოქრუაშვილმა გამოიყენოს

ხათუნა მგალობლიშვილი

ირაკლი ოქრუაშვილმა პირველივე წინააღმდეგობაზე უკან დაიხია და კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ გორის სათავეში მოსვლის გეგმა „ბ“ აამუშავა. ითქვა, რომ მერობის კანდიდატად „ქართული პარტიის“ გორის ოფისი კახა ერგემლიძეს დაასახელებდა. „ქართული პარტიის“ გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, კახა ერგემლიძეს 2011 წელს ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. საპატრულო პოლიციამ ის ღერძულა ხაზის გადაკვეთის საბაბით გააჩერა, დაკავების მიზეზად კი სამართალდამცავებმა ალკოჰოლის ტესტის გავლაზე უარის თქმა დაასახელეს. ინფორმაცია ოქრუაშვილმა მარტივად გაატარა და როგორც ამბობდნენ, აპრილის დასაწყისში ერგემლიძეს ოქრუაშვილთან ერთად საარჩევნო კამპანიაც კი უნდა დაეწყო. გეგმის მიხედვით ერგემლიძის პიარზე პირადად ოქრუაშვილს უნდა ეზრუნა, ყველა მის შეხვედრას, გამოსვლას, ამომრჩეველთან საუბარს პირადად უნდა დასწრებოდა. ერგემლიძე ინფორმაციას არც ადასტურებდა და არც უარყოფდა. თუმცა გეგმა „ბ“ ლიდერს მალევე მოსწყინდა და ლიდერობა უკან დაიბრუნა. როგორც ამბობენ, ოქრუაშვილი სიების შეგროვებით არის დაკავებული და მხარდამჭერების მოგროვებას დაუღალავად ცდილობს. რამდენად გამოუვა გორის მოსახლეობის გულის მოგება, ეს ცალკე თემაა, თუმცა მისივე გავრცელებული ინფორმაციით, პოლიტიკურ კვლევებში ოქრუაშვილი, როგორც გორის მერობის კანდიდატი, მთავარ კონკურენტთან ლიდერობს. ირაკლი ოქრუაშვილი დარწმუნებულია, რომ „ოცნების“ კანდიდატთან შედარებით გორში გამარჯვების ბევრად დიდი შანსები აქვს. შესაბამისად, უკან დახევას და საკუთარი თავის ერგემლიძით ჩანაცვლებას აღარ აპირებს.

ოქრუაშვილის არჩევნების საშოქმედო სქემა „პრაიმტაიმმა“ საკუთარ გაზეთში ერთხელ გაშიფრა. არ არის გამორიცხული, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ძველი პოლიტიკური ხრიკები გამოიყენოს, რომლის განხორციელებაზეც თავის დროზე იგორ გიორგაძემ უარი განაცხადა. თუმცა ფაქტია, რომ გეგმა მაშინაც გაამართლებდა და სავარაუდოდ, ახლაც გამოიყვანს დაბლოკილ კანდიდატს ჩიხიდან. ოქრუაშვილს მერობის კანდიდატად დარეგისრირებაზე უარი იმ მარტივი მიზეზით უთხრეს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ზედიზედ არ უცხოვრია. იგივე პრობლემა იგორ გიორგაძეს 1999 წელს შეექმნა. კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გამო არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცა. შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, გიორგაძემ გამოაცხადა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ის ცხინვალსა და აფხაზეთში ცხოვრობდა. ბუნებრივია, ვერავინ შეედავებოდა აღნიშნული ტერიტორიების საქართველოდ მოხსენიებაში. თუმცა მოგვიანებით გიორგაძემ საკუთარ განზრახვაზე თავადვე თქვა უარი. როგორც ამბობენ, სწორედ გიორგაძის განუხორციელებელ გეგმას იყენებს ოქრუაშვილი. მეტიც, არის ვარაუდი, რომ ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივები დაადასტურებენ, რომ ყოფილი მაღალჩინოსანი სწორედ მათთან ერთად ცხოვრობდა, მათ უფლებებს იცავდა... ეს კიდევ დამატებითი, პოლიტიკური ქულების დაწერის შანსი გახდება გორელების გულის მოსაგებად. მოკლედ, ვერსია ბევრია და ალბათ, რეალურიც. მით უფრო, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსების ხელშეწყობით საარჩევნო უბნებიც გაიხსნას და ადგილობრივების ხმები სწორედ ოქრუაშვილის სასარგებლოდ მობილიზდეს. ბუნებრივია, ეს მხოლოდ ვარაუდებია, თუმცა ფანტაზიის საშუალებას თავად ოქრუაშვილის თავდაპირველი განცხადება იძლევა, როდესაც მან ხელისუფლების მისამართით მუქარა გაუშვა, ყველაფრის ფასად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებშიო...

რუსეთის პარალელურად ოქრუაშვილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეზეც მუშაობს. ახლად შექმნილი ოპოზიციური გაერთიანებები ნაწილობრივ ადასტურებს კიდეც ოქრუაშვილთან შესაძლო თანამშრომლობას. უფრო სწორად კოალიციაში ოქრუაშვილის მიღებას უარყოფენ, თუმცა გორში საერთო კანდიდატის ირგვლივ გაერთიანებას არ გამორიცხავენ.

ფიქრია ჩიხრაძე:

– კანდიდატები შესაძლოა, ბევრ სხვა პარტიასთან შევათანხმოთ და ავაცილოთ ერთმანეთს. ეს არის მომავლის საქმე, მაგრამ ბლოკის სუბიექტში, შეიძლება ითქვას, რომ ოქრუაშვილს გამოვრიცხავთ. რაც შეეხება ფართო ოპოზიციურ თანამშრომლობას, რომელიც კანდიდატების ერთმანეთისთვის არდაჯახებას ითვალისწინებს, შეიძლება ამ მიმართულებით ბევრ სხვა პარტიებთანაც მოგვიწიოს თანამშრომლობა.

იგივე მოსაზრებისაა მამუკა კაციტაძეც, კახა კუკავაც. ყველა მათგანი ადასტურებს, რომ ოქრუაშვილის კანდიდატზე ჯერ არ უმსჯელიათ, თუმცა ადასტურებენ, რომ საკითხს გვერდს ვერ აუვლიან: „ამ თემებზე პოლიტიკური საბჭოს ბლოკი იმსჯელებს, გორზეც გვექნება საუბარი, ხულოზეც და ლაგოდეხზეც“.

ბუნებრივია, რომ ოქრუაშვილი მარტივად მოიგებს პრორუსული ძალების გულს. შესაბამისად, სულაც არ არის გამორიცხული, მის კანდიდატურას მხარი ბურჯანაძის პარტიამაც დაუჭიროს. ბურჯანაძესთან მიმართებაში ოქრუაშვილს ძველი გამოცდილებაც დაეხმარება. მართალია, თავის დროზე ოქრუაშვილი-ბურჯანაძის საერთო გეგმა კრახით დასრულდა, მაგრამ მორიგ მცდელობას, სავარაუდოდ, წინ არაფერი დაუდგება. მით უფრო, რომ 26 მაისის მწარე გამოცდილებას ამჯერად ბევრად ღრმად გააანალიზებენ...

26 მაისის აქციების პერიოდში არსებობდა ინფორმაცია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში „გრუ“-ს დანაყოფები იყვნენ შემოყვანილი და იყო ეჭვი, რომ ირაკლი ოქრუაშვილს შეეძლო, ეს გამოეყენებინა. მით უფრო, რომ ის პერიოდულად მხარდაჭერას უცხადებდა ბურჯანაძის მხარდამჭერებს და თანაც პირობას დებდა, რომ აქციებს პირადად შეუერთდებოდა. სწორედ ამიტომ მაშინდელმა ძალოვანმა უწყებამ გადაწყვეტილება მიიღო საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების ზომები გაეძლიერებინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მოგვიანებით განაცხადა კიდეც, რომ საქმე ჰქონდათ მიზანმიმართულ პროვოკაციასთან. შოთა უტიაშვილი: „ამ პერიოდში თბილისში სახალხო კრების მიერ დაგეგმილი აქციები მიმდინარეობდა და ყველასთვის ცხადი იყო ნინო ბურჯანაძის ღიად გაცხადებული კავშირი რუსეთის ხელისუფლებასთან. ამ ყველაფერმა გვაფიქრებინა, რომ საქმე გვქონდა კარგად დაგეგმილ პროვოკაციასთან და შესაბამისი ზომები უნდა მიგვეღო, რომ ეს პროვოკაციები არ განხორციელებულიყო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რამოდენიმე შტრიხი ლევან ვასაძის რაინდობიდან

მთაწმინდიდან ტიტულებამდე

ქეთი ხატიაშვილი

ლევან ვასაძეზე შეიძლება ითქვას, რომ ამ სამყაროში არ ცხოვრობს. მომსახურების ზონიდან არის გასული და საკუთარ თავზე იმდენად შეყვარებულია, რომ რეგალიებს რეგალიებზე იმატებს. საერთოდ, უცნაურია, როცა ადამიანებს სხვები არ აღიარებენ, ამიტომაც თავადვე უწევთ საკუთარი თავის აღიარება. ასე გახდა ლევან ვასაძე ლამის ბაგრატიონებზე უფრო მნიშვნელოვანი პერსონა. თავი ჯერ სამეფო კარზე რეგენტად გამოაცხადა, ალბათ, ის უკვე ქართველ რიშელიედაც გრძნობს თავს (რიშელიე კი კარდინალია, მაგრამ არც ამ ტიტულის მოპოვება გაუჭირდება, ალბათ, ვასაძეს). შემდეგ ნარცისიზმმა იმდენად გიტაცა, რომ ველარ მოზომა და რაინდადაც ეკურთხა, ანუ ახლა ის საკუთარ თავში არა მხოლოდ ძლევამოსილ და გავლენიან რიშელიეს ხედავს, არამედ მეფე არტურის მემკვიდრეობასაც განიცდის. **არ არის გამორიცხული, სახლში მრგვალი მაგიდაც ჰქონდეს.**

ნუ, რეგენტი კიდევ გასაგებია. და ამ თანამდებობისთვის მან ჯერ სამეფო ქორწილი დაგეგმა, შემდეგ ანა და დავითი რამდენჯერმე შეარიგა, შემდეგ მათი შვილი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. მოკლედ, საკუთარ სტატუსს მთელი სამეფო პეიზაჟი ლეგოსავით აუწყო. ასეთ სცენარს საქართველოში რეჟისორები ვერ წერენ, თორემ, ალბათ, ვასაძეზეც დაწერდნენ რამეს. მხოლოდ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ვიხილეთ მისი პროტოტიპი.

აი, რაინდის ტიტული კი ლამის უპეიზაჟოდ დარჩა. ქართულ ტრადიციადაც კი მონათლა რაინდობა, თითქოს მეფე არტურს ბებია ჰყავდა ქართველი.

და როცა უკვე რიშელიეც ხარ და არტურიც, კი უნდა იღვაწო საქართველოს ნათელი მომავლისთვის. ეს ნათება კი მას უკვე დიდი ხანია ამბიციებს უჩქროლებს.

ალბათ, მალე თეთრ ცხენზეც ამხედრდება და ვინც მასზე მაღალია, თავის დაბლა დახრას უბრძანებს. რატომ, თუკი ფრანგი რიშელიე და ინგლისელი არტურია ქართული ტრადიცია, რატომ არ შეიძლება ჩინეთის იმპერატორების ეს ახირებაც ტრადიციული გახდეს?

ისე, ხალხს ისიც მონად აღიქვამს, არასოდეს ეკარება მათ. მაგალითად, 17 მაისს ტაბურეტიანმა მამებმა რომ დაიწყეს რუსთაველზე სირბილი, ლევან ვასაძე მაშინ გამოჩნდა იქ, როცა მისი აღმატებულებისთვის სათანადო სივრცე შეიქმნა. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება?

მისი სივრცე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ სივრცეში მოხვედრა მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ, ხალხს – არა. აბა, სად ჩვენ და სად ის. გაჩერებას ვასაძე, როგორც ჩანს, არ აპირებს. როგორც მედიაში წერენ, მალე სამეფო კარი მთავრობასაც შექმნის.

„საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონმა დარეჯანის სასახლეში ქველმოქმედ ლევან ვასაძეს საქართველოს სამეფო გვირგვინის ორდენის რაინდის წოდება მიანიჭა. როგორც ნუგზარ ბატონიშვილმა „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ განუცხადა, სამეფო სახლი სამეფო გვირგვინის მთავრობის შექმნასაც გეგმავს, რომლის წევრებად, სხვებთან ერთად, ნონა გაფრინდაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, პაატა ბურჭულაძე და ლაშა თაბუკაშვილიც მოიაზრებიან“.

ახლა, როცა ტიტულები აქვს, ბრენდიც უნდა გახდეს, რითია მაკდონალდზე ნაკლები? ერთ დროს მაკდონალდიც ერთი ჩვეულებრივი გვარი იყო.

გაბრენდებისთვის კულისებიდან გარეთ უნდა გამოვიდეს. ეს გარეთ კი, ალბათ, ძალიან სძულს. იქ ხომ ხალხია, რომელიც მისთვის შეიძლება ჭუჭყადაც აღიქმება. ამიტომაც ჯერ მხოლოდ წერილებს იწერება. ჩვენ ჯერ არ ვიცით, სხვა რა შეუძლია რაინდს. ჯერ ლექსად წერდა, მაგრამ რეგალიების შემდეგ ჟანრი შეიცვალა და ახლა პუბლიცისტიკაში გადაიჭრა.

თუცა, შესაძლოა, მას უბრალოდ დახვეწილი გემოვნება აქვს და კარგად იცის, რომ ბედნიერება ლექსად უნდა ეძებოს და სამართალი – პუბლიცისტურად. ბოლო მისი ინიციატივა სწორედ ასეთი იყო, – სამართლიანობის აღდგენის კომისია უნდა შეიქმნასო.

ნუგზარ ბაგრატიონმა ბიზნესმენი ვასაძე რაინდად კი აკურთხა, მაგრამ რა

დამსახურებისთვის, არ უთქვამს. საერთოდ, რაინდები მათი ბრენდია, თუ მაინცდამაინც ბრენდამდე უნდა ავიყვანოთ ყველაფერი, ვინც საკუთარი ქვეყნისთვის იბრძვის. ლევან ვასაძე, ამ მხრივ, პუტინის რაინდს უფრო ჰგავს, იმდენად დარწმუნებულია, რომ სწორედ „რუსეთის იმპერიამ გააერთიანა საქართველო“.

პუტინის რაინდს, ამ ერთი წინადადების გარდა, თავის წერილებში მთელი კონცეფციები აქვს ჩამოყალიბებული, რატომ არის რუსეთი ჩვენი მამა და მარჩენალი. მაგრამ ახლა ამ თემას არ შევეხებით.

საინტერესოა, როგორ არის შედგენილი ვიკიპედიაში ლევან ვასაძის ბიოგრაფია. თავშივე უწერია, გაიზარდა მთაწმინდაზე. ანუ მთაწმინდა ჩვენთან ბუმბერაზ ადამიანებთან ასოცირდება, პანთეონის გამო. და იშვიათად, თუ ვინმე წარმოიდგენს მთაწმინდის ხსენებაზე, რომ იქ უმრავლესად იტალიური ეზოები, ავარიული სახლები და საშუალოზე დაბალი ფენაა. სოციალურ ქსელებში ვასაძეს შეახსენეს კიდეც, შენ იმ კაცის შვილი არ ხარ, ხალხს შარდით რომ მკურნალობდა და ფულს ასე შოულობდაო.

მოკლედ, ეს ერთი დიდი კომედიაა, ან შეიძლება ტრაგედიაც. როცა ამბიციები ამდენად გეძალება, რომ იძულებული ხარ, საკუთარ თავი მითებში აცხოვრო. თუმცა, სოციალურ ქსელებში ამბობენ, რომ ლევან ვასაძემ, უბრალოდ, დიდი ავანტიურა გაითამაშა და მთელი ამ სამეფო კარის დაარსებით ის ცდილობს, ბიუჯეტზე აიწყოს საკუთარი ცხოვრება. განიხილებოდა კიდეც, როგორ უნდა შეენახა ბიუჯეტს, და შესაბამისად, თითოეულ ჩვენგანს, სიმბოლური მეფე-დედოფალი რაღაც გაურკვეველი მომავლისთვის. უხეში გათვლებით თითოეულს წლიურად 6 ლარიდან ზევით უნდა ჩამოგვეჭრას ხელფასიდან, რომ მათ მეფური დიდებულებით იცხოვრონ. ავანტიურაა ეს, აბა, რა არის? – კითხულობენ სოციალურ ქსელებში და ლევან ვასაძეს ამ დიდი ავანტიურის ავტორად ასახელებენ. რომ არა ის, არაფერიც არ იქნებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ ჩხეიძე: „ის ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტს გაჰყვირიან აღნიშნულ ლოზუნგს, სწორედ რომ დესტრუქციულ რამეს გულისხმობენ“

სოსო ცისკარიშვილი: „დროა, რომ სახელმწიფომ ისაუბროს სამართლიანობის დამკვიდრებაზე და არა სამართლიანობის აღდგენაზე“

ხათუნა მგალობლიშვილი

„სამართლიანობა უნდა აღდგეს“ – ეს ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ფრაზაა. მაგრამ გაგრძელებაც აქვს, რომელსაც ლოზუნგის მოყვარულები, როგორც წესი, არ აღიარებენ – რა უნდა აღდგეს, რაც არ ყოფილა? სწორედ ამიტომ ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ „სამართლიანობის აღდგენის“ მოთხოვნა უფრო პოლიტიკური პოზა და ქულების დაწერის უნიჭო მცდელობაა, ვიდრე გააზრებული ნაბიჯი...

ბიზნესმენი ლევან ვასაძე ხელისუფლებას ღიად დაუპირისპირდა. საჭირო დროს საჭირო დარტყმა განახორციელა. თანაც წინასაარჩევნოდ. თემაც მგრძნობიარე აირჩია – სამართლიანობის აღდგენა. ტერმინი ყურში ხვდება, თუმცა საერო ნამდვილად არ არის. ამას ნებისმიერი ექსპერტი, პოლიტიკოსი და, უბრალოდ, მოაზროვნე ადამიანი მარტივად ახსნის. გარდა ამისა, მოთხოვნა ძალიან ინდივიდუალურიცაა. მაგალითად, ნინო ბურჯანაძისთვის სამართლიანობა მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც ნაციონალები მთელ საქართველოში „გაწყდებიან“. მისთვის სწორედ მაშინ იზეიმებს სამართალი; შალვა ნათელაშვილისთვის სამართლიანობა მისი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აღდგება; კობა დავითაშვილისა კი მაშინ, როდესაც მის მიერ დაწერილ კანონპროექტებს პარლამენტში უალტერნატივოდ, ყოველგვარი განხილვის გარეშე მიიღებენ... ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. სიას სულ რამდენიმე დღის წინ ბიზნესმენი ლევან ვასაძეც მიემატა. სხვათა შორის, ვასაძეს სჩვევია არჩევნების წინ გააქტიურება, მწვავე პოლიტიკური განცხადებების გაკეთება და შემდეგ იმის მტკიცება, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს. ბუნებრივია, კითხვები ახლაც გაჩნდა, მით უფრო მაშინ, როდესაც ვასაძემ საკმაოდ ღიად და საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა ხელისუფლება და ყველაზე მთავარის არშესრულებაში დასდო ბრალი...

ლევან ვასაძე:

– ბოდიში მაინც მოუხადონ ხალხს სახელმწიფოს სახელით, რადგან ახლა მას ისინი წარმოადგენენ. მერე აიღონ და ყველა ის პოლიტიკოსი, მოსამართლე, პროკურორი და ბადრაგი გაასამართლონ კანონით, ვინც ამას სჩადიოდა, მათი უკანონო ქონების კონფისკაცია მოახდინონ და რამდენსაც შეძლებენ, იმდენი კომპენსაცია მისცენ ხალხს. სხვა სახის კომპენსაციებიც მოიფიქრონ. მაგალითად, სამართლიანობის აღდგენის კომისია შექმნან, რომელშიც შევლენ სახელისუფლებო სამივე შტოს ხელმძღვანელი, პატრიარქი და გამოიმუშაონ სამართლიანობის აღდგენის მეთოდიკა, ანუ აიყვანონ ეს პროცესი სახელმწიფო პრიორიტეტის რანგში არა სიტყვებით, არამედ საქმით. რეჟიმის მსხვერპლთ სიცოცხლის ბოლომდე საგადასახადო და სამედიცინო შეღავათები დაუწესონ და ა.შ. უამრავი რამის გაკეთება შეიძლება. და ჩვენი ზოგიერთი მოხელის გასაგონად ვიტყვი, ეს იქნება არა სახელმწიფოს ხარჯი, არამედ სახელმწიფოს მოგება, რადგან წელში გამართული, რეაბილიტირებული მოქალაქე მეტს შეიტანს იმ ბიუჯეტში, რომლითაც სახელმწიფო იკვებება. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, როდესაც გვესმის, ამდენს ჩვენი სასამართლო ვერ მოერევაო.

ვასაძის განცხადებაზე მეტად საინტერესო ამ შემთხვევაში საზოგადოების რეაქცია აღმოჩნდა. საკმაოდ ლოგიკური კითხვები ისევ მისი მიმართულებით გაჩნდა. მაგალითად, ადამიანებს აინტერესებთ, უფრო კონკრეტულად როგორ წარმოუდგენია ვასაძეს „სამართლიანობის აღდგენის“ კომისიის მუშაობა, ან რა უფლებები უნდა ჰქონდეს ასეთი ტიპის კომისიას, პროკურატურასა და სასამართლოზე მეტი? თუნდაც როგორ მოხდება საკითხის გადაწყვეტა – მორალიდან თუ კანონიდან გამომდინარე? ეს ის დეტალებია, რომელიც ვასაძეს არ აინტერესებს. მან განცხადება გააკეთა, იდეა მესიჯად გაავრცელა და ახლა რეაქციებს უფრო აკვირდება, ვიდრე შედეგს... თავად ბიზნესმენს მიაჩნია, რომ „ქართველი საზოგადოებისთვის ფული არ არის მთავარი, მადლობა ღმერთს, ჯერ ასე არ გადავგვარებულვართ, გამუდმებული მცდელობის მიუხედავად“. როგორც ჩანს, ლევან ვასაძე ფიქრობს, რომ ადამიანი, რომელიც თავს ქონებაწართმეულად თვლის, ხელისუფლების ბოდიშით დაკმაყოფილდება. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ეს კონკრეტული ადამიანი, რომელიც ხელისუფლების მიერაა ჩაგრული. აქ ერთადერთი პოპულარული კითხვა ჩნდება: ამ ჩაგრულმა და დაზარალებულმა, გნებავთ ქონებაწართმეულმა და გნებავთ უკანონოდ დაპატიმრებულმა ბოდიში „ჭამოს“?

პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს საერთო არც ესმით აღნიშნული ტერმინის შინაარსი. მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამართლიანობა არა თუ ოცდამეერთე, არამედ მეოცე საუკუნეშიც კი არ ყოფილა. შესაბამისად, სამართლიანობა კი არ უნდა აღდგეს, არამედ უნდა დამკვიდრდეს.

თამარ ჩხეიძე, პოლიტიკოსი:

– უმეტესად სიტყვა სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკურად გამოყენებული ტერმინია. რომელი სამართლიანობის აღდგენას გულისხმობენ, აბსოლუტურად გაუგებარია. სააკაშვილის წინ შევარდნაძის რეჟიმი იყო და თუ მათ მიაჩნიათ, რომ შევარდნაძე სამართლიანობის განსახიერება იყო, ეს ნამდვილად არ ვიცი. ეს მოთხოვნა კანონიერი და კონსტრუქციული იქნებოდა მათი მხრიდან, ვინც ნამდვილად დაზარალებულია. მაგალითად, ვისაც ქონება ჩამოართვეს უკანონოდ, ან ვინც უკანონოდ იმყოფებოდა პატიმრობაში, ან ძალიან დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი და ბინის გარეშეა დარჩენილი. ასეთ ადამიანებზე ზრუნვა და მათი ხვედრის შემსუბუქება იგივე ქონების დაბრუნებით, სახელმწიფოს დახმარებით ჩემთვის მისაღებია. ის ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტს გაჰყვირიან აღნიშნულ ლოზუნგს, სწორედ რომ დესტრუქციულ რამეს გულისხმობენ: ისინი გულისხმობენ სიძულვილისა და ძალადობის გაღვივებას პოლიტიკური ნიშნით, თანაც პოლიტიკური პარტიების მიმართ. აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პარტიის წინააღმდეგ იქნება ეს ძალადობა, ასეთი ძალადობა ნებისმიერი პარტიის მიმართ აბსოლუტურად მიუღებელია.

სოსო ცისკარიშვილის აზრით, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა ლოგიკურია, როდესაც ამას კონკრეტული პირები ითხოვენ. მაგალითად, ის ადამიანები, რომლებსაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ქონება წაართვა. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც გასათვალისწინებელია: რა დააშავა ადამიანმა, რომელსაც ქონება შევარდნაძის დროს წაართვეს? ან რატომ არ უნდა დაუბრუნდეს მას საკუთრება? შესაბამისად, როდესაც სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრებაზეა საუბარი, პირველ რიგში, სწორედ პერიოდები უნდა დადგინდეს, როდიდან უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ ეგრეთწოდებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი...

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– ტერმინი დამკვიდრდა ორმაგი გაგებით: ცალკეული მოქალაქისთვის, რომელსაც უკიდურესად უსამართლოდ მოექცნენ, გამოსტაცეს საკუთრება, უსამართლოდ დააპატიმრეს – ბუნებრივია, ასეთ ადამიანებს სურთ, რომ აღდგეს მათ მიმართ სამართლიანობა. რაც შეეხება სახელმწიფოს, მისთვის ეს ტერმინი მიუღებელი უნდა იყოს. იმ საუკუნეების განმავლობაში, რომელზეც ჩვენ წვდომა და რეალური ვითარების შეფასების საშუალება შეიძლება გვქონდეს, წესით, არც ერთი სტანდარტი ყოფილი სამართლიანობისა, ნამდვილად არ უნდა გვაწყობდეს. ამიტომ დროა, რომ სახელმწიფომ სამართლიანობის დამკვიდრებაზე ისაუბროს და არა სამართლიანობის აღდგენაზე. აღსადგენი თავად განახორციელოს კონკრეტული პირების მიმართ. სულ ცოტა, მეოცე საუკუნეში, რომ აღარაფერი ვთქვათ ოცდამეერთე საუკუნეზე, არც ერთი პერიოდი არ გვეგულება ისეთად, რომელიც მისაღები იქნება დღევანდელი დემოკრატიული სტანდარტებისთვის.

– გამოდის, პოლიტიკოსები ვერც ათვითცნობიერებენ, რას ითხოვენ?

– ეს ადამიანები, უბრალოდ, ტერმინოლოგიას აჰყვნენ, ისინი სიღრმეში არ ჩასულან. თუმცა ბევრი ამბობს, რომ ამ მიმართულებით აღსადგენი არც არაფერია. სწორედ ეს შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ, თუ ის გაზარმაცდება და იტყვის, რომ აღსადგენი არაფერია და შესაბამისად, ვერც ვერაფერს აღადგენს. მაშინ საზოგადოების რეაქციაც ადეკვატური იქნება. მარტო უკანასკნელი წლების განმავლობაში დაახლოებით 10 ათასამდე მოქალაქე დაგროვდა, რომლის მიმართაც სამართლიანობა აღსადგენია და ამ ადამიანებმა საკუთარი დაჩაგრულობა დოკუმენტურად დაადასტურეს.

– ამ ლოგიკით მაშინ სამართლიანობა არა მარტო უკანასკნელ წლებში დაჩაგრული ადამიანების მიმართ, არამედ შევარდნაძის პერიოდში დაჩაგრულების მიმართაც უნდა აღდგეს...

– რა თქმა უნდა, განხილვის თემაა, როდიდან უნდა მოხდეს აღდგენა და რა პერიოდის დარღვევების შესწავლა უნდა მოხდეს. მაგალითად, გერმანია დღესაც იხდის კომპენსაციის თანხებს მეორე მსოფლიო ომში დაზარალებული ოჯახების მიმართ. ისინი საკუთარ პასუხისმგებლობას დღესაც გრძნობენ. შესაბამისად, ვადებზე საუბარი არასწორია. ბუნებრივია, მეოთხე-მეხუთე თაობით უკან წასვლა შეიძლება ვერ ჩაჯდეს სამართლებრივ ჩარჩოებში. ზოგადად, სამართლიანობის აღდგენა სწორი მოთხოვნაა, როდესაც მოდის საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლებისგან, მაგრამ არცთუ სრულყოფილი ტერმინია, როდესაც ამაზე სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები საუბრობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ცაგარეიშვილი:

„არ არის ირაკლი ალასანია ის ადამიანი, რომელიც გულში რაღაცას ჩაიხვევს, არ არის ბოღმა და ღვარძლიანი, ის მიიღებს შენიშვნას, დაფიქრდება ამ შენიშვნაზე, გააგრძელებს ცხოვრებას და შეეცდება, შენიშვნა გამოასწოროს“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ნდობის ახალი მანდატის გადაცემა თავად მთავრობისთვისვე იქნება ძალიან კარგი. ვინ წავა, ვინ მოვა, ამას, ალბათ, უფრო არჩევნების შემდეგ დავინახავთ“

„თავისუფალი დემოკრატების“ სტილი უცვლელია. ჯერ კიდევ „ალიანსიდან“ მოყოლებული, მიღებულ გადაწყვეტილებებს ბოლო წამამდე მალავენ. ირაკლი ალასანიამ ოპოზიციაში ყოფნისდროინდელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტის – „ალიანსის“ დაშლის შემდეგაც ვერ შეძლო სიმართლის თქმა. მისი მაშინდელი გუნდის წევრები ასეთ შეფასებას აკეთებდნენ, ჩვენ კი არ დავიშალეთ, გავიშალეთო.

ახლაც დაახლოებით იგივე ეტაპია – დაშლა-გაშლის. უბრალოდ, ამას დემოკრატები, ბუნებრივია, არ აღიარებენ. შიდა მოლაპარაკებები, როგორც პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. თუმცა ოფიციალურად რადიკალურად განსხვავებული განცხადებები კეთდება. ირაკლი ალასანიას გუნდის წევრები ხმამაღლა აცხადებენ, ჩვენ ის ხალხი არ ვართ, ვინც დამოუკიდებელ თამაშს დავიწყებთ, მაშინ როდესაც გუნდურობა უმნიშვნელოვანესია. თუმცა ახლო წარსულის კარგი მცოდნე ნებისმიერი ადამიანი ძალიან ბევრ ფაქტს გაიხსენებს, როდესაც ალასანია სწორედ გუნდურობის დროს არღვევდა დაუწერელ წესებს და დამოუკიდებლად იწყებდა მოქმედებებს. პარტიაში მსგავს ქმედებებს გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ მათ, როგორც ყველაზე ძლიერებს, ბუნებრივად ჰყავთ ბევრი მოწინააღმდეგე...

გიორგი ცაგარეიშვილი, „თავისუფალი დემოკრატების“ საპარლამენტო წევრი:

– სუსტს არასოდეს არ ებრძვიან, ებრძვიან მხოლოდ ძლიერს. პოლიტიკური გვამების გაცოცხლება შეუძლებელია. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“, ძლიერები ვართ, ირაკლი ძლიერია და მე ამით უზომოდ ამაყი ვარ. ჩვენ მიერ გამოვლილმა ქარტეხილებმა უფრო გაგვამყარა. სწორედ ამიტომაც გვებრძვიან. ეს სულ ასე იქნება და ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ. როდესაც ჩვენზე არავინ აღარ დაწერს, როცა ალასანიაზე აღარ გავრცელებენ ჭორებს, სწორედ მაშინ დასრულდება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება. უამრავი პარტია შემიძლია დაგისახელოთ, რომლებიც უბრალოდ არსებობენ, ძლივს სუნთქავენ, მათზე არავინ ჭორაობს, არავინ წერს, ჟურნალისტებს ისინი არც კი ახსენდებათ. ჩვენზე გამუდმებით წერენ. ასე ხდება საზღვარგარეთაც. ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, არც აპოკალიფსური სურათი არ უნდა დავხატოთ.

– პოლიტიკურ წრეებში განიხილება ახალი კოალიციის შექმნის საკითხი, არის ამაზე პარტიაში საუბარი?

– ეს არის სისულელე, მე ვარ გამგეობის წევრი, ჩვენ ნამდვილად არ ვფიქრობთ გამოყოფებზე, გადაბარგებებზე, ბლოკების შექმნაზე. მსგავსი რამ არც ერთ პარტიულ ყრილობაზე არ განხილულა და არც განიხილება. არ ვართ ჩვენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვიღაცის ზურგს უკან ვიხლაფორთებთ, უშნო მოძრაობებს გავაკეთებთ, რაღაცებს ვიჩალიჩებთ. ამის არც საჭიროებაა და არც აუცილებლობა. თუკი ვინმე პარლამენტში აქტიურობს და საპარლამენტო მძიმე ჭაპანს ეწევა, სწორედ „თავისუფალი დემოკრატები“ არიან. ჩვენ ვართ ერთიანი კოალიცია, ყოველ შემთხვევაში 2016 წლამდე. კოალიციას დაშლა არ ემუქრება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ შევიმუშავეთ ერთიანი პროგრამა არჩევნებისთვის და ეს ერთად უნდა შევასრულოთ, შემდგომში რა იქნება, ამას ორ წელიწად-ნახევრით ადრე ნამდვილად ვერ გეტყვით. პირველი ტალღა მაშინ აგორდა, როდესაც იმჟამინდელმა პრემიერმა შენიშვნა მისცა თავდაცვის მინისტრს. პარლამენტში არც მაშინ არ შეგვქმნია საჩოთირო მდგომარეობა. ჩვენ ვართ მეგობრულები, ბუნებრივია, შეიძლება იყოს შენიშვნები პრემიერისგან, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, არა იმიტომ, რომ რაღაც მომენტში მათი იდეოლოგიური ხედვები ან მოსაზრებები ასცდა ერთმანეთს, არამედ იმიტომ რომ ერთი არის უფროსი და მეორე უმცროსი, უხეშად რომ ვთქვათ, ბიუროკრატიული კიბის მიხედვით. არ არის ირაკლი ალასანია ის ადამიანი, რომელიც გულში რაღაცას ჩაიხვევს, არ არის ბოღმა და ღვარძლიანი, ის მიიღებს შენიშვნას, დაფიქრდება ამ შენიშვნაზე, გააგრძელებს ცხოვრებას და შეეცდება, შენიშვნა გამოასწოროს.

ზვიად ძიძიგური: „ხან მესმის, რომ ფორუმელები მიდიან, ხან რესპუბლიკელებზე ამბობენ, რომ ნაციონალებთან ერთად ქმნიან კოალიციას, ახლა ალასანიაზე ამბობენ. ეს ყველაფერი არის კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების სურვილი“

– ელოდებით, რომ ალასანიას თანამდებობას შეუცვლიან? ითქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანენ...

– მსმენია უამრავი ვერსია. ზოგადად, ცვლილებებში ტრაგედიას ვერ ვხედავ. საერთოდ, დღევანდელი მთავრობა საქართველოს ისტორიაში ყველაზე სტაბილური მთავრობაა. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ერთი „ჰობი“ მქონდა, ვითვლიდი, რამდენ მინისტრს შეცვლიდა სააკაშვილი. ბოლოს 104-ზე რომ ავედი, სათვალავი ამერია. ეს ძალიან ცუდია, არ შეიძლება ერთი ადამიანი იყოს კულტურის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქალბატონ ეკა ტყეშელაშვილს ვგულისხმობ და ოქრუაშვილსაც. არ შეიძლება ადამიანი იყოს თავდაცვის მინისტრი, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, უფრო მოგვიანებით მთავარი პროკურორი და შემდეგ ეკონომიკის მინისტრი. ეს მარაზმია და წარმოუდგენელია, არ შეიძლება ყველაფრის ოსტატი იყო. მე რომ დამაყენოთ ახლა ეკონომიკის სამინისტროს სათავეში, დავაქცევ სამინისტროს. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ირაკლი ალასანია შეიცვლება, ერთი მარტივი მიზეზის გამო – როგორ ფიქრობთ, უელსის ნატოს სამიტამდე საქართველოს მთავრობა დაუშვებს თავდაცვის მინისტრის შეცვლას? არანაირად არ იქნება გამართლებული. ეს იქნება ღრმა არაპროფესიონალიზმი და აგდებული დამოკიდებულება მოვლენისადმი. ჩვენ სტაბილურად მივდივართ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ, ეს არის ჩვენი არჩევანი. გარდა ამისა, არა მგონია, შეიცვალოს თავდაცვის მინისტრი, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს თავის მოვალეობას.

– თუმცა კითხვები ძალიან ბევრს აქვს ალასანიას მისამართით...

– თუ დეარეასა და ფაღარათზე ვსაუბრობთ, ამ კითხვებს მშვენივრად უპასუხა თავად მინისტრმა. მართლაც ტვინში უნდა ჰქონდეს დეარეა ადამიანს, რომელიც ქართულ ჯარს ებრძვის. უნდა ხვდებოდე ადამიანი, რომ, როცა ქართულ ჯარს ებრძვი, ებრძვი ქართულ სახელმწიფოსაც. ეს ჩვენ არასოდეს გაგვიკეთებია ოპოზიციაში ყოფნის დროს, არც კითხვის ნიშნის ქვეშ დაგვიყენებია, მაშინაც კი, როდესაც 2007 წელს ახალგაზრდები გამოიყვანეს და კომენდანტის საათი დაგვინიშნეს. ამიტომ ვფიქრობ, ალასანიას გადაადგილება არ მოხდება, გარდა ამისა, ვერ ვხედავ ცვლილების აუცილებლობას. ახლა არ არის პერტურბაციების დრო, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნების შემდეგ მოხდეს გარკვეული სახის გადაადგილებები. ეს პრემიერის გადასაწყვეტია, შეიძლება რომელიმე მიმართულებას გადახალისება სჭირდება კიდეც. მეც მაქვს რაღაც პრეტენზიები, შეკითხვები. თუ პრემიერი დაინახავს მინისტრების შეცვლის აუცილებლობას, შეიძლება შეიცვალოს რამდენიმე მათგანი, თუმცა შეცვლილთა რიცხვი შესაძლოა, ხუთამდეც ვერ ავიდეს, ანუ იმ ციფრამდე, როცა ნდობის ხელახალი გამოცხადებაა საჭირო, ვნახოთ.

– თქვენ რომელი უწყების მიმართ გაქვთ კითხვები?

– კულტურის სფეროს მიმართ, მაგალითად. იქ შეიძლებოდა, სხვანაირად აღმოფხვრილიყო პრობლემები. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ამიტომ ზოგიერთ სფეროში გადახალისება ნამდვილად საჭიროა. თუმცა არა მგონია, ეს მასობრივი ხასიათის იყოს, შეიძლება სულ ხუთ მინისტრამდეც არ შეიცვალოს. თუ ჩვენ ხუთ მინისტრს შევცვლით, იცით, რომ ნდობის საკითხი თავიდან დადგება პარლამენტში. როგორც წესი, არჩევნებამდე ასეთ ცვლილებებს არ ატარებენ ხოლმე, ეს არის ანბანური ჭეშმარიტება. არჩევნების შემდეგ შეიძლება ეს მოხდეს. თუ ნდობის თავიდან გამოცხადება გახდება საჭირო, ვფიქრობ, ეს კარგიც კი იქნება, რადგან პრემიერი ისევ შეხვდება პარლამენტს, უმცირესობას. ისევ გაიმართება ცხარე დებატები, ჩვენ არ უნდა გვერიდებოდეს ოპონენტებთან უმწვავეს პოლიტიკაში შესვლა. ნდობის ახალი მანდატის გადაცემა თავად მთავრობისთვისვე იქნება ძალიან კარგი. ვინ წავა, ვინ მოვა, ამას, ალბათ, უფრო არჩევნების შემდეგ დავინახავთ.

საპარლამენტო უმრავლესობაში მიიჩნიათ, რომ კოალიციის დაშლის ვერსიების გავრცელებით ოპონენტები არიან დაკავებულები, რომლებიც თავად ოცნებობენ ხელისუფლებაში მოსვლაზე. ზვიად ძიძიგური დარწმუნებულია, რომ ერთობას არც ერთი პოლიტიკური პარტია არ გამოეთიშება, მანამ სანამ არჩევნებში ახალი ძალა არ გაიმარჯვებს.

ზვიად ძიძიგური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– მეც ვნახე ინტერნეტში მსგავსი ინფორმაცია, ეს არის ჭორაობის სერიალიდან, რომელიც ყველა ხელისუფლების მიმართ ვრცელდება ხოლმე. არავითარი დაპირისპირება არ არის კოალიციაში, კოალიცია არის ისეთი მყარი, როგორიც უნდა იყოს მმართველი კოალიცია. ამას თავისი ლოგიკა აქვს. ხან მესმის, რომ ფორუმელები მიდიან, ხან რესპუბლიკელებზე ამბობენ, რომ ნაციონალებთან ერთად ქმნიან კოალიციას, ახლა ალასანიაზე ამბობენ. ეს ყველაფერი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების სურვილია. ალბათ, ნაციონალების სურვილიცაა და სხვა პარტიებისაც. ყველას სურს, რომ კოალიცია აღარ იყოს ხელისუფლებაში და თავად მოვიდნენ ჩვენ მაგივრად. მათი სურვილი მესმის, მაგრამ პირზე ნერწყვმომდგარ ჯგუფებს რაც სურთ, ისე არ იქნება. ყველამ, ვისაც გამარჯვება უნდა, არჩევნებზე ხმების საჭირო რაოდენობა უნდა მიიღოს და მხოლოდ ასეთი გზით მოვიდეს ხელისუფლებაში. სხვა გზა არ არსებობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არასაპარლამენტო პარტიებში ინტრიგაც კი არ დარჩა

მთავარი პოლიტიკური ძალები ისევ „ნაცები“ და „ქოცები“ არიან

ქეთი ხატიაშვილი

არასაპარლამენტო ოპოზიცია იმდენ მამრავლად დაიშალა, რამდენადაც შეეძლო. წინასაარჩევნო „შეჯვარების“ პროცესი, როგორც იქნა, დასრულდა. ეს იყო ხანგრძლივი და ტკივილიანი პროცესი.

საბოლოოდ რამდენიმე კოალიცია შეიქმნა: ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ერთი პარტია – „ქდმ“ იყიდა და მეორე ადამიანი – ჯონდი ბაღათურია დაიმატა; შალვა ნათელაშვილი, რომელიც ირწმუნებოდა, კოალიციაში არ ვიქნებიო, მაგრამ პირობა დაარღვია. და ახლა დიდი მკითხაობაა, ვის შეეკრა ლეიბორისტების ლიდერი, ტყაბლაძე რომ დაასახელა მერობის კანდიდატად. რიგითობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ჯერ ნათელაშვილმა დაასახელა საკუთარი მერობის კანდიდატი და შემდეგ უკვე ნინო ბურჯანაძემ – დიმიტრი ლორთქიფანიძე. თუმცა, არ ვიცი, რამდენად მხოლოდ რიგითობამ მოითხოვა ამ დეტალის შეხსენება.

ასე თუ ისე, შემდეგი არასაპარლამენტოების რინგზე კახა კუკავა ავიდა. მას მხარი მხოლოდ ახლებმა დაუჭირეს. არადა, თითქოს მის კარზე გრძელი რიგი იდგა. მაგრამ ნინო ბურჯანაძემ საკუთარი ფინანსებით კუკავას ოცნებები ჩაუშალა. ახლა კახას რევანშის საშუალებაც კი არ ექნება, რადგანაც ბურჯანაძემ მერობის კანდიდატურად დიმიტრი ლორთქიფანიძე დაასახელა. ჯონდი ბაღათურიამდე კუკავა სწორედ მასთან მეგობრობდა და ახლა, ალბათ, ლორთქიფანიძის წინააღმდეგ კამპანიის, მით უფრო შავის, წამოწყება ძალიან გაუჭირდება. სხვას

რომ დაეყენებინა თავისი კანდიდატურა, ახლების კოალიციას შესაძლოა, თავი უფრო თავისუფლად ეგრძნო.

რაც შეეხება მეოთხე კოალიციას, აქ შვიდი პარტია მოიაზრება. მათ ჯერ მერის კანდიდატურა არ დაუსახელებიათ.

როგორც ჩანს, მესამე ადგილს დიმიტრი ლორთქიფანიძე დაიკავებს. არასაპარლამენტო ოპოზიციაში კონკურენციის საკითხი აღარ დგას. შალვა ნათელაშვილმა ჯერ მაქსიმალურად ასწია საკუთარი რეიტინგი, იმდენად პროაქტიური გახდა, და შემდეგ ვინმე ტყაბლაძე დაასახელა და გაჩუმდა. თითქოს თავის „გუნდს“ უკვე წაგებაზე ამუშავებს.

არასაპარლამენტო კანდიდატებს შორის ყველაზე ოპტიმისტურად ჯერჯერობით დიმიტრი ლორთქიფანიძე გამოიყურება. თუმცა, მასზე ძლიერი ფიგურებიც არსებობდნენ, უბრალოდ ბურჯანაძემ ვერ შეძლო მათი დათანხმება.

ეს ის ისტორიული არჩევნებია, სადაც ეგრეთწოდებული ნაღდი თბილისელები და „ჯიგრიანები“ ჩუმად არიან და საარჩევნოდ არ აქტიურობენ. როგორც ჩანს, „ოცნება“ ყველამ ისე აიხდინა, როგორც შეეძლო. ამიტომაც ახლა ჩუმად სხედან და ხალხი აღარ აინტერესებთ.

ასე რომ, არასაპარლამენტო ოპოზიციაში არავითარი ინტრიგა აღარ არის.

თუმცა, კოალიციებმა ერთმანეთს ფეხი უკვე დაუდეს, როცა თითქმის ერთნაირი სახელწოდებები აირჩიეს. ნინო ბურჯანაძემ „ერთიანი ოპოზიცია“ დაირქვა; ახლებმა და კუკავამ – „არასაპარლამენტო ოპოზიცია“; შვიდი

პარტიის გაერთიანებამ – „არასაპარლამენტო ოპოზიცია – ევროპული არჩევანი“. შვიდ პარტიაში შედიან: ზურაბ ხარატიშვილი, პაატა დავითაია, ბაჩუკი ქარდავა, სერგო ჯავახაძე... თუ მათ საინტერესო კანდიდატურა მოძებნეს, მერობის პოსტზე კახა კუკავას შესაძლოა ადგილიც ჩამოართვან.

როგორც არ უნდა იყოს, მთავარი პოლიტიკური ძალები ამ არჩევნებზეც „ნაცები“ და „ქოცები“ დარჩებიან. ხელისუფლებაში მეორე ტურს, როგორც ჩანს, არ გამორიცხავენ.

თავად ნარმანიას განმარტებით, არაფერი ტრაგიკული მეორე ტურში არ იქნება:

– მეორე ტური თავისთავად არ არის საფრთხობელა. მეორე ტური – ეს არის დემოკრატიული არჩევნებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფორმა, თუმცა ვფიქრობ, ეს ამ ეტაპზე საჭირო არ იქნება...

მართალია, სოციოლოგიურ კვლევებში ნარმანია ჯერ 50%-საც ვერ აღწევს, მაგრამ, როგორც მიანიშნებენ, არჩევნებამდე ჯერ კიდევ ორ თვეზე მეტია დარჩენილი და „ქართული ოცნება“ მოახერხებს საკუთარი კანდიდატისთვის გამარჯვების უზრუნველყოფას პირველივე ტურში.

საინტერესოა, როგორ დაგეგმავენ ნარმანიას საარჩევნო მარათონს, ისევ ბიძინა ივანიშვილი იქნება მისი გამწევი ძალა, როგორც ეს მარგველაშვილის შემთხვევაში იყო, თუ სხვა რაიმე საინტერესოს შემოგვთავაზებს „ქართული ოცნება“.

მთავარ რინგზე ერთმანეთს შეხვდებიან 32 წლის ნიკა მელია და 35 წლის დავით ნარმანია.

ნარმანია 2012 წლის ოქტომბერს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად დაინიშნა. მისი კანდიდატურა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა.

სანამ ივანიშვილის ფავორიტი გახდებოდა, ნარმანია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში მუშაობდა. დღემდე არის კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ნიკა მელია ცნობილი კარდიოლოგის – ანზორ მელიას შვილია. აქამდე მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, უშიშროების საბჭოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. 2012 წლიდან მთაწმინდის გამგებელია.

ეს ის ძირითადი კანდიდატები არიან, რომლებიც მომავალ არჩევნებში პოლიტიკურ ამინდს განსაზღვრავენ.

P.S. მაგრამ ერთი კითხვა მაინც რჩება: რატომ მაინცდამაინც მსახიობი ასმათ ტყაბლაძე? როგორც მსახიობი, მერობის კანდიდატის როლს კარგად შეასრულებს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №53
მობ: 595340034, 599973094
ტელ: 2223238
ელ-ფოსტა: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria

Gourmet
ყველფრისა

Gourmet
La Cafétéria

Address: #53 Paliashvili str.
Tel: 2223238
Mob: 595340034, 599973094
E-mail: info@gurme.ge
www.gurme.ge
Gourmet La Cafeteria

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შინაურ ცხოველებზე გაცვლილი არასრულწლოვანი გოგონები

my View

მირიან ბოძოლიშვილი

რამდენიმე დღის წინ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში 16 წლის არასრულწლოვანი გოგონა 45 წლის მამაკაცზე 10 ძროხის საფასურად გაათხოვეს. ერთი ვერსიით, გოგონა ოჯახებს შორის „სარფიანი“ გარიგების მსხვერპლი გახდა, მეორე ვერსიით კი არასრულწლოვანი მამაკაცს საკუთარი სურვილით გაჰყვა ცოლად, სიძემ კი არასრულწლოვნის მშობლებს ძროხები აჩუქა. მოკლედ, ამ ინფორმაციამ სოციალური ქსელი მალევე მოიცვა. „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რამდენად რეალურია აღნიშნული ფაქტი. სოფელ კაბალის რწმუნებული ნამაზ ალახვერდოვი ამბობს, რომ ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებით გავრცელდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

სახალხო დამცველი: „გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ ამ თემში დამკვიდრებული პრაქტიკაა“

„ეს არის ტყუილი, ყველა ქუჩა და ყველა ეზო დავიარე, რათა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია გადამემოწმებინა. ასეთი ჩვენთან არაფერი მომხდარა. ეს არის სირცხვილი და ამას ყველა გმობს“, – ამბობს ალახვერდოვი.

სოფლის რწმუნებულის მტკიცების მიუხედავად, ლაგოდეხის რაიონის ეს სოფელი სწორედ ამ თემით მოხვდა სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში.

ომბუდსმენის რწმუნებულს კაბალში მცხოვრებმა ერთ-ერთმა გოგონამ მიაწოდა ინფორმაცია, რომ „სოფლიდან ერთი გოგო მამამ 10 ძროხად მიჰყიდა 45 წლის კაცს, ამ გოგოს არ უნდოდა ამ კაცზე გათხოვება და სხვასთან ერთად გაიპარა სახლიდან“.

ამის შესახებ უჩა ნანუაშვილი საკუთარ ანგარიშში წერს და იქვე უთითებს გამოკითხული მეორე გოგონას სიტყვებს: „ჩემ მშობლებს ვეუბნები, თუ ძალით გამათხოვებენ, თავს მოვიკლავ. ამას ყოველდღე ვუმეორებ, რომ არ გამათხოვონ“.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ადრეული ქორწინების საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო და პრევენციის ღონისძიებების ჩატარებაა. 2013 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვემო ქართლის რეგიონს, რადგან გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ყველაზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. ჩატარდა რამდენიმე საჯარო დისკუსია, სოფლებში გასვლითი ვიზიტები და საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებთან. შესწავლის შედეგების მიხედვით გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი ქორწინებაა, რაც ზოგ შემთხვევაში თავად არასრულწლოვნის, რიგ შემთხვევებში მშობლების გადაწყვეტილებაა. ახალგაზრდების მიერ დასახელებული მიზეზებიდან კი ყველაზე აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ერთ-ერთი გოგონას ინფორმაციით, „ჩემი მეგობარი ისეთ გაჭირვებაში ცხოვრობდა, საჭმლის საშოვნელად გარეთ უწევდა სიარული. გათხოვდა და იცის, რომ მომავალი გარანტირებული აქვს, მშიერი მაინც აღარ იქნება“.

უჩა ნანუაშვილის უწყების შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საზოგადოება რიგ შემთხვევებში, თუ ეს გოგონას სოციალურ მდგომარეობას აუმჯობესებს, ამართლებს ადრეულ ქორწინებას, თუმცა ხშირად მათ უბრალოდ არ იციან ადრეული ქორწინების რისკების შესახებ.

„ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის კაბალის თემში. სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგების მიხედვით ბოლო პერიოდში 20-ზე მეტი ადრეული ქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა, განსაკუთრებით მაღალია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, გოგონათა მოტაცება და გარიგებით ქორწინება. კაბალის №1 საჯარო სკოლაში საინფორმაციო შეხვედრისას მიღებული ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ გოგონები დამამთავრებელ კლასებში განათლების მიღებას წყვეტენ და სკოლაში არ დადიან, რადგან დიდია მათი მოტაცების რისკი. 2014 წლის იანვარ-თებერვალში მოტაცების 3 ფაქტი დაფიქსირდა. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის დირექტორიც“, – წერს სახალხო დამცველი საკუთარ ანგარიშში.

„ჩემს მშობლებს ვეუბნები, თუ ძალით გამათხოვებენ, თავს მოვიკლავ. ამას ყოველდღე ვუმეორებ, რომ არ გამათხოვონ“

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მთავარი პრობლემა შესაბამისი უწყებების მხრიდან არასათანადო ყურადღებაა. კაბალის თემში არ იციან, ვის უნდა მიმართონ ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში.

„გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ ამ თემში დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები. მიუხედავად არსებული სამართლებრივი რეგულაციებისა, პრაქტიკა განსხვავებულ შედეგს იძლევა. პრობლემაა ის ფაქტიც, რომ სკოლის მიტოვების შემთხვევაში არ მიეთითება განათლების შეწყვეტის მიზეზი, რაც სირთულეს ქმნის ადრეული ქორწინების რეალური სტატისტიკის დათვლისას. სკოლის მიტოვების ყველა შემთხვევის მიზეზი, რა თქმა უნდა, არ არის ქორწინება, თუმცა პრაქტიკით მყარდება არსებული მოსაზრებების სიზუსტე. ადრეული ქორწინება, როცა ის განათლების შეწყვეტასა და პროფესიის არმიღებას უკავშირდება, მთელ რიგ პრობლემებს ქმნის ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, რადგან ეს გოგონები მოკლებული არიან დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას“, – აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშში.

სწორედ ამიტომ უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასწავლებლების, მშობლებისა და სამართალდამცავი უწყებების ცნობიერების ამაღლებას ადრეული ქორწინებით გამოწვეული პრობლემებისა და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემებით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 – ერთ დღეს, 13 გოგონა კი – 30 წამში. საქართველოში არსებული სიტუაციაც არანაკლებ მძიმეა. განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოს რეგიონებში, ასევე განსხვავდება სტატისტიკა, თუმცა შედეგი ერთია – კვლავ დამკვიდრებული პრაქტიკაა გოგონათა ადრეული ქორწინება. ხშირია იძულებითი ქორწინების შემთხვევები, რაც მოტაცების ან მშობლებს შორის გარიგების შედეგია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც უმრავლეს შემთხვევაში ადრეული ქორწინებაა. განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე საუბარი ომბუდსმენის 2012 წლის ანგარიშშიც საკმაოდ ვრცლად იყო, ადრეული ქორწინების თემა კვლავ აქტუალურია და სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

სანიტარი, რომელმაც ზურაბ ჟვანიას ცხედარი გაკვეთა, არჩილ ჭიკაიძე გახლდათ, ხოლო ქრთამის ფაქტზე დაჭერილი იყო გივი ჭიკაიძე, არჩილის ძმა, რომელიც ასევე სანიტრად მუშაობდა...

რისი ეშინია და რატომ არ სურს საუბარი ზურაბ ჟვანიას ცხედრის გამკვეთ სანიტარს?

მარიამ ნადირაძე

3 კვირის წინანდელი სკანდალი – ყოფილი პრემიერისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმის დასკვნით ეტაპზე გადასვლის შესახებ, დღეს ისევე მიჩუმდა, როგორც ეს აქამდეც არაერთხელ მომხდარა.

როგორც ირკვევა, პროკურატურამ ინანა მომეტებული გულახდილობა, რაზეც უდავოდ წამოიკიდა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ამ ეტაპზე საქმის გარშემო დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი ერთია – როგორც კი რამე სიახლე იქნება, ამაზე ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთო.

თითქმის იდენტურია დაზარალებული მხარის პოზიციაც. დეპუტატი გოგლა ჟვანიაც „პრაიმტაიმის“ შეკითხვას საქმეში არსებულ კონკრეტულ დეტალებზე ასე პასუხობს: „ყველანაირი ინფორმაცია, რაც გაინტერესებთ, უნდა მიიღოთ პროკურატურისგან, რა დოზითაც გადაწყვეტენ, იმ დოზით გაახმაურებენ საქმის გარშემო დეტალებს. მე ვერაფერს გეტყვით“.

ჩვენ კი, ცხადია, კარგად გვესმის ჩვენი მკითხველის მომეტებული ინტერესი ამ თემასთან დაკავშირებით და შევეცადეთ, მცირე დეტალიც კი არ გამოგვეპარებინა მისთვის.

ალბათ, გახსოვთ, ამას წინათ ჩვენი კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყოფილი პრემიერის ცხედრის გამკვეთი სანიტრის შესახებ. ვინც ეს ინფორმაცია გამოტოვა, შევახსენებთ: კონფიდენციალური წყარო გვატყობინებდა, რომ პროკურატურამ სანიტარიც დაკითხა, რომელმაც გამოძიებას დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რა ნახა პათანატომიის კათედრაზე, სადაც ექსპერტიზა ტარდებოდა. „გაკვეთას, ექსპერტ ლევან ჩაჩუას გარდა, სხვებიც ესწრებოდნენ, მათ შორის გია ბარამიძეც. როცა სანიტარმა დასვა პროფესიული კითხვა, ნაცხი ავიღოო? – ამის გამო დიდი რისხვა დაიმსახურა ექსპერტისგანაც და ბარამიძისგანაც. იმ მომენტისთვის მხოლოდ ეს სამნი იმყოფებოდნენ ოთახში. მოგვიანებით ის დაიჭირეს, ალბათ, იმის გამო, რომ სამუდამოდ დაევიწყებინა ნანახის შესახებ“, – გვატყობინებდა ჩვენი წყარო.

როდესაც ამ თემასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში მოსულ გია ბარამიძეს კითხვა დავუსვით, მან კატეგორიულად უარყო მისი ყოფნა ექსპერტიზაზე და განაცხადა, რომ არსებობს ვიდეოჩანაწერი და თუ ვინმეს მის სიმართლეში ეჭვი შეეპარება, შეუძლია, ის ჩანაწერი ნახოს, სადაც მას ნამდვილად ვერ აღმოაჩენს.

მოგვიანებით „პრაიმტაიმმა“ ინფორმაცია დააზუსტა და გაარკვია, რომ სანიტარი, რომელმაც ზურაბ ჟვანიას ცხედარი გაკვეთა, არჩილ ჭიკაიძე გახლდათ, ხოლო ქრთამის ფაქტზე დაჭერილი იყო გივი ჭიკაიძე, არჩილის ძმა, რომელიც ასევე სანიტრად მუშაობდა. ბუნებრივია, რომ ეჭვიანები ამ ორ ფაქტს ერთმანეთს უკავშირებენ, მით უმეტეს, რომ მაშინდელი ხელისუფლების მართვის სტილი სწორედ ასეთი ტიპის ანგარიშსწორებებზე იყო აგებული.

ბევრი რომ არ გვემარჩიელა, გადავწყვიტეთ, რომელიმე ძმას მაინც დავკავშირებოდით. გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხეთ არჩილ ჭიკაიძის სატელეფონო ნომრის მოძებნა. ჩვენი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, „დაჭერობანასავით“ წარიმართა. რას ვგულისხმობთ, ამას მკითხველი ქვემოთ მიხვდება, ვინაიდან ეპიზოდებად საუბარს, შესაბამისად, ეპიზოდების სახით წარმოგიდგენთ:

ეპიზოდი #1

– ბატონო არჩილ, თქვენ გაკვეთეთ ზურაბ ჟვანიას გვამი?

– რა გაინტერესებთ?

– ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ მონაწილეობდით ამ პროცესში... თქვენი ძმა, გივი ჭიკაიძე ქრთამის აღების ფაქტზე იყო დაჭერილი... ვისგან აიღო ქრთამი? ან ამ ორ ფაქტს ერთმანეთს უკავშირებთ?

– არ ყოფილა ასე და არ მინდა ამაზე ლაპარაკი...

– რა არ ყოფილა? არ დაუჭერიათ ბატონი გივი?

– ბატონი გივი რომ დაიჭირეს, ამას ამ საქმესთან შეხება არ აქვს.

– ისიც სანიტრად არ მუშაობდა?

– კი, მაგრამ იმ საქმესთან, რაც თქვენ თქვით, შეხება არ ჰქონია...

– თქვენ ხომ გქონდათ შეხება?

– მერე, მე ხომ არ დამიჭირეს?

– ბატონო არჩილ, ჩვენი ინფორმაციით, თქვენ ჟვანიას საქმის ფარგლებში პროკურატურამ დაგკითხათ...

– საიდან იცით, საიდან ქექავთ, კაცო, რა არის ეს?!

– ... რა აინტერესებდა პროკურატურას?

– კარგად ბრძანდებოდეთ. წინსვლა ღმერთმა არ მოგიშალოთ...

ეპიზოდი #2

– ბატონო არჩილ, გია ბარამიძე ესწრებოდა გაკვეთას?

– ...

– ბატონო არჩილ...

– გისმენთ, გისმენთ გენაცვალე, კარგით, რა... კარგად ბრძანდებოდეთ, არაფერი გეწყინოთ...

ეპიზოდი #3

რაკი შევატყვეთ, რომ არჩილ ჭიკაიძე საუბარს თავს არიდებდა, მცირე პროვოკაციაზე წავედით: მოვიგონეთ ტყუილი და შესაბამისი კითხვაც დავუსვით იმ იმედით, რომ ამაზე მაინც წამოვიკიდებდით:

– ამბობენ, რომ თქვენი ჩვენების საფუძველზე დაიჭირეს ექსპერტი ჩიჩუა...

– ტყუილია, გენაცვალე... კარგად ბრძანდებოდეთ.

არ გაგვიმართლა...

თუცა, ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ დიალოგმა ერთი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა – რაც ნამდვილად სიცრუე იყო, არჩილ ჭიკაიძეს არ დაზარებია მისთვის თავისი სახელი, ანუ „ტყუილი“ დაერქმია. რაც შეეხება დანარჩენს...

თუმცა, დანარჩენთან დაკავშირებით მკითხველი ისედაც თავად გამოიტანდა დასკვნებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ"

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲑᲝᲥᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲨᲘ" ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲐ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ.

„ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘᲡ" ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲢᲝᲥᲨᲝᲣᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲗᲔᲛᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2"-ᲖᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ �გᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲨᲘ" ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐᲪ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ. ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲤᲐᲥᲢᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲖᲔ. ᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ �გᲘᲝᲠᲒᲘ �გᲐᲑᲣᲜᲘᲐᲛ ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲠᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ, ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, „ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲐᲜ" ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ: ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ?

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲪ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲪᲜᲝᲑᲝᲓᲐ ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲰᲐᲪᲚᲘᲗ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲡ ᲓᲐ Ა.Შ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ, „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘᲡ" ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲬᲔᲠᲗ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲖᲔ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐ�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ „ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ", ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲓᲐᲨᲚᲘᲗ, ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔᲮᲜᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲩᲕᲔᲜ �გᲕᲐᲥᲕᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲘᲢᲝᲕᲔᲑᲗ, ᲓᲐᲕᲡᲕᲐᲗ ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ. „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘ" ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲕᲠᲪᲔᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲐᲪ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ" ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲐᲜ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲐᲙᲔ�თᲐ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲖᲔ ᲓᲐ „ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘᲡ" ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ". �გᲘᲝᲠᲒᲘ �გᲐᲑᲣᲜᲘᲐᲛ წᲣᲮᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ, ᲗᲣ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲝᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲤᲝᲕᲐ.

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘᲡ" ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲨᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲨᲘ" ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲘᲖᲐᲕᲜᲔᲡ.

ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲐᲜ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲛᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ" ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ Ი�გᲘᲕᲔ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲔᲗ ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲗ, ᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ �გᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲒᲕᲘᲛᲐᲠᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲜ ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ.

„ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔ ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. ᲗᲥᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲘ�გᲖᲐᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ �პᲐᲡᲣᲮᲘ �წᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ. ᲛᲔ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲠ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔ ᲘᲡ ᲕᲗᲥᲕᲘ. ᲔᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲐ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ. ᲛᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲡ, ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔ. ᲗᲣ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ, ᲑᲝᲓᲘᲨᲡ ᲛᲝᲒᲘᲮᲓᲘᲗ". – ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲕᲔᲢᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲝᲚᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲐ, ᲕᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲗ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲗᲣ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲨᲔᲒᲕᲘᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗ. „ᲞᲠᲐᲘᲛᲢᲐᲘᲛᲘ" ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲔᲑᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

პეტრე მამრაძე: „დიახ, ასეთი განცხადება ნამდვილად გააკეთა გიორგაძემ“

ქეთი ხატიაშვილი

პეტრე მამრაძე ნამდვილ მეზღაპრედ ჩამოყალიბდა. ადრე სულ მეგონა, რომ მისი მემუარები განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა და რომ ის ქართული პოლიტიკის სამზარეულოს ზედმიწევნით იცნობდა. თუმცა ახლა, რაც უფრო ბევრს ლაპარაკობს, მით უფრო ვხვდები, რომ დიდი მეზღაპრეა. მისი მოსმენაც კი უკვე უინტერესო ხდება.

თუმცა, ინტერესი აქ არაფერ შუაშია. მთავარია, რატომ ლაპარაკობს და რისთვის.

რუსეთთან საეჭვო ურთიერთობებს პეტრე მამრაძის კარიერა შეეწირა კიდეც. ის წლების განმავლობაში კანცელარიის უფროსი იყო.

მამრაძეს რამდენჯერმე ღიადაც მიახალეს, რომ რუსეთზე მუშაობდა, ერთხელ და ღიად ეს თავად იგორ გიორგაძემ გააკეთა. ეს მაშინ მოხდა, როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ის, ალბათ, საგანგებოდ დასვეს ღია ეთერში, სადაც იგორიც ჩაერთო და აიძულეს, რუსეთის საწინააღმდეგო ინტერესები დაეცვა. და როლში რომ არ შესულიყო, გიორგაძემ მაშინვე გადაასხა ცივი წყალი. ამ ფაქტს არც თავად მამრაძე უარყოფს.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში მან ეს ინციდენტი, მართალია თავისებურად, მაგრამ ერთხელ განმარტა კიდეც:

– ხელისუფლება ერთადერთი არაა, ვინც ღალატში გადანაშაულებთ. თუ არ ვცდები, რამდენიმე წლის წინათ იგორ გიორგაძემ პირდაპირ დაგადოთ ხელი და თქვა: პეტრე მამრაძე აგენტურულ საქმიანობას ეწევაო...

– დიახ, ასეთი განცხადება ნამდვილად გააკეთა გიორგაძემ, თუმცა მას შემდეგ, რაც პირდაპირ ეთერში მე დავდე მას ბრალი ჩეკისტობაში. ეს ადამიანი იყო ჩეკისტი და დარჩა ჩეკისტად. მე ვიჯექი იმ მანქანაში, შევარდნაძესთან ერთად, რომელიც გიორგაძემ ააფეთქა, გამოვედი და პირდაპირ დავადე ხელი იგორ გიორგაძეს. მე, როგორც ფიზიკოსს, არანაირი შეხება არ მქონია არც უშიშროებასთან, არც „კაგებესთან“.

რა შუაშია ფიზიკოსი, ძნელი სათქმელია, თუმცა, ერთი კია, ეგებ პეტრე მამრაძე და ვახტანგ რჩეულშვილი ჩამოყალიბდნენ, ვინ იჯდა ტერაქტის დღეს შევარდნაძის მანქანაში. ამ ისტორიებს ხშირად სოციალისტური პარტიის მაშინდელი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი ყვებოდა ხოლმე ღიად, ახლა ასეთი ისტორიების მოგონება პეტრე მამრაძემაც დაიწყო.

მოკლედ, ის ყოველთვის იქ იდგა, სადაც რუსულ ინტერესებს უჭირდა და შეძლებისდაგვარად აწვებოდა. ადრე შევარდნაძის გვერდით იყო. საპაკაშვილის დროს, როგორც კი ვერტიკალიდან ინფორმაციებმა გაჟონვა დაიწყო, კანცელარიის წმენდა ჩაატარეს. მაშინ მამრაძემ პოსტი შეინარჩუნა, თუმცა იმდენად ნომინალურად, რომ თითქმის არაფერს აკეთებდა. ანუ ნაკლებად აყენებდნენ საქმის კურსში.

პოლიტიკაში ნოღაიდელს გაჰყვა. თუმცა, როგორც ჩანს, იმდენად უკმაყოფილოა საკუთარი პოლიტიკური მიღწევებით, რომ ავტობიოგრაფიაში პოლიტიკური აქტივობები ჯეროვნად არც შეუტანია. მაგალითად, პარლამენტის წევრობა „ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრის“ გრაფაში აქვს შეტანილი. ნეტა, რატომ არის ქვეყნის პარლამენტი მისთვის ორგანიზაცია ან ჯგუფი?

თუმცა შეხედულებებს რას გაუგებ.

მამრაძე ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში იყო და სამართლიანობის „აღდგენისთვის“ იღვწოდა. ქართულმა პოლიტიკამ მაშინ პრორუსული აქცენტების გამო ის სულაც გაამინუსა.

ნაციონალებმა ერთხელ პარლამენტის სხდომაზევე გაულაწუნეს ლოყაში. ეს იმიტომ, რომ 2008 წლის ომს ქართული მხარის ავანტიურა უწოდა. მაშინ აკაკი ბობოხიძემ მას ნაძირალაც კი ეძახა და ძლიერი სილა გააწნა. მამრაძემ ხელი ვერ შეუბრუნა. სოცქსელებში ისიც დაიწერა, რომ წინა ხელისუფლებას მამრაძეზე კომპრომატული ჩანაწერები ჰქონდა.

სანამ კანცელარიაში იყო, მისი შეხედულებების შესახებ არაფერი ვიცოდით, როგორც კი პოლიტიკაში გადაინაცვლა, პოლიტიკური შეხედულებების გამომზეურებაც მოუწია. იძულებული გახდა, რუსეთისთვის მისაღები განცხადებები ეკეთებინა. ამიტომაც მეხუთე კოლონის ღირსეულ წარმომადგენლადაც მონათლეს.

პარლამენტში ჩხუბის შემდეგ მამრაძე ცნობილ სატირულ-იუმორისტულ სააგენტო „ჩიტშიც“ კი მოხვდა: „აქციის პარალელურად საქართველოს პარლამენტში პლენარული სხდომა მიმდინარეობდა, სადაც ერთმანეთს პეტრე მამრაძე და აკაკი ბობოხიძე დაუპირისპირდნენ. ჩხუბი მამრაძის განცხადებას მოჰყვა, მან მიხეილ სააკაშვილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წამოწყებაში დაადანაშაულა. მამრაძეს ცნობილი მოკრივე და შეთავსებით პოლიტიკოსი, აკაკი ბობოხიძე გამოეხმაურა – მუშტებით. ჩხუბში რამდენიმე დეპუტატი ჩაერია და სიტუაცია განიმუხტა. მოგვიანებით, რამდენიმე ექსპერტმა მამრაძის ქცევის ანალიზი გააკეთა. მათი განცხადებით, ეჭვები მამრაძის „კიბორგუბიცობაზე“ გამართლდა. „როდესაც ბობოხიძე თავის განთქმულ მუშტს უქნევდა, მამრაძე გაუნძრევლად იდგა, არც სახის მიმიკა შეცვლია. აშკარაა, რომ ეს კაცი რობოტი და „კიბორგუბიცაა“, მისი არაადამიანურ ქცევებიც სწორედ ამით აიხსნება“. – განაცხადა ალექსანდრე რონდელმა. ექსპერტის თქმით, მამრაძე ჯერ არ არის ბოლომდე გააქტიურებული და თუ რუსებმა ის ფატალურ დონეზე გაუშვეს, „მაგრად დაგვენძრევა“.

ასე რომ, შემოლაწუნებამ მამრაძე უფრო პოლიტიკური გახადა, ვიდრე პოლიტიკურმა ნაბიჯებმა.

რა თქმა უნდა, ნოღაიდელის შემდეგ მან ნინო ბურჯანაძის კარის მტვრევა დაიწყო, მერე „ქართული ოცნების“. თუმცა, ერთხელ იგორმა უთხრა, შენ ხომ დაგავერბოვკეთო, მეორედ ქართულმა პოლიტიკამ გაამინუსა და მესამე შანსი უკვე აღარც დარჩა. შეიძლება ამიტომაც იწერება ახლა ზღაპრები, თანაც განსაკუთრებული პათოსითა და კიდევ უფრო დიდი პატრიოტული ნოტებით. არავინ აქებს, ამიტომაც იძულებულია, საკუთარ თავს თავად უწოდოს სუფთა და მორალური ადამიანი.

ისე კი სემუელ ჯონსონმა ჯერ კიდევ როდის თქვა, – პატრიოტიზმი ნაძირალას უკანასკნელი თავშესაფარიაო.

იმსახურებს მამრაძე ამ ეპითეტს? ქართულმა პოლიტიკამ ასეთი გადაწყვეტილება ბევრჯერ მიიღო და ის გვერდით არ გაიკარა. ნოღაიდელსაც პარტიაში სიმბოლურად ჰყავდა. თუმცა ეს კიდევ სულ სხვა ისტორიაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქუცნაშვილი და ბესელია?

მირიან ბოქოლიშვილი

„გისოსები ირმა ნადირაშვილმა ათვალიეროს რა რაკურსითაც უნდა იმ რაკურსით, ასევე გადაძვრეს ექსპერიმენტისთვის, და მოგვიყვეს მერე შთაბეჭდილებები“

ეკა ბესელია: „ქუცნაშვილის აზრს არ ვეთანხმები, თუმცა მესმის, რომ ზოგს უნდა, ასე გამოჩნდეს საჯაროდ და ეცადოს, იყოს ორიგინალური“

შალვა თათუხაშვილის საქმე პოლიტიკურ წრეებში კვლავ ღია დაპირისპირების თემად რჩება... იქცევა თუ არა ეს ტრაგედია ახალი ხელისუფლებისთვის სანდრო გირგვლიანის საქმის ანალოგად? რამდენად მართებულია ამ ორ საქმეს შორის პარალელების გავლება? როგორც იცით, ამ თემაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მთავარი პროკურორის მოადგილეც სტუმრობდა, თუმცა სხდომაზე ატეხილი აჟიოტაჟის გამო, შეხვედრა ჩაიშალა. კომიტეტის თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილმა კი მისივე თანაგუნდელი ეკა ბესელია მოუმზადებლობაში დაადანაშაულა. **რატომ დაუპირისპირდა ქუცნაშვილი კომიტეტის თავმჯდომარეს და რა კითხვები აქვს თავად ეკა ბესელიას თათუხაშვილის საქმესთან დაკავშირებით? „პრაიმტაიმი“ ამ თემებზე ეკა ბესელიას ესაუბრა.**

– თათუხაშვილის გარდაცვალების ირგვლივ საზოგადოებაში ბევრი კითხვა გაჩნდა პროკურატურის მიმართ... პირადად თქვენ, როგორც იურისტსა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, თუ გაქვთ კითხვები საგამოძიებო ორგანოს მიმართ?

– მნიშვნელოვნად მიმაჩნია თათუხაშვილის საქმის სრულყოფილი გამოძიება და დადგენა იმისა, რა მოხდა. ასევე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს სამი უდანაშაულო ახალგაზრდის ლიკვიდაცია. ეს უსასტიკესი სადამსჯელო ოპერაცია იყო, რომელზეც ბრალი წარედგინათ ახალიას, ქარდავასა და სხვებს. რატომ არ ინტერესდება „ნაცმოძრაობა“ ამ სამი ახალგაზრდის გარდაცვალების ფაქტით? რატომ არც ერთხელ არ ახსენებენ მათ გვარებს? ეს ხომ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირთ? პროკურატურისთვის თათუხაშვილი იყო მნიშვნელოვანი მოწმე, რომელმაც ამხილა დათა ახალია და რომელზეც თქვა ჩვენებაში, რომ მან საკონტროლო გაისროლა, ანუ განზრახ მოკლა ახალგაზრდა, უდანაშაულო ადამიანი. ეს უმძიმესი ბრალდებაა. პროკურატურას რატომ უნდა უნდოდეს ასეთი მოწმის გაქრობა? მაქვს კითხვები, მაგალითად, რატომ არ დანიშნეს მოწმე თათუხაშვილის სამედიცინო ექსპერტიზა, თუ მას დაზიანებები ჰქონდა დაკითხვის მერე? ხომ ადვილი იყო ამის გაკეთება მოწმის შემთხვევაში? რატომ არ დაწერეს მისმა ადვოკატებმა არც ერთი საჩივარი, თუ ზეწოლა განხორციელდა მოწმეზე? ადვოკატი ზაქარეიშვილი არის ახალაიების ადვოკატი, მას ეკრძალება, დაიცვას თათუხაშვილის ინტერესები, რადგან უკვე ინტერესთა კონფლიქტია და კანონი მას ამას უკრძალავს. კითხვა მაქვს, როგორ აცხადებს ის თავს თათუხაშვილის ადვოკატად, როცა ამის უფლება არ აქვს? ეს ხომ არ კეთდება საზოგადოების დასაბნევად? რატომ დანიშნა ადვოკატმა თათუხაშვილის ფსიქიატრიული ექსპერტიზა? მას ხომ არ უნდოდა ამით იმ ჩვენების გაქარწყლება, რაც მისცა ახალაიას წინააღმდეგ? მაქვს კითხვა, რატომ არ მიმართეს პოლიციას, თუ ადამიანი 24 თებერვლის მერე დაიკარგა? მე ეს კითხვები მაქვს და პროკურატურასთანაც მქონდა კითხვები, მივმართე და მივიღე ინფორმაცია, რაც გავახმოვანე დეპუტატებისთვის, სწორედ იმიტომ, რომ ვისაც კითხვები ჰქონდა, მიეღო ინფორმაცია. მე მაინტერესებს, დადგინდეს სიმართლე, დადგინდეს ორივე საქმეზე და ვიცი, რომ დადგინდება, რა მოხდა.

– რამდენად ადეკვატურია პარალელების გავლება თათუხაშვილისა და სანდრო გირგვლიანის საქმეებს შორის?

– სირცხვილია ამ პარალელის გავლება, თუმცა ვიტყვი, რომ გირგვლიანის ტრაგედიაზე დიდი რამე თუ იქნებოდა, არ მეგონა, მაგრამ ნავთლუღის სპეცოპერაციის ტრაგედიამ გამაოგნა. აქ წინასწარ დაიდგა სცენარი, ვინ უნდა ყოფილიყო მსხვერპლი.

– პროკურატურა ამბობს, რომ თათუხაშვილი დაცვას ფანჯრიდან გაექცა, მაშინ, როცა ოჯახი ირწმუნება, რომ გისოსებიანი ფანჯრიდან გაქცევა შეუძლებელი იქნებოდა... დავუშვათ, აწ გარდაცვლილმა მართლაც მოახერხა გაქცევა, როგორ ფიქრობთ, უნდა დადგეს თუ არა დაცვის პასუხისმგებლობის საკითხი, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს პრეცედენტი... თქვენმა ოპონენტებმაც შეგახსენეს, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი, მიხეილ ძაძამია სწორედ იმიტომ დააკავეს, რომ მან მასზე დაკისრებული მოვალეობა ჯეროვნად ვერ შეასრულა, რასაც პრემიერის გარდაცვალება მოჰყვა...

– ჯერ ერთი, პრემიერ-მინისტრის დაცვა და მოწმის დროებით დანიშნული დაცვა ერთი და იგივე პასუხისმგებლობისაა? ეს არასერიოზული არგუმენტია, მოწმეს თუ არ უნდა, არ ეყოლება დაცვა, საერთოდ. რაც შეეხება საიდან გაიპარა მოწმე, ეს არაა მთავარი თემა ჩემთვის, კარიდან გავიდა თუ გისოსები გააღო. პროკურორმა თქვა, რომ თავად თათუხაშვილი წერს ამას ჩვენებაში და პროკურორი ფაქტის დასახელების დროს ეყრდნობა მტკიცებულებას. გისოსები ირმა ნადირაშვილმა ათვალიეროს რა რაკურსითაც უნდა იმ რაკურსით, ასევე, გადაძვრეს ექსპერიმენტისთვის და მოგვიყვეს მერე შთაბეჭდილებები. ეს არაა აქ მთავარი ამბავი... რატომ არ განაცხადეს პოლიციაში, რომ ადამიანი დაიკარგა?

– გასაგებია... რამ გააღიზიანა ზაქარია ქუცნაშვილი უმრავლესობის დახურულ სხდომაზე? რამდენად საფუძვლიანია მისი შენიშვნა, რომ თქვენმა კომიტეტმა მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის სტუმრობა ნაჩქარევად დაგეგმა და მოუმზადებლობაში დაგადანაშაულათ?

– საკომიტეტო მოსმენა იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტი. როდისმე ყოფილა რომ ასეთ მწვავე, ან სხვა საქმეზე პროკურორი პარლამენტში მოსულიყო და დეპუტატების კითხვაზე პასუხი გაეცა? მათ იგრძნეს პასუხისმგებლობა და მოვიდნენ. ეს იყო ჯანსაღი მოვლენა, მაგრამ როგორ იქცეოდა „ნაცმოძრაობა“? ველურებივით აბრახუნებდნენ მაგიდაზე ხელებს, ყვიროდნენ და უნდოდათ სხდომის ჩაშლა. ხომ გაცხადდა, რომ თათუხაშვილის თემით მანიპულირებენ? არ აინტერესებდათ შინაარსი. რაც შეეხება ქუცნაშვილს, მას მოეჩვენა, რომ იყო ნაჩქარევი. ეს მისი აზრია, მე არ ვეთანხმები, თუმცა მესმის, ზოგს უნდა, ასე გამოჩნდეს საჯაროდ და ეცადოს, იყოს ორიგინალური... ფრაქციაზე რაზე ვსაუბრობთ, ეს დახურული ფორმატია და მე არ მჩვევია ამაზე საჯაროდ საუბარი.

– სააკაშვილმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე... როგორ ფიქრობთ, რატომ აარიდა თავი პროკურატურაში გამოცხადებას?

– სააკაშვილი თავისუფლად დასეირნობს უცხოეთში და „ნაცებს“ რომ ჰკითხო, თურმე ფარცხალაძეს, გარეთ გამოსვლის უფლება არ აქვს. სააკაშვილს შეეშინდა და ეს ვერ დამალა. ასევე, გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა ინსტიტუტების მიმართ. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურატურა. საკაშვილი რომ დასაკითხია, ეს არათუ გასაკვირი არაა, პირიქით, რომ არ დაიკითხოს, ისაა გასაკვირი.

– რამდენად შესაძლებელია, მას სტატუსი შეეცვალოს და მთელ რიგ საქმეებზე ბრალი წაუყენონ?

– ჩვენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ ვიღებთ. არის კონკრეტული ფაქტები, უმძიმესი დანაშაულებია ჩადენილი, არის სამხილები და უნდა გაირკვეს სააკაშვილის შემდგომი ბედი. დემოკრატია იზომება იმით, კანონზე მაღლა დგას თუ არა ვინმე, თუნდაც ყოფილი პრეზიდენტი. მეტიც, პრეზიდენტებს რომ სთხოვენ პასუხს, ის ქვეყნები მიიჩნევა სწორედ მაღალი დემოკრატიის ქვეყნებად.

– პროკურატურაში დაიბარეს გიგა ბოკერიაც... რატომ დაინტერესდა საგამოძიებო ორგანო მისი საქმიანობით?

– ბოკერიას პერიოდში არსებობდა ინფორმაციები, როგორ ხდებოდა თანხების გაფლანგვა, იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი თემები და არ მიკვირს, რომ კითხვები გაუჩნდა პროკურატურას. ბოკერიამაც უნდა გასცეს პასუხი, მის პერიოდში როგორ ხდებოდა საბიუჯეტო თანხების გამოყენება. ვნახეთ, სხვა სამინისტროებში რა ბაკქანალია იყო. მოხელეებს ოჯახის წევრები სხვადასხვა სამინისტროებში თანამდებობებზე ჰყავდათ გადანაწილებული. შეუძლებელია, ეს ფაქტები არ გაირკვეს და საზოგადოებამ არ იცოდეს, სად მიდიოდა მოსახლეობის თანხები.

– რატომ დადგა დღის წესრიგში საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც დეპუტატს იმუნიტეტისგან ათავისუფლებს? რამდენად შესაძლებელია, რომ ამ ცვლილებების შემდეგ უმცირესობის რამდენიმე დეპუტატს, უკვე პარლამენტის თანხმობის გარეშე, ბრალი წაუყენონ? თუ ეს შესაძლებელია, ვინ შეიძლება მოხვდეს ამ სიაში?

– იმუნიტეტის საკითხი დეპუტატის პრივილეგიაა და არა უფლება. მომხრე ვარ, რომ, რაც შეიძლება მეტად იყოს პასუხისმგებელი დეპუტატი და ნაკლებად პრივილეგირებული. დეპუტატს თუ დანაშაული აქვს ჩადენილი, თვალი დავხუჭოთ და შეეფაროს პარლამენტს? ეს არ სჭირდება მოსახლეობას. ჩვენ ამ ეტაპზე კონსტიტუციასთან წინააღმდეგობას ვასწორებთ და არაფერს ვცვლით.

– დაბოლოს... პრემიერ-მინისტრმა უახლოეს ხანში სამთავრობო ცვლილებები არ გამორიცხა და აღნიშნა, რომ „ვისაც ჰგონია, ყველაზე წარმატებულია, შესაძლოა, პირველი სწორედ ის შეიცვალოს“... თქვენ ვის მიიჩნევთ ღარიბაშვილის კაბინეტის ყველაზე სუსტ რგოლად?

– პრემიერ-მინისტრია მთავრობის მეთაური, მან იცის, სად არის სუსტი ადგილი, თუ არის. მე ამის შეფასება არ შემიძლია.

„უმძიმესი დანაშაულებია ჩადენილი, არის სამხილები და უნდა გაირკვეს სააკაშვილის შემდგომი ბედი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას გეგმავს „იდენტობა“ 17 მაისს

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: „არ უნდა მოხდეს საქართველოში გარყვნილების პროპაგანდა, კერძოდ, არ უნდა შედგეს ჰომოსექსუალური წყვილის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ფილმის „ჩვენ გიჟები ვართ“ ჩვენება 17 მაისს“

ხათუნა მგალობლიშვილი

„იდენტობა“ 17 მაისს არანაირ აქციას არ გეგმავს. ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ჩვიდმეტში საქართველოში საერთოდ არ იქნებიან და, შესაბამისად, არც არანაირ ქაოსს არ გამოიწვევენ. ირაკლი ვაჭარაძემ განცხადება ერთი თვით ადრე საკუთარ „facebook“-ის გვერდზე დადო. მან თავის გადაზღვევის მიზნით მიუთითა, რომ აღნიშნულ დღეს არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია გეგმავს აქციას. ამით „იდენტობა“ 17 მაისს სიტყვიერად გაემიჯნა: „ადამიანის უფლებების დაცვა 15 წუთით, 17 მაისს არ ხდება. მე პირადად ამას ვაკეთებ წელიწადში ყველა დღეს, შაბათ-კვირის ჩათვლით. ასე რომ, 17 მაისი ჩემთვის საკრალური დღე ნამდვილად არ არის ამ აზრით. ამას გარდა, ჩემთვის არ არის ცნობილი რაიმე სხვა ღონისძიების შესახებ, რომელიც 17 მაისს შეიძლება იგეგმებოდეს სხვა რომელიმე ორგანიზაციის მიერ. თუ მართლა გაწუხებთ ადამიანის უფლებები, 17 მაისის გასკანდალებით ამას ვერ მიაღწევთ. თქვენი სპეკულაციების მხარდაჭერა კი „იდენტობას“ არაფერში აწყობს. 17 მაისი ჩვენთვის არ არის რაიმე მატერიალური სიკეთის მომტანი, არც გრანტების, მათ შორის. ამიტომ, რადგან ეს დღე ასეთ სიძულვილს იწვევს, ჩვენ არ გვსურს ვინმეს ჯინაზე სოციალური უფსკრულის გაღრმავება. ასე რომ, შინაური და გარეული მედია სჯობს, შეეშვას ადამიანის უფლებებით სპეკულაციას. ყველასთვის ასე აჯობებს. შესაბამისად, არც ერთ მედიას არ მივცემთ არც ერთ ინტერვიუს 17 მაისთან დაკავშირებით, რადგან აბსოლუტურად არაფერს არ ვგეგმავთ ამ დღეს. თუ რუსეთს საქართველოს დაპყრობა აქვს გადაწყვეტილი, სჯობს, სხვა საბაბი მოიგონოს. არავის მივცემ საშუალებას, რომ ადამიანის უფლებები თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს. ეს ეხება პუტინსაც, ქართულ მედიასაც და ქართველ პოლიტიკოსებსაც“.

მიუხედავად ოფიციალური განცხადებისა, ცალკეული ორგანიზაციები, სასულიერო პირები და ახალგაზრდები მაინც ემზადებიან „იდენტობასთან“ ასოცირებული დღის ჩაშლისთვის. თუმცა ჩასაშლელი რა არის, ზუსტად თავადაც არ იციან. ერთი ფაქტია, 17 მაისს უკვე დაიგეგმა „ლგბტ“ პირების საწინააღმდეგო აქცია, ანუ კონტრაქცია. თუმცა თავად „ლგბტ“ პირები ქუჩაში გამოსვლას არ გეგმავენ. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მტკიცებით, „იდენტობის“ გეგმა „გაშიფრულია“. როგორც ამბობენ, 17 მაისს საქართველოს კინოთეატრებში ჰომოსექსუალისტი წყვილის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ფილმის „ჩვენ გიჟები ვართ“ პრემიერა იგეგმება.

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ გასული წლისგან განსხვავებით, მიმდინარე წელს გაცილებით ადრე იწყებს მზადებას და საზოგადოებას უკვე მოუწოდა, რომ აღნიშნული ფილმის ჩვენების საშუალება „იდენტობას“ არც ერთ კინოთეატრში არ უნდა მისცეს: „არ უნდა მოხდეს საქართველოში გარყვნილების პროპაგანდა, კერძოდ, არ უნდა შედგეს ჰომოსექსუალისტი წყვილის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ფილმის „ჩვენ გიჟები ვართ“ ჩვენება 17 მაისს. დაგეგმილია საჯარო ჩვენება

კინოთეატრებში. კანცელარიისკენ მსვლელობის შემდეგ ხელისუფლებას გადაეცემა შესაბამისი თხოვნა“. ორგანიზაცია საზოგადოებას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს.

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისგან“ დამოუკიდებლად, საკუთარი გეგმა აქვთ სტუდენტებსაც. ისინი აღნიშნული ფილმის პრემიერის გაპროტესტებას აპირებენ 17 მაისს. თუმცა, მმკ-სგან განსხვავებით, სტუდენტები წინასწარვე გეგმავენ, რომ უარი თქვან ყველანაირ პროვოკაციაზე და, უბრალოდ, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

ბექა ცხადაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:

– ეს არ იქნება კონტრაქცია. სექსუალურ უმცირესობაზე გადაიღეს ფილმები, რომელსაც ცენზურა არ ადევს და აქციას ვმართავთ ამასთან დაკავშირებით. 17 მაისს იქნება სრულმეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი.

– იცით, სად იქნება პრემიერა?

– ზუსტად არ ვიცით, საქართველოს კინოთეატრებში. ამ ინფორმაციას თავად „იდენტობა“ ავრცელებს. დაადასტურეს კიდეც.

– თუმცა „იდენტობის“ ხელმძღვანელი აცხადებს, რომ 17 მაისს საქართველოში საერთოდ არ იქნება.

– ასეთ დეტალებს არ ვფლობ, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ აპირებენ სექსუალური უმცირესობის შესახებ ფილმების ჩვენებას.

– რა რაოდენობა იქნება თქვენს აქციაზე წარმოდგენილი?

– რაოდენობა ზუსტად არ ვიცი, რამდენი ვიქნებით, შევიკრიბებით ფილარმონიასთან. არ ვაპირებთ, რომ ქაოსი შევქმნათ. ფილარმონიასთან შეკრების შემდეგ მსვლელობას ვგეგმავთ სამების ტაძრისკენ. დარბევა და ქაოსი გამორიცხულია.

– შეეცდებით, რომ აღნიშნული ფილმების ჩვენება ჩაშალოთ?

– ჩვენ ამას ხელს ვერ შევუშლით, რადგან მათ აქვთ უფლება, გაუშვან ეს ფილმები. ჩვენ გვინდა, სახალხო დამცველიც მოვიწვიოთ საკუთარ აქციაზე.

– სასულიერო პირები იქნებიან თქვენთან ერთად?

– ჯერ არ გვქონია კონსულტაციები, თუმცა ვგეგმავთ. არ ვიცი, შემოგვიერთდებიან თუ არა, თუმცა ჩვენ აუცილებლად გავაფრთხილებთ.

რეალურად ფილმთან „ჩვენ გიჟები ვართ“ არანაირი კავშირი არ აქვს „იდენტობას“. ფილმის პროდიუსერი და იდეის ავტორი ცნობილი ფილმების, „გარიგება 2“-ისა და „დარჩი ჩემთან“-ის პროდიუსერი დავით ბეჟიტაშვილია. ფილმი კომედიური ჟანრისაა და ის კინოთეატრებში მართლაც 17 მაისს „ჩაეშვება“. ბეჟიტაშვილის განცხადებით, ფილმი ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ეძღვნება. არატრადიციული კომედია პროვინციელი ახალგაზრდების შესახებ მოგვითხრობს, რომელთაგან ერთი სამეგრელოდანაა, მეორე კი – კახეთიდან. როგორც დავით ბეჟიტაშვილი აცხადებს, ფილმი დღევანდელ ქართულ რეალობას ასახავს, სადაც კარგად ჩანს, როგორ ხვდებიან არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებს ტრადიციების დამცველი, „ნამდვილ ქართულ ოჯახში“ აღზრდილი მშობლები და საზოგადოების განსხვავებული ჯგუფები.

ნათია ხარატიშვილი „იდენტობის“ წევრია. ის კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას და აცხადებს, რომ „იდენტობა“ მუშაობს ფილმზე, თუმცა „ჩვენ გიჟები ვართ“-ს ემიჯნება. მეტიც, ორგანიზაციის წევრები ბეჟიტაშვილის ფილმის სახელწოდებას არ იზიარებენ.

ნათია ხარატიშვილი, „იდენტობის“ წევრი:

– ამ ფილმთან ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს. ჩვენ ვიღებთ ფილმს, რომელიც სამუშაო პროცესშია სწორედ ახლა. როდის იქნება პრემიერა, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა ერთი თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს მასზე მუშაობა და პრემიერაც დაახლოებით ამ პერიოდში გაიმართება. პრემიერა ნამდვილად არ იქნება პომპეზური, სადაც ადამიანები შეძლებენ მოვარდნას და ჩვენების ჩაშლას.

– როგორია ფილმის შინაარსი?

– ბუნებრივია, ის ეხება 17 მაისის თემატიკას. ოჯახის ერთი ჩვეულებრივი დღის ისტორიაა, უფრო კონკრეტულად დედა-შვილის ურთიერთობის შესახებაა. ფილმს გავავრცელებ სოციალურ ქსელში, ინტერნეტშიც და ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა მექნება. თუმცა მოვერიდები ფილმის ისეთ ადგილზე ჩვენებას, სადაც შეიძლება ხალხმრავლობა იყოს და დაპირისპირება გამოიწვიოს. ნამდვილად არ მინდა, თავში რამე მომხვდეს.

მიუხედავად იმისა, რომ „იდენტობა“ უარყოფს ყველანაირ კავშირს ფილმის პრემიერასთან. სტუდენტები და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ საკუთარ გეგმას არ ცვლის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა, 17 მაისს აქცია იგეგმება ქუთაისშიც. ბექა ცხადაძის განცხადებით, სხვადასხვა რეგიონის სტუდენტებთან კონსულტაციები ჯერ არ ჰქონიათ, თუმცა არ გამორიცხავს, რომ აქციები დანარჩენ დიდ ქალაქებშიც დაიგეგმოს.

ნათია ხარატიშვილი: „მოვერიდები ფილმის ისეთ ადგილზე ჩვენებას, სადაც შეიძლება ხალხმრავლობა იყოს და დაპირისპირება გამოიწვიოს. ნამდვილად არ მინდა, თავში მომხვდეს რამე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შალვა რამიშვილი & ეკა კვესიტაძე

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

შალვა რამიშვილი: „ჩვენ გვინდა, რომ მოკლე დროში გავხდეთ პოპულარულები და ამ ხერხს მივმართავთ“

შალვა რამიშვილის გადაცემა „იმედზე“ აპრილის ბოლოს გავა. მანამდე „რამიშვილის შოუს“ ორი პრომო გავრცელდა. პირველი პრომოს დადებისთანავე მომავალმა წამყვანმა და მისმა თანაწამყვანმა რჩევები მესიჯებად მიიღეს, წონის პატარა კორექტირება არც ერთს არ გაწყენდათო. მეორე პრომოს გაცილებით დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, თუმცა დასკვნა აქაც მალევე დაიდო – „ჩიკაგოს“ გადამღერება „facebook“-ის მომხმარებლებმა ძირითადად დაიწუნეს: „შალვა, ალბათ, შეჩვეული ხარ კრიტიკას და გამომუშავებულიც გექნება შესაბამისი რეფლექსები. მიუხედავად ამისა, ჩემისთანა უბრალო ადამიანის აზრი რაში გაინტერესებს, მაგრამ ამ ქუდის მიხედვით ძალიან საშინელება ჩანს, რაც ჩანს ასევე „დრუმ ჰერუმ“, რაც რუსულად არის – „ვოკრუგ ი ოკოლო“. ამ ლაიქებს კი საცოდაობად ვთვლი. მართალია, გულისტკივილით“.

შოუ აპოლიტიკური იქნება. ეს ერთადერთი დაზუსტებული დეტალია, რომლის თქმაც შეგვიძლია. დანარჩენი კი რამიშვილის ფანტაზიაზეა დამოკიდებული. მან უნდა განავრცოს გადაცემის მსვლელობისას. სარისკო ნამდვილად არის, ვერაფერს იტყვი, თუმცა ტელეკომპანია მზადაა, რამიშვილის ნიჭს „გზა ფართო“ დაუთმოს.

სკანდალების მოყვარული რამიშვილის მოსმენისას ერთადერთი კითხვა გამიჩნდა, რომელიც გასული კვირის განმავლობაში ყველასგან დაისვა, თუმცა აბსოლუტურად სხვა ადამიანთან მიმართებაში. მართალია, მანჩო გიორგობიანს ამ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო რამიშვილთან, მაგრამ ფაქტი ერთია - გასული კვირის განმავლობაში მის „პრესკლუბს“ რეკორდული ნახვა ჰქონდა. ამდენი მსმენელი თავის დროზე ნინო ბურჯანაძეს რომ ჰყოლოდა, 26 მაისს, სავარაუდოდ, რადიკალურად განსხვავებულ შედეგს დადებდა. სავარაუდოდ, არც რამიშვილი იტყვის უარს იგივე რაოდენობის მაყურებელზე. თუმცა იმ პირით, როგორსაც ის ეწევა, მანჩო გიორგობიანის „რეიტინგს“, ალბათ, ვერ მიუახლოვდება...

შალვა რამიშვილი:

– ჩემი ახალი გადაცემა გავა ყოველ შაბათს, საღამოს 10 საათზე. ეს ფორმატი ვიყიდეთ ამერიკული ფირმისგან „ესთიმეითიდ კონტრაქთ“-ისგან. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს აპრობირებული ფორმატია. გადაცემის კულმინაციურ მომენტში უნდა გამოჩნდეს ცოცხალი ცხოველი. ეს იქნება ამ გადაცემის „ნოუჰაუ“. ჩვენ ზოოპარკთან გვაქვს მოლაპარაკებები და ყოველ გადაცემაში ახალ-ახალი ცხოველი იქნება წარმოდგენილი. ასეთი რამ არ უნახავს ქართველ მაყურებელს, გვინდა, რომ მოკლე დროში გავხდეთ პოპულარულები და ამ ხერხს მივმართავთ. კიდევ ვაპირებთ, სხვადასხვა ქვეყნებიდან ადგილობრივი ადამიანები ჩამოვიყვანოთ, მაგალითად, ახალი გვინეიდან, და შევასრულებინოთ ქართული ხალხური სიმღერები. ისინი იცხოვრებენ ჩვენთან პავილიონში. რაც შეეხება მარგოს, მას ექნება რუბრიკა – „უცაბედი ჰიპნოზი“, ის ქუჩაში ივლის და ადამიანებს დააჰიპნოზებს.

ეს მოკლე ვერსიაა იმ ზღაპრებიდან, რომელიც რამიშვილმა მოყვა. სამაგიეროდ ძალიან მოკლე პასუხებით შემოიფარგლა, როდესაც საკითხი მის ყოფილ სამსახურს შეეხო. ეს ის თემაა, რომელიც რამიშვილს დისკომფორტს უქმნის. როგორც ამბობენ, რამიშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან უკმაყოფილო წამოვიდა და იქ დარჩენილებიც უკმაყოფილოები დატოვა.

შალვა რამიშვილი:

– მე იქიდან წამოვედი, უკვე აღარ ვარ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

– რა მოხდა?

– ამაზე საუბარი არ მინდა.

– უთანხმოება რის გამო მოხდა?

– არ ყოფილა არანაირი უთანხმოება და არანაირი დაპირისპირება, დანარჩენს არ ვისაუბრებ.

რამიშვილი ირწმუნება, საკუთარი გადაცემის პროდიუსერი თავად ვარო, თუმცა რეალურად „შალვა რამიშვილის შოუს“ პროდიუსერობას გვანცა გორდეზიანი გაუწევს. გორდეზიანმა კომენტარის გაკეთებამდე ნებართვა რამიშვილისგან აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დაგველაპარაკა. ისიც მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ ჯერ არაფრის თქმის უფლება არ აქვს...

გვანცა გორდეზიანი, შალვა რამიშვილის გადაცემის პროდიუსერი:

– გადაცემის შინაარსზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ხელშეკრულებაში მიდევს, რომ ის, რაც გადაცემაშია, არ უნდა გავამჟღავნო გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. თუ შალვამ გითხრათ, ეს უკვე მისი საქმეა. ეს არ იქნება პოლიტიკური გადაცემა, ამიტომ იქ ყველაფერი შესაძლებელია, მოხდეს. ეს იქნება ტიპური ღამის შოუ. ჩვენ გვინდა, რომ გადაცემა იყოს განსხვავებული და სიურპრიზებით სავსე. ეს არ არის ნაყიდი გადაცემა, ეს იქნება ტრადიციული ღამის შოუ და ყველაფერი შალვაზეა დამოკიდებული, როგორ განავრცობს და რანაირად შემოგვთავაზებს.

ეკა კვესიტაძე „რუსთავი 2“-ზე

ტელესიახლეები იგეგმება „რუსთავი 2“-ზეც. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეკა კვესიტაძე საკუთარი გადაცემით სწორედ „რუსთავი 2“-ზე დაბრუნდებოდა. თუმცა ფაქტია, რომ პროცესი გაიწელა და ამის მიზეზიც ცნობილია. „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების ნაწილი კვესიტაძის არხზე მისვლის წინააღმდეგი იყო. თუმცა მოლაპარაკებებს არხის გენერალური დირექტორი თებერვალშივე ადასტურებდა.

ნიკა გვარამია:

– ყველა შეიძლება იხილოთ „რუსთავი 2“-ზე, ჩვენ ვმუშაობთ იმ ადამიანებთან, ვინც მიგვაჩნია, რომ ფასეულია. სხვა კომერციული საიდუმლოებაა და ვერ გეტყვით, ეს კონკურენციაა, მოგეხსენებათ, და ამიტომაც წინასწარ რაღაცების თქმა შეუძლებელია. თუმცა ის შეგვიძლია გითხრათ, რომ ბევრ ადამიანთან ვმუშაობთ.

როგორც ცნობილი ხდება ეკა კვესიტაძე „რუსთავი2“-ზე ახალ პროექტს იწყებს – „განსხვავებული აქცენტები“. ჟურნალისტური გამოძიება, რომელსაც სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით კვესიტაძის სტუდია მოამზადებს, ეთერში, სავარაუდოდ, თვეში ორჯერ გავა. კვესიტაძის განცხადებით, დეტალები თვის ბოლოს გახდება ცნობილი.

ეკა კვესიტაძე:

– დავაარსე „დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი“, რომელმაც კონტრაქტი დადო „რუსთავი 2“-თან. გადაცემა იქნება ანალიტიკური, საგამოძიებო ელემენტებით და ერქმევა „განსხვავებული აქცენტები“. ჯერ პერიოდულობა ზუსტად არ ვიცით. თვეში ერთხელ ან ორჯერ გავა ეთერში, კვირა დღეს.



ეკა კვესიტაძე: „გადაცემა იქნება ანალიტიკური, საგამოძიებო ელემენტებით და გავა თვეში ერთხელ ან ორჯერ“

გვანცა გორდეზიანი: „ეს იქნება ტიპური ღამის შოუ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საზმაუწყებელში ვითარება ისევ ჩიხში შევიდა

ქეთი ხატიაშვილი

საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვითარება სტაბილურად გაურკვეველია. პროცესი ხან წინ მიდის, ხან ისევ ჩერდება. ახლა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიიჩნევენ, რომ ვითარება საერთოდ ჩიხში შევიდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურს უნოდებენ

რამდენიმე დღის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონის ის ნაწილი გააუქმა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი ბორდის დათხოვნასა და ახალი ბორდის არჩევას ითვალისწინებს.

სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯერ კიდევ მოქმედმა ბორდის წევრებმა შეიტანეს პარლამენტის წინააღმდეგ. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების გაუქმება სნორედ მათ მოითხოვეს. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდნენ: დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე, მამუკა ფაჩუაშვილი.

პარლამენტმა მათი სარჩელი დაკმაყოფილა. ამ მომენტისთვის შესაბამისმა კომისიამ უკვე მეორედ ჩაატარა კონკურსი და პარლამენტში დასამტკიცებლად იმ კანდიდატების სია წარადგინა, ვინც თავად მიიჩნია ბორდში მოხვედის ღირსად. რა თქმა უნდა, კომისია კანონით დადგენილი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა.

ასე რომ, ახალი კანონმდებლობით, უკვე არჩეულია ბორდის 4 ახალი წევრი. ახალი კენჭისყრები პარლამენტში უახლოეს დღეებში უნდა გამართულიყო და ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლომ, არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, ძველი ბორდისთვის ვადამდე უფლებამოსილების შეჩერება.

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული მუხლის ცნობა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, არ ნიშნავს აპრიორი იმას, რომ ძველ გუნდს აღუდგა უფლებამოსილება. ეს ორი სხვადასხვა რამ არის... ახალ კანონში, ბუნებრივია, არის საკმარისი მექანიზმები იმისთვის, რომ ძველმა სამეურვეო საბჭომ შეწყვიტოს ფუნქციონირება, ან მისმა ცალკეულმა წევრებმა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმპიჩმენტსაც, მე, სამწუხაროდ, შარშან ვერ აღმოვჩნდი უმრავლესობაში, თუმცა ვითხოვდი, რომ ზოგადად დამდგარიყო სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების საკითხი - ასეთი შეფასება დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ გააკეთა.

როგორ უნდა იმოქმედონ მომავალში და როგორ შეძლებს ძველი და ახალი ბორდი თანამშრომლობას, ან რა იურიდიული მექანიზმი შეიქმნება ამისთვის, ჯერ ის კითხვებია, რომელზეც პასუხი არ არის. ყველა საკონსტიტუციო სასამართლოს დადგნილებას ელოდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით ჩიხში შეიყვანა იურისტები და ახლა ახალი საკანონმდებლო ბაზის მომზადება გახდება საჭირო.

„ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ჩვენ მივიღებთ ისეთ სიტუაციას, რომ უნდა იცნოს 4 ახალი წევრის უფლებამოსილებაც, რომელიც პარლამენტმა უკვე აირჩია, იმათიც, ვისაც ახლა აირჩევს, იმიტომ რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თვითონ არჩევის ახალი წესი არ გაუუქმებია და ასევე, ძველ წევრებსაც არ უნდა გაუუქმდეს უფლებამოსილება“, – ამბობს იურისტი ლიკა საჯაია, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წარმომადგენელი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის თაობაზე შექმნილი ახალი კანონის ერთ-ერთი ავტორია.

საჯაიამ ნეტგაზეთთან საუბრისას განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ბორდის ძველ 7 წევრს ლეგიტიმაცია აღუდგინა, მაშინ როცა პარლამენტმა უკვე 4 ახალი წევრი დაამტკიცა და კიდევ 5 წევრისთვის კენჭი უნდა ეყარა. ასე რომ, პარლამენტმა თუ 9 წევრი დაამტკიცა, გამოდის, რომ მათ 7 ძველი წევრი დაემატება და ბორდში, კანონით დადგენილი ცხრა წევრის ნაცვლად თექვსმეტს მივიღებთ.

როგორ უნდა გამოვიდეს მაუწყებელი ამ ჩიხიდან, ახლა იურისტები ფიქრობენ. მანამდე კი შეფასებები კეთდება. ბორდის შერჩევის პროცესი უკვე მერამდენედ შევიდა ჩიხში.

ნათია კუპრაშვილი:

- მაქვს რამდენიმე კითხვა, რომელზეც არ მაქვს პასუხი, მაგალითად, ე.წ. ძველმა და ალბათ, ახლა უკვე მოქმედმა ბორდმა, რომელიც წლების განმავლობაში დანაშაულებრივი საქმიანობით გამოირჩეოდა, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ შეიტანა, და არა მაშინვე. რას ფიქრობდა ეს ხალხი, ვის უთანხმდებოდა, და რატომ შეიტანა დაგვიანებით ეს სარჩელი? ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ მედიასთან დაკავშირებით არაერთი სარჩელის, მათ შორის ჩვენი სარჩელის შესახებ თქვა, რომ რადგან ეს არის მედია, ძალიან სწრაფად უნდა ვიმსჯელოო; კარგი, მიმართა ექსპერტებს, და სხვათა შორის ძალიან საინტერესო დასკვნა მოუვიდა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, შემდეგ სასამართლომ თქვა, რომ გადაწყვეტილება უნდა მიეღო მანამ, სანამ ჩვენი კომისია რეალურად დაიწყებდა მეორე ჯერზე მუშაობას. ამბობდა, რომ ორ კვირაში ექნებოდა გადაწყვეტილება. სად იყო აქამდე ეს გადაწყვეტილება. ხომ არ უკავშირდება ეს კვლავ კომისიის საქმიანობას? მე მაქვს ეს ლეგიტიმური კითხვები. მე მაქვს კითხვა, ხომ არ შედგა ამგვარი შეთანხმება უმრავლესობის გარკვეულ წევრებსა და მოქმედ ბორდს შორის?

ჩვენ თავს ზემოთ ძალა აღარ გვაქვს. სხვა ინტერესი არ გვქონია, გარდა იმისა, რომ გვინდოდა საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოფილიყო კარგი და გამართულად ემუშავა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩვენ დავმარცხდით.

პოლიტიკურ პროცესებს ხედავს საკონსტიტუციო სასამართლოს უკან ზვიად ქორიძეც. თუმცა, კომენტარში პოლიტიკურ პროცესს არ აკონკრეტებს:

- მიმაჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ პრინციპიდან ამოვიდოდა და მიიღებდა გადაწყვეტილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მან გააკეთა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს მთლიანად პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებაა. ძალიან სამწუხაროა, რომ მოსამართლე ასეთი კატეგორიებით მოქმედებს და აზროვნებს, იმიტომ რომ სასამართლო არ უნდა იღებდეს ვიწრო, ლოკალურ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ზვიად ქორიძე: „ეს მთლიანად პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უსაფრთხოა თუ არა ჯონსონის საბავშვო პროდუქცია?

სალომე გოგოხია

„კონკურენტი კომპანიები ძალიან ბინძურ მარკეტინგულ თამაშს თამაშობენ“

სანამ მედია საბავშვო პროდუქციის, ჯონსონის შამპუნისა და ზეთის მავნებლობაზე საუბრობს, საზოგადოება კვლავინდებურად ყიდულობს და იყენებს. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჯონსონის პროდუქციაში ნავთი და ტყვია აღმოაჩინეს. კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში აღნიშნულ ინფორმაციას სიცრუესა და კონკურენტების მხრიდან აგორებულ შავ პიარს უწოდებს.

ჯანდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ კოსმეტიკური პროდუქციის კონტროლი მათ არ ევალებათ, ანალოგიური პასუხი მივიღეთ სურსათის უვნებლობის სააგენტოდანაც.

სამწუხაროდ, ვერ აღმოვაჩინეთ შესაბამისი სამსახური, რომელიც ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის კონტროლს ახორციელებს. ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ კოსმეტიკურ პროდუქციაზე კონტროლი მათ უწყებას არ ევალება.

თუმცა, ვერც იმაზე გაგვცეს კონკრეტული პასუხი, ვისი პრეროგატივაა საზღვარგარეთიდან იმპორტირებული კოსმეტიკური საშუალების კონტროლი. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ბავშვებსა და მათთვის განკუთვნილ ჰიგიენურ საშუალებებს.

როგორც ჩანს, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის ფრთიანი ფრაზა – „ბაზარი დაარეგულირებს“, ამ შემთხვევაში ნათქვამს ამართლებს.

პრაქტიკულად, ეს სფერო უყურადღებოდ არის დატოვებული და მომხმარებლებს ისღა დარჩენიათ, პროდუქციის ეტიკეტზე წარწერილი ინფორმაციით დაკმაყოფილდნენ.

„უკვე 4 წელია, რაც ჩემი შვილისთვის იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჯონსონის შამპუნსა და ზეთს ვყიდულობ. გამოგიტყდებით და მე და ჩემი მეგობრები ზაფხულში რუჯის უკეთ მისაღებად ჯონსონის ზეთს ვიყენებთ. ზაფხულში აჭარის სანაპიროზე თუ გაივლით, დამსვენებელი მანდილოსნების 80% სწორედ ჯონსონის ზეთით ირუჯება. ამიტომ ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო ამ ინფორმაციის წაკითხვა. დაბნეული ვარ. ნუთუ, ამდენი წელი საკუთარ და შვილის ჯანმრთელობას კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებდი? ან სახელმწიფოში ხომ უნდა არსებობდეს რაღაც მექანიზმი, რაც ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციას გააკონტროლებს. სწორად არ მიმაჩნია, რომ მხოლოდ ეტიკეტზე არსებული წარწერით ან იმ სერტიფიკატით დავკმაყოფილდეთ, რაც, ჩვეულებისამებრ, პროდუქციას ახლავს. ალბათ, ჯონსონის გამოყენებას შევწყვეტ. გადავწყვიტე, როგორც კი შინ მივალ, შამპუნი ნაგვის ურნაში მოვისროლო. თუმცა, იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება“, – გვითხრა 29 წლის თამუნამ.

ჯონსონის საბავშვო პროდუქციაში აღმოჩენილი კანცეროგენის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2011 წელს გავრცელდა. მაშინ ითქვა, რომ ჯონსონის შამპუნი პატარებს თვალებს წვავს, ალერგიას იწვევს და უარეს შემთხვევაში – სიმსივნეს.

ნათქვამი ნათქვამად დარჩა. საქართველოში ამ პროდუქციის ტესტირება არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ ვიცით, პროდუქცია ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს თუ არა. არადა, ფაქტია, რომ პროდუქცია მსოფლიოს მასშტაბით დიდი პოპულარობითა და სანდოობით სარგებლობს.

საქართველოში ჯონსონის პროდუქციის იმპორტიორია შპს „ალიანსი“. „პრაიმტაიმთან“ საუბარში პროდუქციის ბრენდ-მენეჯერი კაკო ჩიხლაძე ჯონსონის პროდუქციაში ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების აღმოჩენას უარყოფს და პროდუქციის უვნებლობაზე საუბრობს.

„ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ინგრედიენტები, რომელზეცაა საუბარი, საერთოდ არ შემოდის ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. დაშვებული ნორმით შედის აშშ-ში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში. ჯონსონის პროდუქცია მავნებელი რომ იყოს, მასზე ამხელა მოთხოვნილება ვერ იქნებოდა. ნომერ პირველი ბრენდია. ამ პროდუქციაზე თაობები იზრდება და ბავშვებს არ ვნებს. უბრალოდ, კონკურენტი კომპანიები ძალიან ბინძურ მარკეტინგულ თამაშს თამაშობენ. თუ გახსოვთ, 80-იან წლებში ანალოგიური ინფორმაცია გავრცელდა ჯონსონის მედიკამენტებზეც. სხვადასხვა დროს მედიით გავრცელებული ბრალდებები კომპანიამ რომ გაასაჩივროს, ზედმეტ ხარჯთან და დროის კარგვასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, რაღაც მომენტში შავი პიარი გვაზარალებს, მაგრამ ისე არა, რომ ამაზე ყურადღება გავამახვილოთ. კომპანია 10 წელია, რაც არსებობს. გამორიცხულია, რომ ის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავდეს. პროდუქცია, სანამ გასაყიდად გამოვა, 300-მდე სამედიცინო ტესტს გადის. კომპანიას არ უღირს, რომ თუნდაც ერთი ადამიანი დააზარალოს. პირველად ამერიკაში აგორდა ეს სკანდალი და შემდეგ საქართველოშიც დაიწყეს ამაზე ლაპარაკი. ჟურნალისტებს ერთი თვის მასალა გაქვთ, სკანდალი. მერე არავინ იძიებს, სინამდვილეში რა-



გორ არის. პირადად ჩემთვის სასაცილოა ის ფაქტი, თითქოს ჯონსონი ბავშვებს კლავს და წამლავს. მსგავსი რაღაცები პერიოდულად გორდება ხოლმე ჯონსონის წინააღმდეგ. შეიძლება იგივე პრობლემა სხვა დიდ კომპანიებსაც აქვთ. არ ვიცი, არ ვინტერესდები“, – განაცხადა ბრენდ-მენეჯერმა.

ფაქტია, რომ უნიკალური ფორმულა „ცრემლების გარეშე“ კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საზოგადოების ყურადღების ქვეშ, თანაც საკმაოდ არასახარბიელოდ.

მომხმარებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე ამბობს, რომ ნებისმიერმა პროდუქტმა, რომელიც საქართველოში შემოდის, ლაბორატორიული ტესტი უნდა გაიაროს. შესაბამისად, ლაბორატორიამ უნდა გასცეს შესაბამისი დოკუმენტი.

„ყველა ასეთი პროდუქცია ქიმიურ ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ჯანმრთელობისთვის საზიანო რომელია, არ ვიცით. ეს სპეციალისტებმა უნდა გვითხრან. რაც მავნე ნივთიერებებისგან შედგება, ბაზარზე არ უნდა დაუშვან. ჯონსონი ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა და ბევრ ქვეყანაშია დაშვებულია. არა მგონია, საშიში იყოს. არა მგონია, რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს თავიანთი შვილები ჩვენზე ნაკლებად უყვარდეთ. ჭორი უფრო მგონია, ვიდრე სიმართლე“, – ამბობს ბურჯანაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა შემთხვევაში ხდება მა

პროგლემები საგამოძიებო ორგანოებში

ორი მკვლელობ ბრალდებული

მარიამ ნადირაძე

არ ვაპირებთ, მოტივები ვეძებოთ, ვინაიდან ეს გამოძიების კომპეტენციაა... უბრალოდ, გიამბობთ ორ ამბავს. ორივე სხვადასხვა დროს მომხდარი მკვლელობის ისტორიაა. ამ ისტორიებისთვის საერთო შედეგის სიმძიმე და პროცესში დაშვებული უხეში შეცდომებია.

გამოძიების ორგანოებს უკვე დიდი ხანია მიკერძოებასა და არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებენ. თუმცა რამდენიმე წლის წინათ ქვეყანა შეთანხმდა, რომ გამოძიება მხოლოდ იმ შედეგს დადებდა, რომელსაც უმაღლესი სახელისუფლებო ელიტა გადაწყვეტდა და, რაღა თქმა უნდა, სასამართლოც ამ შედეგს უსათუოდ დაადასტურებდა. როგორც კი ასეთი ერთობა დაირღვა და სასამართლო, თითქმის წელიწად-ნახევარია, შეძლებისდაგვარად ცდილობს პროკურატურას „ჭკუა ასწავლოს“, წლების განმავლობაში დაგროვილი დამოკიდებულება საგამოძიებო ორგანოების მიმართ უფრო თვალსაჩინო გახდა. რჩება თუ არა მიუკერძოებლობა, ოპერატიულობა და პროფესიონალიზმი ამ სისტემის აქილევსის ქუსლად, ამას იმ ორი ტრაგიკული ფაქტის გამოძიების ფონზე განვიხილავთ, რომლის შესახებაც სტატიის დასაწყისში დავაანონსეთ.

შეგნებულად შევარჩიეთ ეს ორი შემთხვევა, ვინაიდან მას ირიბი შეხებაც კი არ აქვს პოლიტიკასთან (ურომლისოდაც დღეს, სამწუხაროდ, მგონი, ყვავიც აღარ ჩხავის საქართველოს საზღვრებში. – მ.ნ.). ამან საშუალება მოგვცა, მხოლოდ საქმის გარშემო მიმდინარე პროცესებს მივადევნოთ თვალი.

ამ შემთხვევების კიდევ ერთი რამ აერთიანებს – ადვოკატი ინგა შარაშენიძე. ერთ საქმეში ის გარდაცვლილის ოჯახის ინტერესებს იცავს, მეორეში კი – მკვლელობაში ბრალდებულისას. რა თქმა უნდა, ის ჩვენი რესპონდენტია და სწორედ მასთან ერთად გავივლით იმ საგამოძიებო ლაბირინთებში, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც იმედგაცრუებულები გადიან...



გიორგი ბაზანდარაშვილი

მკვლელობა წერეთელზე

„24 მარტს, გვიან ღამით, წერეთლის გამზირზე 26 წლის ახალგაზრდა მამაკაცს ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა 8 ჭრილობა ცივი იარაღით მიაყენა. დაჭრილმა ტაქსის გაჩერება მოახერხა, თუმცა ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებული იყვნენ ექსპერტ-კრიმინალისტები და საპატრულო პოლიცია. ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული“. – ეს ისტორია 25 მარტს ასეთი ფორმით გახდა ცნობილი, თუმცა, ბუნებრივია, მოგვიანებით გაირკვა, რომ გარდაცვლილია 26 წლის გიორგი ბაზანდარაშვილი, ხოლო მისი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს არჩილ მალხაური.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ იმ დღეს გიორგი მეგობარ გოგონას შეხვდა წერეთელზე მდებარე პოლიციის შენობასთან. გოგონა გამოძიებას ჩვენებას აძლევს, რომ გიორგი მასთან აღელვებული მივიდა, იგინებოდა და უცნობი ადამიანების მისამართით ამბობდა, მაგათ ვუჩვენებო. მერე მას დროებით დაშორდა, დავბრუნდებიო და წერეთლის გამზირი გადაკვეთა. თუმცა აქვე გეტყვით, რომ ეს გამოძიების მიერ დალაგებული სურათია... სხვადასხვა გარემოებებიდან ირკვევა, რომ კონფლიქტი გოგონასთან შეხვედრამდე ერთ-ერთ მაღაზიაში დაიწყო. სწორედ აქ ცდება გამოძიებისა და გარდაცვლილის ოჯახის პოზიციები ერთმანეთს. ოჯახი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი არჩილ მალხაურმა და მისმა თანმხლებმა პირმა დაიწყეს, რომლის ვინაობაც მათთვის უცნობია...

ჰო, მართლა, სანამ საქმის დეტალებზე გადავიდოდეთ, აქვე უნდა ვთქვათ მიზეზი, რატომაც არ იცის დაზარალებულმა მალხაურის მეგობრის ვინაობა: წინა ხელისუფლების დროს კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც დაზარალებულის უფლებები შეიზღუდა და მოწმისას გაუთანაბრდა. შესაბამისად, მათ საქმის გაცნობის უფლება არ აქვთ. ეს ცვლილება დღეს უამრავი დაზარალებულის აღშფოთებას იწვევს, რადგან ამ ცვლილებისთვის თავის დროზე გაჟღერებულ არგუმენტს, რომ დაზარალებულის ინტერესებს ბრალდება (პროკურატურა) დაიცავდა, არც მაშინ და არც ახლა თითქმის არც ერთი მათგანი არ გრძნობს.

ადვოკატი ინგა შარაშენიძე

ახლა კი, ამ მცირე ჩანართის შემდეგ, ვნახოთ, რას გვიამბობს ადვოკატი...

ინგა შარაშენიძე:

– ბუნებრივია, ჩვენ ჩვენი ძალებით მოვახერხეთ ადამიანების გამოკითხვა და ასეთი სურათი შეიქმნა: რეალურად, როდესაც მაღაზიაში შევიდა გიორგი, არჩილ მალხაურმა და მისმა თანმხლებმა მას სიგარეტის ყიდვა მოსთხოვეს.

– იცნობდნენ ერთმანეთს?

– არა, არ იცნობდნენ. ეს ამბავი იმ ადამიანებმა გვიამბეს, რომლებიც მაშინ მაღაზიაში იმყოფებოდნენ. გიორგიმ უთხრა, ფული არ მაქვსო და თავისი სიგარეტი მიაწოდა. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სწორედ ამან გამოიწვია კონფლიქტი. ამის შემდეგ გიორგი მიდის მეგობარ გოგოსთან შეხვედრაზე. ამ შეხვედრის შემდეგ კი კვეთს ქუჩას, სახლში აპირებს წასვლას. იქ ისევ შეხვდება იმ ორ ადამიანს. გამოძიებამ მტკიცებულებად მხოლოდ პოლიციის კამერების ჩანაწერი ამოიღო, რომელიც მხოლოდ იმას აფიქსირებს, რა ხდება ამ შეხვედრის შემდეგ. ეს იმ დროს, როდესაც შეეძლო, სხვა კამერების ჩანაწერებიც ამოეღო, რომელიც თუნდაც მაღაზია „ნიკორას“ აქვს და სწორედ იქ მდებარეობს, სადაც ეს ბიჭები შეხვდნენ. მხოლოდ იმ ჩანაწერებით, რაც გამოძიებამ ამოიღო, ვხედავთ, რომ გიორგი სირბილით გადმორბის ქუჩაზე, გაირბენს პოლიციის შენობის წინ, კორპუსთან დაეწევა მალხაური, წააქცევს მას პირქვე და ზემოდან ურტყამს ბევრჯერ. შემდეგ მათთან მიდის სხვა პირი, სავარაუდოდ, ის ადამიანი, ვინც მალხაურს მაღაზიაშიც ახლდა და დააშორებს ერთმანეთს...

– ბაზანდარაშვილს დახმარება არავინ აღმოუჩინა?

– საქმეც ეს არის... ის თვითონ აჩერებს ტაქსს, მაგრამ საავადმყოფომდე ვერ აღწევს. გამოძიებამ კი მალხაურის თანმხლები პირი მხოლოდ მოწმის სახით დაკითხა და არავის უფიქრია, რომ მისთვის დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო წაეყენებინა ბრალი...

– ალბათ, გამოძიებას აქვს ამის არგუმენტი...

– გამოძიება მის ჩვენებას იზიარებს, რომ თითქოს მას არ დაუნახავს მალხაურის ხელში დანა და არ იცოდა, რომ ბაზანდარაშვილი დაჭრილი იყო, ვინაიდან ეგონა, რომ არჩილი მას მუშტს ურტყამდა. ამ შემთხვევაში მას ბრალი ვერ წაეყენება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, ვინაიდან ეს მუხლი მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შეუტყობინებლობის გამო სჯის პირს. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ასეთი ჩვენების მიცემა მას სწორედ გამოძიებამ უკარნახა, რათა პასუხისმგებლობას აარიდოს.

– ამ ეჭვის საფუძველს რა გაძლევთ?

– ძალიან რთულია, დავიჯეროთ, რომ პროკურატურას ეჭვი არ შეეპარა ამ მონათხრობის გულწრფელობაში, რადგან ბაზანდარაშვილს 8 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და არამარტო ზურგზე – გულ-მკერდის, ფეხისა და თავის არეშიც კი. თუ მალხაურმა ის პირქვე წააქცია და ზემოდან ურტყამდა დანას, რაც კამერის ჩანაწერებითაც დგინდება, რატომ არ ფიქსირდება რვავე ჭრილობა ზურგის არეში? როდესაც გამოძიებას სახეზე აქვს გვამის პირველადი დათვალიერების ოქმი, სადაც დაზიანებები გულ-მკერდზეც არის მიყენებული, რატომ არ ცდილობს, მოიპოვოს მტკიცებულება იმის შესახებ, სად მიადგა მას ეს დაზიანებები? ამის დადგენა სულ მარტივად შეიძლება, თუნდაც „ნიკორას“ კამერის ჩანაწერების ამოღებით.

– თქვენ დასაწყისშივე გვითხარით, რომ დაზარალებულის მხარეს საქმის მასალების გაცნობის უფლება არ აქვს. შესაბამისად, იქნებ ამოღებული აქვთ და თქვენ არ იცით ამის შესახებ?

– დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ ამის გაკეთება არც უცდიათ.

– როგორც ჩანს, ეჭვობთ, რომ ის უკვე დაჭრილი გადმორბის ქუჩაზე, შემდეგ დაეწევა მას მალხაური და ზურგის არეში მიაყენებს დამატებით დაზიანებებს?

– დიდი ალბათობით სწორედ ეს სურათი იკვეთება. თუ ეს ასე არ არის, მაშინ საინტერესოა, როგორ ასაბუთებს გამოძიება, ზურგის გარდა, სხვა დაზიანებებსაც... გამოძიება რომ მიკერძოებულია, ამის საფიქრებლად სხვა

„თუ ექსპერტიზის დასკვნა მკვლელობაში ბრალდებულს შეურაცხადობას დაუდგენს, ახლავე ვამბობ, რომ ის აუცილებლად გაყალბებული იქნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოძიება მიკერძოებული?

„ლოგიკურად ჩნდება კითხვა – თუ მკვლელობის იარაღი ერთია და ის ექსპერტმა გაგზავნა დამატებით ექსპერტიზაზე 1-ელ აპრილს, როგორ ახერხებს იგივე იარაღის გაგზავნას გამომძიებელი მომდევნო დღეს?“

ა – „დაზარალებული“ და გარდაცვლილი

მკვლელობა ვანში

მოქმედება გასული წლის 14 მარტს ვანის რაიონის სოფელ მთისძირში, შალვა ანდღულაძის ოჯახში ხდება. უკვე საკმაოდ გვიანია და ღია აივანზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრის წევრებიც ალკოჰოლით მიღებულ სიამოვნებას ერთმანეთის სიძულვილში ზრდიან. გაისმის რამდენიმე გასროლა და ოჯახში სტუმრად მისული მამიდაშვილი, დავით გოგსაძე მძიმე ჭრილობებით ვანის საავადმყოფოში მიჰყავთ, სადაც, სამწუხაროდ, არც ქირურგია, არც ანესთეზიოლოგი და გამოძახებული ექიმი გადაწყვეტილებას იღებს, პაციენტი სამტრედიის საავადმყოფოში გადაიყვანონ. დავით გოგსაძე გზაში გარდაიცვლება.

ბიძაშვილ-მამიდაშვილების გარდა, იქ იმყოფებიან გიორგი მინაშვილი, რომელიც ოჯახის უფროსის შვილის ნათლიაა (ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, კერძოდ კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიოეთერის კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი), ბენია მინაშვილი – მათი მეზობელი, რომელსაც ორი სახლის მოშორებით გარდაცვლილი მამა უსვენია სახლში, და მისი ქვისლი – დავით დათაშვილი, რომელიც ნათესავის ოჯახში დაახლოებით ორი კვირის წინ მისივე თხოვნით ჩავიდა თბილისიდან, რათა ქვისლის ავადმყოფი მამისთვის მიეხედა....

15 მარტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ დავით დათაშვილი სამტრედიაში, ერთ-ერთ ოჯახში დააკავა, სადაც ის საკუთარი ფეხით მივიდა და განაცხადა, რომ პოლიციას ჩაჰბარდებოდა...

ამ ისტორიის შესახებ „პრაიმტაიმმა“ გასულ წელს უკვე მოუთხრო თავის მკითხველს. როგორც უკვე დასაწყისშივე შეგპირდით, დღევანდელ სტატიაში მოტივებზე არ ვისაუბრებთ. არსებითად არც ზემოჩამოთვლილ სახელებსა და გვარებს აქვს დიდი მნიშვნელობა იმ „კურიოზული“ ფაქტის აღსაწერად, რაც ჯერ გამოძიების პროცესში დაიშვა, შემდეგ კი ორი ინსტანციის სასამართლოში გადაინაცვლა. ამ შემთხვევაში გვინდა გიამბოთ, როგორ აღმოჩნდა საქმეში ორი იარაღი, როდესაც წინასწარ გამოძიებაშიც და სასამართლო განხილვების დროსაც მკვლელობის იარაღად მხოლოდ ერთი „ტეტე“-ს მარკის პისტოლეტი ფიქსირდებოდა...

როგორც წესი, როდესაც დანაშაული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხდება, ტარდება ბალისტიკური ექსპერტიზა. ამ საქმეზეც ასე მოხდა. პირველადი ექსპერტიზა იმერეთის საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში ჩატარდა. ექსპერტი გიორგი შალიკიანი გახლდათ. სათანადო დანადგარის უქონლობის გამო (ეს მიზეზი დასახელდა გამომძიებლის დადგენილებაში. – მ.ნ.), იარაღი, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ორი მასრა და ორი ტყვიის გულა დამატებითი ექსპერტიზისთვის თბილისში გაიგზავნა ექსპერიმენტალურად გასროლილ მასრებთან ერთად. ექსპერტ მარინა გაბუნიას წინაშე დაისვა შესაბამისი კითხვები, თუმცა ამ კითხვების შინაარსს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს.

საინტერესო ის არის, რომ ამ მასალების თბილისში გადაგზავნას ორი ადამიანი ერთდროულად იჩემებს, ერთი ექსპერტი გიორგი შალიკიანია, მეორე კი – გამომძიებელი ფილიპე ადეიშვილი. ამ უკანასკნელმა რომ ნამდვილად გაგზავნა მასალა თბილისში, ამას მის მიერ ხელმოწერილი დადგენილება ადასტურებს „დამატებითი ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომელიც გასული წლის 2 აპრილით არის დათარიღებული. ახლა ვნახოთ, რა ხდება მეორე ფრონტზე: სასამართლოზე გიორგი შალიკიანის დაკითხვის დროს ის ადასტურებს, რომ დათუნა გოქსაძის მკვლელობის იარაღი მასრებთან და ტყვიის გულასთან ერთად მისმა უფროსმა (რომელიც ნამდვილად არ არის გამომძიებელი ფილიპე ადეიშვილი. – მ.ნ.) 1-ელ აპრილს გაუშვა თბილისში.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა – თუ მკვლელობის იარაღი ერთია და ის ექსპერტმა გაგზავნა დამატებით ექსპერტიზაზე 1-ელ აპრილს, როგორ ახერხებს იგივე იარაღის გაგზავნას გამომძიებელი მომდევნო დღეს?

საქმის მთელი კურიოზი ის გახლავთ, რომ ამ საქმეზე განაჩენი დადგა და მოსამართლემ ამ განაჩენში მხოლოდ ექსპერტის ჩვენება გაიზიარა, თანაც ისე, რომ საერთოდ უგულებელყო გამომძიებლის დადგენილება, რომელიც ოფიციალური დოკუმენტია და მისი ასლი ამჯერად „პრაიმტაიმის“ ოფისშიც ინახება.

გამოდის, რომ ამ საქმეში, ერთის ნაცვლად, „ტეტე“-ს სისტემის ორი პისტოლეტი ფიქსირდება, რომელიც მხოლოდ სასამართლოს მიმდინარეობის დროს „გამრავლდა“ და კითხვა არავის გასჩენია, რა წარმომავლობისაა ეს მეორე იარაღი...

მეტიც, დღეის მდგომარეობით, ეს საქმე უკვე საკასაციო გადაწყვეტილებას ელოდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველ ინსტანციაში გაშვებული შეცდომა ბრმად გაიზიარა აპელაციამაც.

ისედაც მძიმე თემას შევეხეთ და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მკითხველის გონება და გაწწყობა შესაბამისი რესპონდენტების გამოკითხვით აღარ დავამძიმოთ, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე მუშაობისას შესაბამისი დოკუმენტებით ვიხელმძღვანელეთ. ვფიქრობთ, რომ ეს ისტორია შესაბამისი ორგანოს, სულ მცირე, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, მით უმეტეს, რომ წინ კასაციაა.

„გიორგი ბაზანდარაშვილი გარდაცვლილია და ის ვერაფერს იტყვის. ამიტომაც ცოცხლებს პატრონობენ ახლა“

გარემოებებიც გვაძლევს საფუძველს: ჩვენმა მოწინააღმდეგე მხარემ გამოძიებას შუამდგომლობით მიმართა, რომ არჩილ მალხაურს ჩაუტარდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა. როგორც ჩანს, უნდათ, რომ შეურაცხადობა დაუდგინონ შემამსუბუქებელ გარემოებად. ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინათ ის „ასათიანზე“ იწვა. თუ ექსპერტიზის დასკვნა მკვლელობაში ბრალდებულს შეურაცხადობას დაუდგენს, ახლავე ვამბობ, რომ ის აუცილებლად გაყალბებული იქნება, ვინაიდან ამ მკურნალობის შემდეგ მას „ფსიქო“ აქვს აღებული. ამის გარდა, ის „კავკასუს ონლაინში“ მენეჯერად მუშაობდა. ბუნებრივია, ლოგიკურია კითხვა, ასეთ ორგანიზაციაში და ასეთ თანამდებობაზე შეურაცხადებს ნიშნავენ? ან ასეთი ფსიქოლოგიური პრობლემით ადამიანზე „ფსიქოს“ გასცემენ?

– ეჭვობთ, რომ გამოძიება მიკერძოებულია... რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

– გიორგი ბაზანდარაშვილი გარდაცვლილია და ის ვერაფერს იტყვის. ამიტომაც ცოცხლებს პატრონობენ ახლა.

– გოგონა, რომელსაც გიორგი იმ დღეს შეხვდა, ამბობს, რომ ბაზანდარაშვილი აფორიაქებული მივიდა მასთან და იმუქრებოდა...

– ძალიან საინტერესო ფიგურაა ამ საქმეში ეს გოგონა. პრესაში გავიდა ინტერვიუ წერეთელზე მდებარე „მაკდონალდსის“ „სტაიანშიკთან“. ის ამბობს, რომ ამ ყველაფრის შემდეგ დაინახა გოგონა, რომელიც ორ ბიჭთან ერთად მიდიოდა ეკლესიის მიმართულებით. ის ორი ბიჭი იქნებ სწორედ მალხაური და მისი მეგობარი იყვნენ? და იქნებ, სულაც არ მომხდარა კონფლიქტი შემთხვევით, სიგარეტის გამო? ამის დასადგენად საჭიროა ამ სამივე პერსონაჟის ტელეფონების ანძების ამოღება და თუ მათ შორის რამე კავშირი გამოჩნდება, საინტერესოა, მერე როგორ მოახერხებს პროკურატურა საქმის შეკერვას?

ბუნებრივია, ვითარებაში გასარკვევად „პრაიმტაიმი“ ამ საქმის უშუალო საპროცესო ხელმძღვანელს, პროკურორ გრიშა ბიბილაშვილს დაუკავშირდა. პირველივე კითხვის შემდეგ – ამოღებულია თუ არა გამოძიების მიერ პოლიციის განყოფილების სათვალთვალო კამერის გარდა, სხვა მიმდებარე ქუჩის კამერებიდან ჩანაწერები, პროკურორმა გვითხრა, რომ ზეპირად არ ახსოვს საქმის დეტალები და საუბარი მეორე დღისთვის გადაგვიდო. როგორც ჩანს, ეს მისთვის კითხვებზე პასუხისგან თავის არიდების ხერხი აღმოჩნდა. მას შემდეგ ის ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიკო სადუნიშვილი - „გამჭვირვალე ზედის ჩაცმას არ ვაპირებ, ამიტომ თმის წითლად შეღებვა კარგი გამოსავალი იყო“

„გამოდის, რომ ჯერ ილუზიას ვქმნით, რომ შოუბიზნესში გართობაა“

ერთი თვეა, რაც თიკო სადუნიშვილმა თმა წითლად შეიღება. როგორც ამბობს, ამ ფერით თბილისის უივენთობასა და „უპონტობას“ აბალანსებს და აფერადებს. „თბილისი ლაივი“, „რუსთავი 2“-ის ეთერში, გასულ ხუთშაბათს უკვე მეორედ გავიდა. მისი პროდიუსერი დათო იმედაშვილი და ალინა არველაძეა. იმედაშვილის იდეა იყო, რომ „თბილისი ლაივი“ „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულიყო.

დათო იმედაშვილი: - ვთვლი, რომ თიკო ძალიან მაგარი წამყვანია და ძალიან უხდება ამ გადაცემას. მე ბევრი ვეცადე, რომ „თბილისი ლაივი“ აღდგენილიყო, გადაცემის ძველი ჯგუფი შემოვიამხანაგე. ჩემმა სტუდიამ - „Dispictures“-მა გადაცემის ძველი ჯგუფი გადაახალისა და ამ პროდუქტს ერთად ვაწარმოებთ. ალინა, ისევ ისე, როგორც ადრე, ჩაბმულია ამ პროცესში.

- „იმედთან“ აღარ თანამშრომლობთ?

- „იმედმა“ „ახალი ხმა“ გააჩერა, შესაბამისად, არ ვაკეთებ. ჩვენი სტუდია პროექტს აწარმოებს, ყიდის და ვინც ყიდულობს, იმას ვაძლევთ. „ახალ ხმასაც“ ყიდულობდა ტელეკომპანია „იმედი“. ამჯერად, ჯერჯერობით ეს პროექტი გვაქვს.

- ზაფხულში ძველებურად სანაპიროზე გადაინაცვლებს „თბილისი ლაივი“?

- არის საუბარი იმაზე, რომ ზაფხულში ბათუმიდან გავიდეთ ეთერში.

თიკო სადუნიშვილი: - გადაცემის ანონსი ეთერში ცოტა ხნით ადრე გავიდა, ამიტომ ბევრმა არ იცის, რომ ეთერში გავედით. იმედია, მეორე გადაცემის მერე ჩაერთვებიან. თბილისის ივენთებზე დიდი დოზით ვართ დამოკიდებული. სადაც დავდივართ, „ფეისები “დიდად არ გვხვდებიან, ნაკლები სიყვითლეა. ეტყობა, ივენთების დეფიციტია, ერი მოშვებულია და სადღესასწაულოდ დიდად არ იცვამენ. ფერადი კადრები არ მაქვს და ვცდილობ ეს სიტუაცია ჩემი წითელი თმითა და ფერადი ტანსაცმლით დავაბალანსო. „თბილისი ლაივი“ რომ დავიწყეთ, მაშინაც იგივე სიტუაცია იყო. ჩვენთვის აწყობდნენ ივენთებს. მომწონს ის, რომ გვირეკავენ, თუ მოხვალთ, ივენთს დავგეგმავთო, გვთავაზობენ. მალე მოდის კვირეული იქნება და ეს სიტუაცია გამოცოცხლდება. ყველა თბილისელი უნდა ეცადოს და დაგვეხმაროს, რომ აქტიური ივენთცხოვრება დაიწყოს. ეს არ არის გადაცემა, რასაც მე ვქმნი, რა თქმა უნდა, ვალამაზებ და ისე ვაწოდებ მაყურებელს. გამოდის, რომ ჯერ ილუზიას ვქმნით, რომ შოუბიზნესში გართობაა. ეს კი სტიმულს აძლევს იმათ, ვინც სახლში ზის და გარეთ არ გამოდის გასართობად.

- წითელი თმა რამდენ ხანს გექნება?

- სანამ არ მომბეზრდება, არ გადავიღებავ. გადაღებებზე ყურადღებას იქცევს და ყველა თავზე მეფერება, სათამაშოსავით.

- ახალი იმიჯის ნაწილია?

- კი, მეტი ვერაფერი მოვიფიქრეთ. რაც გასახდელი იყო, ყველამ გაიხადა, თუ რაიმე სათქმელი იყო, ყველამ თქვა. ამიტომ თმის წითლად შეღებვა კარგი გამოსავალი იყო, ახალი რომ გვეთქვა.

- გამჭვირვალე ზედას არ ჩაიცვამ?

- გამჭვირვალე ზედის ჩაცმას და იმის გაკეთებას, რაც უკვე გაკეთებულია, არ ვაპირებ. იმედია, რამე ახალს მოვიფიქრებ, მაგრამ მეტი რაღა ვქნა, მითხარი?

- აბაზანაშიც ჩაწექი, მეტი რა უნდა ქნა?!

- ჰო, ჩავწექი...

- ახალი პროდიუსერი მოგწონს?

- კი, ერთად კარგად ვმუშაობთ.

- ახალ რუბრიკებს აპირებთ?

- მინდა შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელს ვთხოვო კიდევ უფრო ჩაერთონ შოუბიზნესის ცხოვრებაში. თვითონაც წუწუნებენ არ არსებობს შოუბიზნესიო და ყველამ თუ ცალ-ცალკე არ წაახმარა ხელი, მე მგონი არაფერი გამოვა.

დათო იმედაშვილი: „ვთვლი, რომ თიკო ძალიან მაგარი წამყვანია და ძალიან უხდება ამ გადაცემას. მე ბევრი ვეცადე, რომ „თბილისი ლაივი“ აღდგენილიყო“

გიგა ბატკუაშვილთან „მეგობრობის“ გამო მერსის ემუქრებიან

მერსი: „ზედმეტი რომ მოსვლოდა, ნამდვილად შეიძლებოდა მეოთხე სართულიდან ფრენით გადამეშვა“



„ფორტუნა პლიუსის“ დიჯეის, გიგა ბატკუაშვილის გამო გუშინ გოგონებმა ერთმანეთს დასცხეს. მუსიკალური წამყვანის ფანმა „მიუზიკ ბოქსის“ ეპატაჟურ მოდის ჟურნალისტზე, მერსი სულხანიშვილზე იეჭვიანა. ნატა გოდერძიშვილი სამი წელია გიგას მსმენელია, რადიოში საჩუქრებით ადგება და სიყვარულს უხსნის, დიჯეიზე აფანატებს. გიგას მანქანების ყიდვას და მდიდრულ ცხოვრებას ჰპირდება. უფრო მეტიც - მოტაცებით ემუქრება! 24 წლის ნატას თავისი სილამაზის სალონი ჰქონია. მან ჩვენ ზარს ჯერ უპასუხა, მერე კი თემის გაგებისთანავე ტელეფონი გათიშა. მერსის ფართე საზოგადოება „პროფილში“ მისული გამჭვირვალე ზედით იცნობს. „მიუზიკბოქსზე“ მოდაზე მიჰყავს გადაცემა. ამბობს, რომ რადიოში გიგა აბეზარი ფანის შემოტევისგან დაიცვა. რაც შეეხება მისი და გიგას ურთიერთობას, ეს არც ერთ მათგანს არ დაუკონკრეტებია, ვმეგობრობთო, ამბობენ, თუმცა ამ სიტყვის მიღმა უცნაურად ეცინებათ. მერსიმ „ფეისბუქის“ გვერდზე ნატას გამოგზავნილი მუქარის მესიჯები გამოაქვეყნა. უცენზურო სიტყვების კორიანტელის გამოკლებით გთავაზობთ ამ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მცირე ამონარიდს.

ნატა გოდერძიშვილი: „არ დაგინახო გიგას საეთეროში. ძუკნა, ახლა კარგად დაიმახსოვრე, ან მე და გიგას თავს გვანებებ, ან შენი პორნო ფოტოები მარტო პორნო საიტებზე კი არა, თბილისის ქუჩებში გამოჩნდება. მალე გიგა ჩემი ქმარი იქნება, დაგანახებ. გაგანადგურებ, არ დაგინდობ“.

ნატა გოდერძიშვილი: „ან მე და გიგას თავს გვანებებ, ან შენი პორნო ფოტოები მარტო პორნო საიტებზე კი არა, თბილისის ქუჩებში გამოჩნდება“

გიგა ბატკუაშვილი: - რა გითხრათ ამ ფაქტზე, მეცინება... მე კარგი ურთიერთობა მაქვს ნატასთან, ჩემი ერთგული მსმენელია. ყოველთვის „მიპადიეზდებს“ როდის ვარ რადიოში და ამოდის საჩუქრებით, ბევრი ტიპის ადამიანთან მიწევს ურთიერთობა. კარგად მესმის ყველასი. მეცინება, ძალიან სასაცილო სიტუაციაა. ასე მოხდა ჩვენთან, ჰოლდინგში.

მერსი სულხანიშვილი: - მე როგორც მივხვდი, ეს ქალი გიჟია, წლებია აკითხავს გიგას. ორჯერ შევესწარი მის მოსვლას და ეჭვი გაუჩნდა, რომ მე და გიგა ერთად ვიყავით. გამწარდა და მე გიგა მიყვარსო, დამიწყო ყვირილი.

- რაზე შეატყო, რომ ერთად ხართ?

- ეტყობა შეატყო. გიჟი თავისუფალია, მოგეხსენებათ. ჩემი პირადი ნომერი გაიგო და მუქარის წერილები მომივიდა.

- გიგასთან მხოლოდ მეგობრობა გაკავშირებს?

- ვმეგობრობთ. ნატამ ჩათვალა, რომ შეყვარებულები ვართ. აგრესია გამოხატა, შეეშვი გიგასო. კიდევ ზედმეტი რომ მოსვლოდა, ნამდვილად შეიძლებოდა მეოთხე სართულიდან ფრენით გადამეშვა.

- მის მესიჯებზე რას იტყვი? მუქარის გეშინია?

- მეცინება. ეს ჩემი თამამი გლამურული ფოტოსესია ისედაც ნანახი აქვთ. ამით სიახლეს ვერავის ეტყვის, ეპატაჟით რომ გამოვირჩევი, ესეც ყველამ იცის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკოლოზ რაჭველი კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ საჯაროდ ილაშქრებს

„ცდილობენ მივიღო რადიკალური გადაწყვეტილება საქართველოსა და მუსიკალური ცენტრის დატოვებაზე“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

ნიკოლოზ რაჭველმა „ფეისბუქზე“ სტატუსი დადო: „ძალიან ვცდილობ დავიცვა ტაქტი და ისედაც მრავალი უარყოფითი ემოციით დამუხტულ საზოგადოებას არ მოვახვიო თავს კულტურის სამინისტროს ქმედებებიდან გამომდინარე ჩემი უსაზღვრო სასოწარკვეთილება, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?! როგორც ჩანს, ყველანაირად ცდილობენ მივიღო რადიკალური გადაწყვეტილება, სადაც მაქვს არჩევანი ორ ვარიანტს შორის: ან საქართველოსა და მუსიკალური ცენტრის დატოვება ან უკომპრომისო ბრძოლა უმეცრების, არაპროფესიონალიზმისა და ბოროტების წინააღმდეგ! ამ არჩევანის ზღვარზე ვარ... სამწუხაროდ...“

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ახლა უკრაინაში იმყოფება. „პრაიმტაიმი“ ნიკოლოზს დაუკავშირდა და ამ განწყობის მიზეზზე ჰკითხა.

- ნიკა, რატომ გაქვს საქართველოდან წასვლის სურვილი?

- ეს გამოიწვია იმან, რომ მე წავიკითხე დათო მაღრაძის ინტერვიუს ამონარიდი და სრული პასუხისმგებლობით დავეთანხმე, უბრალოდ, დავამატე ჩემი გულისტკენა, რომელიც გამონვეულია მათი ქმედებებით...

მაღრაძე „საერთო გაზეთთან“ საუბარში კულტურის სამინისტროს მუშაობით უკმაყოფილებას გამოხატავს. „ხშირ შემთხვევაში კულტურის სამინისტროში მაღალი კვალიფიკაციის ხალხს დილეტანტებით ანაცვლებენ, რომლებიც დილეტანტურ გადაწყვეტილებებს იღებენ. ფინანსისტები და იურისტები მართავენ იმ სფეროს, რომელზეც ზერელე წარმოდგენაც კი არ აქვთ, რაც კრიტიკას ვერ უძლებს“, - აცხადებს დათო მაღრაძე.

ნიკოლოზ რაჭველი კულტურის სამინისტროს დაპირებული თანხის გამოყოფას სთხოვს. მანანა ბერიკაშვილი კი აცხადებს, რომ სამინისტრომ მაქსიმალური გააკეთა ნიკოლოზ რაჭველისა და მისი ორკესტრის დასახმარებლად.

ნიკოლოზ რაჭველი: - უკვე მეოთხე თვეა ამაოდ ველოდებით მათი დანაპირების შესრულებას და ჩვენი მუსიკალური ცენტრისთვის მათი გამოძებნილი თანხის გამოყოფას, სხვა კოლექტივების პირობებთან გათანაბრებისათვის, მაგრამ გარკვეული ბიუროკრატიული თუ სხვა მიზეზების გამო, დღემდე არ მოგვარებულა. 180 ადამიანი ელოდება მათ მოქმედებას და შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მათ სრულებით არ აღელვებთ ეს, არადა, მგონი, მათი პირდაპირი მოვალეობაა ჩვენზე (ორკესტრზე, კაპელაზე, თეატრებზე, მოცეკვავეებზე, მხატვრებზე, მწერლებზე, კინემატოგრაფისტებზე) ზრუნვა.

- კონკრეტულად რა თანხაზეა საუბარი?

- ეს არის თანხა, რომლის მოცემის შედეგად ჩვენი მუსიკოსების ხელფასები (ისიც ნაწილობრივ) უთანაბრდება სხვა ორკესტრების და გუნდების მუსიკოსების ხელფასებს. ჩვენ მუსიკოსთა უდიდეს უმრავლესობას 3-ჯერ ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე სხვა კოლექტივებს, ვინაიდან თავის დროზე მათ ფონდი „ქართუ“ ეხმარებოდათ ყოველთვიური სოლიდური სახელფასო დანამატით. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის დროს მათ ყველას მოუწია უარის თქმა ივანიშვილის ქველმოქმედებაზე, სანაცვლოდ კი სახელმწიფომ შეუვსო იგივე ოდენობით სახელფასო ფონდები მათ, ჩვენ კი, რადგან „ქართუ“ არასოდეს გვეხმარებოდა, არც უარის თქმა დაგვჭირდა და არც ხელფასები მოუმატებიათ. მთავრობის შეცლის პირველივე დღიდან ამ უსამართლობის აღმოფხვრას და დაფინანსების გათანაბრებას ვთხოვთ კულტურის სამინისტროს. პირველ წელს უარი გვითხრეს, მაგრამ მტკიცე გარანტია მოგვცეს, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებდნენ, წელს კი არ გაითვალისწინეს, პრაქტიკულად დაგვცინეს, რადგან ხელფასების მოსამატებლად მხოლოდ 100 ათასი ლარი დაგვიმატეს, რაც 30 ლარით ზრდის ხელფასებს მხოლოდ... ჩვენ ეს 100.000 ლარი მთლიანად კაპელას გავუნაწილეთ, რადგან მათი მუსიკოსების ხელფასები მიმდინარე წლამდე 200 ლარს შეადგენდა. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი გუნდის 200 ლარის პარალელურად ქვეყნის სხვა გუნდები (მაგალითად, ოპერის თეატრის გუნდი) 500 ლარით ფინანსდებოდა, ხოლო ჩვენს ორკესტრში თუ ხელფასები 300-500 ლარი იყო, სხვა ორკესტრებში საშუალოდ 600-1500 ლარი გახლდათ... ბუნებრივია, ჩვენს ცენტრშიც არიან ისეთი მუსიკოსები, ვისი ხელფასებიც საერთო სტანდარტს უთანაბრდება (რამდენიმე კონცერტმაისტერი), ისიც იმის გამო, რომ არ დაგვეკარგა და საქართველო არ დაეტოვებინათ, მათი ნაწილი საზღვარგარეთ სწავლის მერე შინ დავაბრუნეთ... მაგრამ მათი ხელფასის ოდენობა მაინც უფრო ნაკლებია, ვიდრე მაგალითად, მიმდინარე წლის საშტატო განრიგით ოპერის ორკესტრის ჩასაბერ საკრავთა კონცერტმაისტერებისათვის განკუთვნილი 2 300 ლარიანი ხელფასები... არ მინდოდა ეს საკითხი და განსაკუთრებით ფინანსური საკითხების განხილვა ფართო მსჯელობის საგანი გამხდარიყო, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას სასტიკად უჭირს, მაგრამ მე ვსაუბრობ უთანასწორობაზე, უსამართლობაზე და კიდევ უპატივცემულობაზე, რომელსაც ჩემი ისტორიული კოლექტივები არც თავისი ხარისხის, არც თავისი ისტორიის და არც თავისი სტატუსის გამო არ იმსახურებენ!!!

„არ მინდოდა ფინანსური საკითხების განხილვა ფართო მსჯელობის საგანი გამხდარიყო, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას სასტიკად უჭირს, მაგრამ მე ვსაუბრობ უთანასწორობაზე, უსამართლობაზე და კიდევ უპატივცემულობაზე, რომელსაც ჩემი ისტორიული კოლექტივები არც თავისი ხარისხის, არც თავისი ისტორიის და არც თავისი სტატუსის გამო არ იმსახურებენ!!!“

მანანა ბერიკაშვილი: - მან მიიღო დაფინანსება, ეს შემიძლია გითხრათ. ეს საკითხი მუშავდებოდა, დაპირება ამაო არ იყო, გავიდა მთავრობის სხდომაზეც, უკიდურესად გავიჭირვეთ და სახსრები გამოვყავით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კულტურის სამინისტრომ და პირადად მე მაქსიმალური გავაკეთეთ ნიკოლოზ რაჭველის და მისი ორკესტრის დასაფინანსებლად.

- ჩვენ მხოლოდ ასი ათასი ლარი მოგვცეს, რაც ხელფასებს მხოლოდ 30 ლარით ზრდის და დაგვცინესო, ნიკა ამბობს...

- კულტურის სამინისტროს რომ ჰქონდეს ისეთი ფინანსები, რომ მაქსიმალურად შევძლოთ გავზარდოთ დაფინანსება, არა მარტო ბატონი ნიკას, არამედ ყველა ორკესტრის (ყველა საჭიროებს) დაფინანსება, კარგი იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვინაიდან ეროვნულ ცენტრს პრობლემები ჰქონდა, ჩვენ დაფინანსება მას გავუზარდეთ. ახლა პრობლემა რაშია, ვერ ვხვდები.

მანანა ბერიკაშვილი: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კულტურის სამინისტრომ და პირადად მე მაქსიმალური გავაკეთეთ ნიკოლოზ რაჭველის და მისი ორკესტრის დასაფინანსებლად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვი

სალი კიპაროიძე

„ვფიქრობ, რომ ე.წ. ბიო ნარკოტიკი ჯანმრთელობისთვის საზიანოა და კარგს არაფერს იწვევს. თუ დავაკვირდებით, სინთეტიკური ნარკოტიკების ახალი სახეობები, რომლებიც უცბად გავრცელდა მსოფლიოში, ძირითადად იწარმოება ისეთ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი ნარკოპოლიტიკის გატარებას ცდილობს სახელმწიფო“

- როგორ დაახასიათებ ქართველ ხალხს. თვლი თუ არა, რომ ცოტა არ იყოს სტერეოტიპული ხალხი ვართ?

- ზოგადად ადამიანები ვართ, ცოტა არ იყოს, სტერეოტიპულები, არა მგონია, რომ ამ მხრივ ქართველები ზედმეტად გამოვირჩეოდეთ, უბრალოდ, ჩვენ ჩვენი სტერეოტიპები გვაქვს, სხვებს თავისი. ქართველები ვართ, ალბათ, ისეთები, როგორადაც გვაყალიბებს ის სტერეოტიპები, რომლებიც, თავის მხრივ, უყალიბდებათ ჩვენს აღმზრდელ თაობას, ანუ, სტერეოტიპები არ არის აბსოლუტური მუდმივა, ისიც იცვლება დროთა განმავლობაში, თუმცა ჩვენ, როგორც ძველ ხალხს, სტერეოტიპთა დიდი ნაწილი ძალიან ძველი გვაქვს. ჩვენს სტერეოტიპებს აყალიბებს ჩვენი გარემო, კლიმატი, ისტორია, ზღაპრები, რომლებსაც ბავშვობაში გვიყვებიან და ზოგადად, ის პირველი შთაბეჭდილებები, რასაც ვიღებთ დაბადებიდან ახლო პერიოდში. ვფიქრობ, მინათმოქმედი ნაცია ზოგადად ასეთია, როგორებიც ვართ ჩვენ, ღვინის კულტურა, წელიწადის ოთხივე დრო, რომელიც საქართველოში საკმაოდ კარგად აღიქმება გვაყალიბებს ასეთებად - ნიჭიერებად, ზარმაცებად, მრავალფეროვანი ინტერესების მქონეებად, მომთმენებად, ხარისხის დამფასებლებად. ის, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ენაზე, რომელიც ჩვენ გარდა დედამიწაზე არავის ესმის, გვიქმნის განსაკუთრებულობის განცდას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ცოტა გვკეტავს საკუთარ თავში, რადგან ინფორმაციის უზარმაზარი ნაწილი, რაც კაცობრიობამ შექმნა, ქართულ ენაზე, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მიუწვდომელია. შეიძლება ამის გამოცაა, რომ გვიყვარს გადაჭარბება - ყველაფერში, სხვანაირად ძნელად გვამჩნევს სამყარო. მაგალითად, ბირთვულ დერჟავას თუ არ ვეომეთ, ისე მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში ვერ ვხვდებით.

- როგორი დროშა შეეფერება, თქვენი აზრით, საქართველოს დღეს?

- დროშა რომელიც გვაქვს, აბსოლუტურად შეგვეფერება - კიდევ რამდენიმე ჯვარიც რომ ეხატოს დროშაზე, თავისუფლად აიტანდა. ეს დროშა და მასზე გამოსახული ხუთი ჯვარი მშვენიერი სიმბოლოა იმის, რომ ყველაფერში გვიყვარს გადაჭარბება, მათ შორის, რწმენის საკითხებშიც.

- ამ ბოლო დროს ხშირად ხდება ღმერთისა და რელიგიის ერთმანეთისაგან განყენება, შენ რა დამოკიდებულება გაქვს ამ საკითხის მიმართ და ზოგადად, რა არის შენთვის რწმენა?

- რწმენა და ღმერთი იწყება იქ, სადაც მთავრდება არგუმენტირებული და მათემატიკურად გამართული პასუხები კითხვებზე: რა არის სიცოცხლე და რა როლი გვაკისრია ადამიანებს ამ სამყაროში? რელიგია ბევრს ესმის, როგორც გარკვეულ რიტუალთა ტრადიციული თანმიმდევრობა, რომლის მექანიკური დაცვაც უზრუნველყოფს, რომ გარანტირებულად დავიბევოთ მარადიული ნეტარება. ვფიქრობ, ამ ფორმით რელიგია ცოტა დაძველდა - ის საყოველთაო აღტყინებისა და მასობრივი ექსტაზის გზით გამოწვეული ღმერთთან მიახლოებისა და ერთგვარი ფსიქოლოგიური თრობის განცდა, რასაც მასობრივი რელიგიური რიტუალები იწვევდა შუა საუკუნეების ადამიანში, დღეს იგივე გრძნობებს ვეღარ იწვევს - დღეს იგივე განცდებისთვის ახალგაზრდები ნარკოტიკულ საშუალებებს იყენებენ და ხმამაღალი მუსიკის ქვეშ კლუბებში ცეკვავენ, რადგან მასობრივი ექსტაზის განცდები აღარაა სულიერი ცხოვრების ნაწილი. ამიტომაც გახდა რწმენა უფრო ინდივიდუალური და პირადი საკითხი, სიცოცხლისა და ადამიანის არსზე კითხვებზე პასუხის მიღება მიკროფონით და ტრიბუნიდან აღარაა საინტერესო, გაცილებით სანდოა ამ თემებზე ვიწრო წრეში და მეგობრულ გარემოში საუბარი, ვფიქრობ, მოძღვარისა და მრევლის ურთიერთობაც ნელ-ნელა ამ ფორმატისკენ განვითარდება.

- შარშანდელნა 17-მა მაისმა საკმაოდ მძიმედ ჩაიარა, როგორია შენი დამოკიდებულება რუსთაველზე განვითარებული ამ მოვლენის მიმართ და როგორია შენი პროგნოზი, მალე ისევ მოვა 17 მაისი, რა მოხდება წელს?

- წელს, როგორც ვიცი, არაფერი არ მოხდება, რადგან ადამიანების ის ნაწილი, რომელიც შარშან ცდილობდა ამ თარიღის აღნიშვნას, უსაფრთხოების თვალსაზრისით, წელს აქტივობას აღარ აპირებს - ტაქტიკური მოსაზრებებით, ბუნებრივია, თუმცა სამოქალაქო განათლების ამაღლების თვალსაზრისით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ყველაფერი ამ ერთი დღით არ უნდა შემოიფარგლოს. შარშანდელი 17 მაისი ვფიქრობ, 21 საუკუნის საქართველოს ყველაზე სამარცხვინო დღე იყო. მართალია, გარკვეული რაოდენობის სამარცხვინო დღეების დაგროვება ამ 14 წელიწადშიც მოვასწარით, რაც პრინციპში ნორმალურია, რადგან ვცხოვრობდით ამ დროის მანძილზე - ვფიქრობ, 17 მაისი და აგრესიისა და სიბნელის ის მასშტაბი, რომელიც მომავალში აუცილებლად გადასალახ პრობლემად ამოიხატა ამ დღეს, ყველაზე საშიში და სამარცხვინო იყო. ძალიან მარტივადაა აქ საქმე - აბსოლუტურად ყველა ადამიანი თანასწორია და აქვს ზუსტად ერთნაირი უფლება, ჩაატაროს მანიფესტაცია, გადაადგილდეს თავისუფლად და უსაფრთხოდ და აკეთოს ის, რაც უნდა, კანონის ფარგლებში. თუ გვინდა, რომ სახელმწიფო გვერქვას, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ამ უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდეს ყველას, უმრავლესობასაც და უმცირესობასაც. კანონზე მაღლა ვერ უნდა დაგდეს ვერც ცალკე აღებული ერთი ადამიანი და ვერც ეგზალტირებული ბრბო.

- ბოლო დროს ასე გავრცელებულ, ინტერნეტ აგრესიის ფენომენზე რას გვეტყვი?

- ვფიქრობ, ტენდენცია კარგი და ჯანსაღია - სადღეგრძელოებში გამეფებული მლიქვნელობისა და ფარისევლობის გამო, ინტერნეტში ადამიანები ეძებენ თავისუფალ სივრცეს, რომ მართლა რასაც ფიქრობენ ერთმანეთზე, გამოხატონ. ერთგვარი აუტოფსიქოთერაპიაა, თუმცა, თუ რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად მეტად გახსნილები და თავისუფლები გავხდებით, არამარტო ინტერნეტში, ზოგადად ჩვენი აგრესიულობაც მოიკლებს, რაც ცუდი არ იქნება.

- შენი აზრით, რატომ ერკვევა საქართველოში განურჩევლად ყველა, სქესისა თუ ასაკისა პოლიტიკასა და ფეხბურთში?

- იმიტომ, რომ ღარიბი ქვეყანა ვართ - პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად თუ ვერ ერკვევა, აბსოლუტურად შეუძლებელი ხდება პირადი მომავლის საშუალო ხანგრძლივობის ვადით დაგეგმვა მაინც. ყველა პოლიტიკურ ცვლილებას, ამ ბოლო პერიოდში, იმხელა სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მოჰყვებოდა ხოლმე, რომ ძალიან მნიშვნელოვნად იცვლებოდა მთელი ქვეყნის საზოგადოების სოციალური ქსოვილი. ფეხბურთი კი, ზოგადად, ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლებისთვის საკუთარი თავის რეალიზების, რაღაც დიდის და ბრწყინვალეს მიღწევის, ოცნების ასრულების თითქმის ერთადერთი გზაა - მაგალითად, ბრაზილიაში ასე იყო ყოველთვის.

„ბევრნაირი იუმორი გვაქვს, მაგალითად, კახეთში სხვა იუმორია, გახსნილი, მზიანი, მსუყე და ხმამაღალი. იმერეთში უფრო გამოთლილი და მწარე, სხარტი იუმორია. გურიაში ძალიან შემოქმედებითი, პარადოქსის აღმოჩენაზე ორიენტირებული, ახალი კუთხით შეხედვაზე დამყარებული - მოკლედ, ქართული იუმორი საკმაოდ მრავალფეროვანია“

- ყოველ საღამოს გადავსებულ რესტორნებსა და ბარებში მსხდომ შოპაჰოლიკ, ბანკიდან ზღვა რაოდენობით კრედიტგამოტანილ საზოგადოებაზე როგორი წარმოდგენა გაქვს?

- ასეთ ხალხს ცუდი სიურპრიზები ელოდებათ ყოველი თვის გარკვეულ რიცხვში. ტრაგიკული ის არის, მათი დიდი უმრავლესობისთვის ეს მართლა სიურპრიზია ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ასგვერდიან კონტრაქტზე ხელი აქვთ მოწერილი.

- როგორი სიმთვრალე აქვთ მთვრალ ქართველ მამაკაცებს? ქალებს?

- ქართველ მამაკაცებს, ძალიან ბევრს აქვს ცუდი სიმთვრალე - ზოგადად სიმთვრალის ის ხარისხი, რასაც უამრავი რაოდენობის ალკოჰოლის მიღებით ესწრაფვის ჩვენი კაცების უმრავლესობა, აკარგვინებს კონტროლს საკუთარ ქმედებაზე და გზას უხსნის ყველა კომპლექსისა და ბოღმის დემონსტრირებას, რითაც უხვად ვართ დაჯილდოებულნი სიფხიზლეში ჭარბი ფარისევლობისა და თავშეკავების გამო. ქართველ ქალებსაც ზუსტად ისეთი სიმთვრალე აქვთ, როგორც კაცებს - როგორც ჩანს, ქალებსაც სიმთვრალის სტერეოტიპი კაცებისგან აქვთ აღებული და მათ ბაძავენ.

- რამდენად სწორად მიგაჩნია პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალების გასაჯაროება?

- ჩემს ახალგაზრდობაში ბირჟებზე ბიჭები მეტს კი არაფერს აკეთებდნენ, ეს იმდენად ქართულ-ხალხურ-ტრადიციული სპორტია, რომ აქ რჩევების გაცემა რთულია. იდეაში, მარტივადაა აქაც საქმე - ვისაც როგორ სიამოვნებს, ისე მოიქცეს.

- „კაი ბიჭი“- რა ასოციაციას იწვევს შენში დღეს, ბნელი 90-იანების ეს გადმონაშთი?

- მე ყოველთვის მათ მხარეს ვიყავი, ვისაც ე.წ. კაი ბიჭები არაკეთილშობილურად სიტყვით მოიხსენიებდნენ. სადღაც ოთხმოცდაათიანების დასაწყისში მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი პირიქით იყო - სწორედ ისინი იყვნენ სინამდვილეში კაი ბიჭები და „კაი ბიჭები“ იყვნენ მართლა „ისინი“.

- რითი განისაზღვრება დღეს პატიოსნება საქართველოში საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის და პირადად შენთვის რას ნიშნავს სიტყვა პატიოსნება?

- ვფიქრობ, რომ პატიოსანია ადამიანი, რომელიც იქცევა ზუსტად ისე, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ. პატიოსნება პრინციპულობასთან დგას ყველაზე ახლოს ჩემთვის. საზოგადოების უმეტესობა არ ვიცი ამ საკითხზე რა აზრისაა, ვეჭვობ, მათთვის პატიოსნების ძირითადი საზომი, ადამიანის სექსუალური ცხოვრების აქტივობის სტატისტიკაა - ესეც მხოლოდ ქალების შემთხვევაში, კაცებს პატიოსნება არც ამ თვალსაზრისით მოეთხოვებათ.

- რა დამოკიდებულება გაქვს ნარკოტიკული საშუალებების მიმართ და შენი აზრით, გამოიღებს თუ არა შედეგს მარიხუანას დეკრიმინალიზაცია, ე.წ. ბიომ უკვე საკმაოდ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა.

- ზოგადად ძალიან გადაჭარბებულია ე.წ. ბიოს მსხვერპლთა რაოდენობა. ყველა შემთხვევაზე, რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებოდა, ვცდილობდი მეტი ინფორმაცია მიმეღო და ზუსტად დამედგინა, რა მოხდა, შედეგად კი, სრული ინფორმაციის მიღების შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ის ფართო სპექტრი და კომბინაცია, რომელიც მსხვერპლს, ან დაზარალებულს ჰქონდა მიღებული, ართულებდა კონკრეტული მკვლელი ნარკოტიკის იდენტიფიცირებას. თუმცა, ვფიქრობ, რომ ე.წ. ბიო ნარკოტიკი ჯანმრთელობისთვის საზიანოა და კარგს არაფერს იწვევს. თუ დავაკვირდებით, სინთეტიკური ნარკოტიკების ახალი სახეობები, რომლებიც უცბად გავრცელდა მსოფლიოში, ძირითადად იწარმოება ისეთ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი ნარკოპოლიტიკის გატარებას ცდილობს სახელმწიფო. ზოგადად მსოფლიო ტენდენციაა ახლა ასეთი, რომ აკრძალვას და ბრძოლას ნაკლები შედეგი მოაქვს, ვიდრე ლიბერალურ მიდგომებს და სწორი განმარტებით პოლიტიკას ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ არსებობს შედარებით მსუბუქი ნარკოტიკები, რომლებიც არ იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას და ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულ საფრთხეებსაც არ შეიცავს. ბიოს საქართველოში ძირითადად სინთეტიკურ ნარკოტიკთა იმ სახეობას უწოდებენ, რომლებსაც მოწევის გზით მოიხმარენ. დარწმუნებული ვარ, რომ მისი მომხმარებლების უდიდესი უმრავლესობა მარიხუანას ჩანაცვლებას ცდილობს ამ ნარკოტიკით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მარიხუანას დეკრიმინალიზაციაც და უბრალოდ, მისი ხელმისაწვდომობის გონივრული გაზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიოს მომხმარებელთა რაოდენობას. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ნარკოტიკებთან - მე მარიხუანას მიმართ მაქვს გარკვეული ურთიერთობის გამოცდილება და მომწონს ის მდგომარეობა, რომელშიც ეს ნარკოტიკი მამყოფებს ხოლმე - თუმცა დამოკიდებულებას ამას ვერ დავარქმევ.

- აზარტულ თამაშებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს? შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ დღეს საქართველოში ე.წ. კაზინოების ბიზნესი ყვავის?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲣᲛᲘᲨᲐ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

„ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲝᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ... ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲓᲔᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲒᲖᲐᲚᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲑᲝ“

EXCLUSIVE

- აზარტული თამაშების მიმართ გულგრილი ვარ. ვფიქრობ, განსაკუთრებულად პოპულარული კაზინოები საქართველოში იმის გამოა, რომ გამდიდრების ადვილ გზას ხედავენ ამაში ადამიანები, თუმცა კი ცდებიან. გამდიდრების ბევრი ლეგიტიმური გზა თუ გვექნება ქვეყანაში - მაგალითად, თუ კარგად ისწავლი და არ იზარმაცებ, გარანტირებულად გამდიდრდები - ამ შემთხვევაში აზარტული თამაშების პოპულარობაც დაიკლებს.

- რა რჩევას მისცემდი ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ჯანსაღი კრიტიკა აღიზიანებს.

- გაუფრთხილდით საკუთარ ნერვულ სისტემას და დარჩით კარგ ხასიათზე - რა მნიშვნელობა აქვს კრიტიკა ჯანსაღია თუ არაჯანსაღი, გაღიზიანება და ცუდ ხასიათზე ყოფნა მხოლოდ თქვენ გვნებთ, და არა კრიტიკოსს.

- როგორი იუმორი გვაქვს ქართველებს და ყველაზე ხშირად რაზე გვეცინება ხოლმე?

- რთული კითხვაა. ბევრნაირი იუმორი გვაქვს, მაგალითად, კახეთში სხვა იუმორია, გახსნილი, მზიანი, მსუყე და ხმამაღალი. იმერეთში უფრო გამოთლილი და მწარე, სხარტი იუმორია. გურიაში ძალიან შემოქმედებითი, ახალი პარადოქსის აღმოჩენაზე ორიენტირებული, ახალი კუთხით შეხედვაზე დამყარებული - მოკლედ, ქართული იუმორი საკმაოდ მრავალფეროვანია. ყველაზე მეტად ალბათ, გვეცინება ისეთ თემებზე, რაც ახლობელია ჩვენთვის, რაც მეტად გვაწუხებს და რასაც განვიცდით - ეგ ყველგან ეგრეა.

- ქართველი ტაქსისტები, ალბათ, მაინც ყველასგან გამორჩეული მეგზურები არიან, როგორ დაახასიათებ მათ?

- ერთი კვირის წინ დავამთავრე სცენარის წერა ამ თემაზე, ახლა გადაღებები გვეწყება და 20 მაისიდან კინოთეატრებში იქნება ჩვენი მხატვრული ფილმი ტაქსის შესახებ. ამ ფილმშიც, ისევე როგორც ამ კითხვაზე პასუხში, აქცენტი მინდა გადავიტანო არა იმაზე, როგორი მეგზურები არიან ჩვენთვის ჩვენი ძმები, ტაქსისტები, არამედ იმაზე, როგორი მგზავრები ვართ მათთვის ჩვენ თვითონ, რადგან აქედან გამომდინარეობს ისიც, თუ როგორ გვმასპინძლობენ ისინი თავიანთ სამფლობელოში. მე მიყვარს ტაქსის მძღოლებთან საუბარი, განსაკუთრებით, თუ კომუნიკაბელური ადამიანი შემხვდა, მაგრამ ხანდახან თუ დაღლილია ხოლმე მძღოლი, ან ცუდ ხასიათზეა, მეც ვცდილობ ლაპარაკით თავი არ შევაწყინო. ვფიქრობ, ნებისმიერი ორი ადამიანის კომუნიკაციაში თუ რამე პრობლემაა, ეს შეუძლებელია, რომ მარტო ერთი მათგანის ბრალი იყოს. ტაქსისტები გვექცევიან ზუსტად ისე, როგორც მგზავრები ვექცევით მათ, ისევე როგორც რესტორანში მიმტანებიც და სხვა, სერვისის სფეროში დასაქმებული ადამიანები. ზოგადად რომ ვთქვა - რაც უფრო მეტი ურთიერთპატივისცემა და გახსნილობა იქნება ნებისმიერი ორი ადამიანის ურთიერთობაში, მით უფრო სასიამოვნო გახდება ეს ურთიერთობაც.

- გენატრება თუ არა 202 და მაშინდელი სიტუაცია, რა დადებითი თვისებები ჰქონდა ამ პერიოდს შენს ცხოვრებაში?

- ალბათ, ხანდახან მენატრება ის ურთიერთობები, რომლებიც იმ პერიოდში რამდენიმე ახლო მეგობართან მქონდა და ზოგ მათგანთან ახლა ისეთი ინტენსიური კონტაქტი აღარ მაქვს. საინტერესო დრო იყო, მეც საინტერესო ასაკში ვიყავი და ერთი ამოსუნთქვით გავიარეთ ეგ პერიოდი - ასეთი განცდა მაქვს ახლა. მთელი სულითა და გულით და სიამოვნებით საქმის კეთება, თან მეგობრებთან ერთად ძალიან სასიამოვნო იყო. ბედნიერი ვარ, რომ ახლაც იგივე სამუშაო გარემო, ცოტა უკეთესი პირობები და არანაკლები ენთუზიაზმი მაქვს.

- შენი პირველი სამსახური და ჰონორარი თუ გახსოვს?

- პირველი სამსახური მქონდა მეტალურგიის ინსტიტუტში, ვცდილობდით ჩამოგვესხა აკუმულატორების ტყვიის ფირფიტები, რისთვისაც ექვსი კილომეტრი კაბელიდან ტყვიის გარსი საკუთარი ხელით მაქვს შემორღვეული. მერე, სამწუხაროდ, მოულოდნელად რკინიგზის მინისტრი შეიცვალა, ახალმა ჩვენს საამქროს რკინიგზიდან ე.წ. ლევი დენის მონოდება შეგვინყვიტა, ისე დენი არ იყო, ჩვენი განზრახვა ბოლომდე ვერ განვახორციელეთ და იქ ჰონორარი არ მიმიღია. პირველი ჰონორარი მივიღე თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, ასორმოცდაათი ლარი გავინაწილეთ მე, ზვიომ, თანდარამ, გიგა ნასარიძემ და ირაკლი საღინაძემ. 30-30 ლარი შეგვხვდა და ღონისძიებიდან უნივერსიტეტის ბაღში, სადაც დალევით უნდა აღგვენიშნა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, ფეხით დავბრუნდით - მერე დაღლილებმა გავიაზრეთ, რომ ტაქსის ფული გვქონდა და შეგვეძლო არ გვეწვალა - მიუჩვეველები ვიყავით ფულის ქონას.

- დღეს ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ქართული სერიალის პროდიუსერი ხარ, როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა სერიალის ასეთი პოპულარობა? საზოგადოებას გული წყდება, რადგან მალე ჩემი ცოლის დაქალების ცხოვრებით დროს ველარ გაატარებენ, იგეგმება თუ არა რაიმე ახალი პროექტი?

- ვფიქრობ, ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით სწორი ძალისხმევის შედეგია, სწორი პროდიუსინგი სერიალის იდეის მოფიქრებისას დასაწყისში, გენიალური სცენარი, მაგარი რეჟისურა, მსახიობების კარგი თამაში, აღმასრულებელთა და ტექნიკური სტაფის თავდადებული შრომა და ჯამში მიიღება ხარისხიანი, რეიტინგული ტელეპროდუქტი. მეხუთე სეზონია, რაც „ჩემი ცოლის დაქალები“ მიმდინარეობს - ეს თავისთავად არის უკვე მნიშვნელოვანი მოვლენა და დღემდე ზუსტად ისეთივე ინტერესით ველოდებით ხოლმე მთელი სტაფი ახალ სერიას ეთერში, როგორც პირველ სერიას ველოდით წლების წინ. ალბათ, ამ დამოკიდებულებას გრძნობს მაყურებელიც, რომელიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფება ჩვენთან ინტერნეტის მეშვეობით და ვცდილობთ ეს ორმხრივი კონტაქტი არ დაგვეკარგოს, თუმცა, ვფიქრობთ, მუდმივად არაფერი გრძელდება და ჩვენც შევეცდებით მალე ახალი სერიალიც შევთავაზოთ ჩვენს მაყურებელს.

- დღეისათვის, ალბათ, საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმი გაქვს, როგორ ეგუებიან ამას შენი მეუღლე, მეგობრები და ოჯახის წევრები?

- შეძლებისდაგვარად ეგუებიან, ცდილობენ, თვითონაც დატვირთული დღის რეჟიმი ჰქონდეთ.

- პროფილში სტუმრობის დროს, ძალიან ბევრი კითხვა დააკავშირე დედასთან, რას ნიშნავს შენთვის დედის ფენომენი.

- ჩემი თაობის ბიჭები, ზოგადად დედიკოს ბიჭები ვართ. ჩვენ დედა გვიმონმებდა გაკვეთილებს, გვიმზადებდა საჭმელს, მოკლედ, ჩვენი აღზრდა ძირითადად დედის მოვალეობა იყო, ჩემ შემთხვევაში თან ეს განსაკუთრებულად იყო გამოკვეთილი და შესაბამისად, ვფიქრობ, ჩვენ თაობას დედა განსაკუთრებულად გვიყვარს, თუმცა ეს იმდენად დიადი და მძლავრი გრძნობაა ყველა თაობისთვის, რომ რაიმე განსაკუთრებულის და ახლის თქმა ამ თემაზე შეუძლებელია. მე ჩემი თაობისთვის საკმაოდ ადრეული ასაკიდან დავიწყე დამოუკიდებლად ცხოვრება, თუმცა მზრუნველი დედის ფენომენისგან ბოლომდე გათავისუფლება, რა თქმა უნდა, ვერც შევძელი და პრინციპში, ალბათ, არც იყო საჭირო.

- როგორი ბავშვი იყავი?

- ცელქი, დამოუკიდებელი და ინტერესიანი - მგონი ყველა ბავშვი ასეთია. კითხვა და ტელევიზორის ყურება მიყვარდა ძალიან, თუმცა ეზოში ჩასვლა და თანატოლებთან თამაშიც დღესასწაული იყო ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღე ხდებოდა.

- როგორც ვიცი ადრე დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდი, რამდენად ახერხებ ახლა მუსიკისთვის დროის დათმობას?

- ჯგუფ „რექვიემის“ დრამერი ვიყავი, ჰარდ-როკს ვუკრავდით მცირე პროფესიონალიზმით და დიდი მონდომებით. ახლა მე თვითონ ველარ ვუკრავ, თუმცა მუსიკის აქტიური მსმენელი ვარ და შიგადაშიგ პროდიუსინგის დონეზე რაღაცებს ვცდილობ - მაგალითად, ამ ეტაპზე ვმუშაობთ, რომ ჩვენი სერიალის ჯგუფი, „გამოუვალი მდგომარეობა“, შედგეს, როგორც კარგი და ხარისხიანი ლაივ-ბენდი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

- ერთ-ერთ ინტერვიუში გკითხეს ხარ თუ არა გურმანი, შენ კიდევ თქვი, რომ ღორმუცელა ხარ, თავად თუ გეხერხება გემრიელი საჭმელის მომზადება და პრეტენზიული მჭამელი თუ ხარ?

- პრეტენზიული მჭამელი არ ვარ - უბრალოდ, ვერ ვჭამ ცხიმიან და ქონიან საჭმელს. მე თვითონ შემიძლია რამდენიმე კერძის მომზადება, რომლებიც ძალიან მიყვარს - ძირითადად ასეთებია აჯაფსანდალი და ჩიჟი-პიჟი. გურმანებს ეს კერძები, როგორც წესი, არ უყვართ.

- შენი აზრით, რომელი კერძი ასახავს ყველაზე უკეთ ქართველი ერის სახეს?

- ჩაქაფული - ასე მაგრად რომ გაზაფხული მოყავდეს, დედამინაზე კერძი არ არსებობს.

- როგორ დაახასიათებ დღევანდელ ქართველ ჟურნალისტებს?

- დარწმუნებული ვარ, რომ მეტი შეგვიძლია - ახლა სწრაფი განვითარების დროა, არა მარტო ჟურნალისტიკაში, არამედ ყველა სფეროში.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მარიამ როინიშვილი - „ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეული არ ყოფილა. მე ეს ორი წლის წინ გადავიტანე“

my View
თამარ გონგაძე

მარიამ როინიშვილი „ტრავიატაზე“ ვნახე, კონსერვატორიაში, ოპერის დასის შესრულებით. კალთაში სამი წლის ელენე ეჯდა და დედა-შვილი სულგანაბული უსმენდა ვერდის გენიალურ მუსიკას. ვიოლეტას პარტიას მარიკა მაჩიტიძე ასრულებდა, ალფრედ ჟერმონს - ირაკლი მურჯიკნელი, ჟორჟ ჟერმონს - სულხან გველესიანი, ანინას - მანანა იორდანიშვილი. დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო გახლავთ. დიდი სიამოვნება მივიღე...

მარიამ როინიშვილი: -როგორც ველოდი ისე მიდის სპექტაკლი. დირიჟორმა მაღალი დონე აჩვენა, ორკესტრმა, სოლისტებმა, გუნდმა. ჩემი და ჩემი შვილის საყვარელი ოპერაა. ელენე სამი წლისაა და ზეპირად იცის. განსაკუთრებით მეორე აქტი უყვარს. ვერდის მუსიკა ხიბლავს. მინდა კარგი შემფასებელი იყოს და უყვარდეს მუსიკა.

თეონა დვალი: - ჩემი საყვარელი ოპერების სიაში „ტრავიატა“ პირველ ადგილას დგას. ემოციების გარეშე ვერ ვუსმენ. ვიოლეტა ბევრჯერ მიმღერია. საყვარელი პერსონაჟია შინაგანი ბრძოლები აქვს. მომწონს სპექტაკლი. ვუსურვებ მალე გახსნილიყოს ოპერის თეატრი.

- ლა სკალაში რომ გინდოდა სწავლა, შეიცვალე გეგმა?

- ჯერ რომში მინდა მასტერკლასზე წასვლა, მერე ვნახოთ. გეგმებზე წინასწარ აღარ ვილაპარაკებ. რაც ვთქვი, არ გამოვიდა. ამიტომ თავს შევიკავებ.

„თავგადაკლული მეგობრები ვერანაირად ვერ ვიქნებით, ცივილური ურთიერთობა გვაქვს, ჩვენს შორის ელენე დგას. გიორგი კარგი ადამიანია. ამიტომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა მექნება მასთან“

„ასე დავმალავ ყოველთვის ჩემს პირადს. ვისაც უნდა, ის ახერხებს დამალვას, ვისაც უნდა ამაზე ხმამაღლა საუბრობს“

- მარიამ, აქამდე როგორ დამალე ოჯახის დანგრევა?

- ასე დავმალავ ყოველთვის ჩემს პირადს. ვისაც უნდა, ის ახერხებს დამალვას, ვისაც უნდა ამაზე ხმამაღლა საუბრობს. არა მგონია, რომ ჩემი პირადი ცხოვრება მნიშვნელოვანი იყოს.

- თბილისში არ ცხოვრობ? აქ ხომ სხვისი პირადით ცხოვრობენ.

- კი, მაგრამ მაინც არ ველოდი ჩემი ცხოვრებით ასეთ დაინტერესებას. მე თვითონ ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდები. აქედან გამომდინარე - გამიკვირდა. ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეული არ ყოფილა. ეს ორი წლის წინ გადავიტანე.

- ახლა როგორ ხარ?

- ძალიან კარგად.

- მტკივნეული იყო?

- რა თქმა უნდა, ნებისმიერი ოჯახის დანგრევა ძალიან მტკივნეულია. არც ჩემთვის და არც გიორგისთვის ეს ფაქტი სასიხარულო არ ყოფილა, მაგრამ ასე მოხდა. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ.

- არ ვმეგობრობთო, გიორგი ამბობს.

- თავგადაკლული მეგობრები ვერანაირად ვერ ვიქნებით, ცივილური ურთიერთობა გვაქვს, ჩვენს შორის ელენე დგას. გიორგი კარგი ადამიანია. ამიტომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა მექნება.

- მესამეს ბრალი იყო შენი ოჯახის დანგრევა?

- არა, არ იყო. არც ვაპირებ მეტად ჩემს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს. ეს ჩემი და გიორგის პირადი ცხოვრებაა.

- პირადში ხომ არ გაქვს სიახლე?

- არა.

გიორგი მახარაშვილი ირი

my View
თამარ გონგაძე

გიორგი მახარაშვილზე მითხრეს - მექალთანეაო. გამიკვირდა, რადგანაც მე „ჯეოსტარიდან“ მახსოვდა სასაცილო გარეგნობის 16 წლის აქტიური ბიჭი და ასეთი გაქექილი როგორ გახდა-მეთქი. ჩვენი ინტერვიუც რომ ასე დაიწყო - „გოგოვ, გოგოვ შავთვალას“ ვმღეროდი ბაღშიო, ჩემამდე მოსული ხმები გამყარდა. დონ ჟუანი კაცში ან თავიდანვე ზის (ბაღის ასაკიდან), ან არ ზის. ხმაც საოცრად დაუბოხდა და მის ხასიათზეც მოახდინა გავლენა. დედა და და პიანისტი ჰყავს. კლასიკური მუსიკის სიყვარული უნებურად გაუჯდა.

„ირინა: „დიდი გოგო ვარ და მივხვდი, რომ აღარ უნდა შემრცხვეს და უნდა გამოვავლინო ჩემი ნიჭი. თავი განვაწყვე და მგონი გამომივიდა“

„ცოტა დავღვინდი“

გიორგი მახარაშვილი: -შოპენზე ვგიჟდები. ჩემს დას „შოპენისტკას“ ეძახდნენ. ბანძი ბავშვი ვიყავი, რომ წარმოვიდგინე ჩემი თავი როიალთან, გამიტყდა. მერე კიდევ გიტარაგადაკიდებულიც ვერ წარმოვიდგინე ჩემი თავი. მერე მოვედი აზრზე და ვისწავლე დაკვრა, ფორტეპიანოზეც და გიტარაზეც. ბოლოს მომინდა ყველაფერი. „ჯეოსტარზე“ რომ მივედი, გიტარაზე დაკვრა ორი თვის ნასწავლი მქონდა.

-სხვანაირი იყავი, სათვალიანი, ხუჭუჭა...

- ხუჭუჭა და სათვალე ახლაც მაქვს, მაგრამ გავიზარდე.

- ხმა დაგიბოხდა, გასუქდი.

- ხმაც შემეცვალა, გემოვნებაც დამეხვეწა, გავიზარდე. „ჯეოსტარში“ გამაღიზიანებელი ტემბრი მქონდა, წვრილი და სხვანაირად ვმღეროდი. საბედნიეროდ არსად დევს, მხოლოდ სახლში შემიძლია ჩანაწერს მოვუსმინო. 18 წლისას კი უკვე ასეთი ხმა მქონდა. კიდევ მიბოხდება. ყელის ტკივილი არ ვიცი რა არის, შესაბამისად - „არ დავლევ, არ მოვწევ“ და გაზიანის და ცივის არ დალევა ჩემთვის უცხოა.

- გინდა დაგიბოხდეს?

- დაბოხდეს...

- როგორ ხმას ეძახიან შენ ხმას?

- ხავერდოვანს, ხრინწიანს, ყველაფერს ეძახიან.

- ხმა ხასიათი მგონია და როგორი გაგხადა დაბოხებულმა ვოკალმა.

- იმასთან შედარებით, რაც ხუთი წლის წინ ვიყავი, ცოტა დავღვინდი. ბოლომდე, მე მგონია, რომ არასდროს დავღვინდები. არ მინდა, რად მინდა? ცოცხალი ადამიანი ვარ, ხმის დაბოხებასთან ერთად მუდრობა არ მინდა. „ახალ ხმაზე“ რომ გამოვედი, უკვე მსიამოვნებდა სიმღერაზე მუშაობა. სიმღერასაც სხვა დატვირთვა მივეცი.

ჩახლეჩილი ხმის და მანერის გამო თეონა კონტრიძემ „ჯო კოკერზე გაზრდილი“ მიწოდა, მაგრამ არ არის ასე. მე კლასიკაზე ვარ გაზრდილი. სულ კლასიკა მესმოდა, მთელი ბავშვობა. რაც არ უნდა მოვისმინო, ვიცი რა ნაწარმოებია. კონსერვატორიაში მარტო მიყვარს სიარული და კლასიკური მუსიკის მოსმენა. შეიძლება სხვა ტიპი ვჩანვარ, არავის ეგონოს, რომ კლასიკა მიყვარს.

კონკურსები

გიორგი კონკურსებზეა გადართული. ამბობს, რომ ყველა გავლილი კონკურსი და ეტაპი ზრდის და ხვენს.

„კოხტის თავიდან მოვსრიალებდი და მუსიკას ვუსმენდი რომ დამირეკეს - ირინა ონაშვილთან ერთად იმღერებ „ორ ვარსკვლავშიო“. გამწარებული მოვსრიალებდი, ვერ მივხვდი - რა „ორი ვარსკვლავი“, ან ირინა ონაშვილი ვინ არის და დაგირეკავთ-მეთქი, ტელეფონი გავთიშე.

- კონკურსების ტალღაზე ხარ?

- არაფრის კეთებას სჯობს. „ჯეოსტარის“ მერე ვიღაც გიორგი მახარაშვილი „ჯეოსტარელი გიორგი მახარაშვილი“ გახდა. მერე ნელ-ნელა მომინდა კიდევ და კიდევ გამოსვლა კონკურსებზე. გამოსვლისას არ ვღელავ ხოლმე, „ახალი ტალღის“ ლოგო რომ დავინახე, შიდა შესარჩევ კონკურსზე ავღელდი. მალე გამიარა. ჩემი და შოთა ადამაშვილის დუეტი „Falling Slowly“ ექსპრომტად ვიმღერე. მერე ბევრი სიმღერა მამღერეს. შექება რომ ნამოვიდა, სტიმული მომეცა. მელაძემ და რუმიანცევმა მითხრეს, ყოველთვის მინდოდა შენნაირი ხმა მქონოდაო. არც ერთ კონკურსში არავის არ ვეჯიბრები. ზუსტად ვიცი, ვიღაცას რომ შევეჯიბრო, არაფერი გამომივა. მინდა უკეთესი და უკეთესი გავხდე. არ გაგიტყდა, რომ დათო ფორჩხიძემ შენ არ გადაგიყვანაო მითხრეს. არაფერი არ გამტეხია. ხალხისთვის ვიმღერე. კონკურსია და არ ვბრაზდები. არც ერთი პროექტი არ მომიგია. რა პრობლემაა? „ორი ვარსკვლავიდან“ გავარდნა არ მინდა იმიტომ, რომ 24 საათი ერ-

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეფასება - რა ლამაზი ხარ, აღარ გიხარია“

ირინა ონაშვილი: „გიორგი „დავგუგლე“ მისი სიმაღლე დიდი ფაქტორი იყო, რატომაც ავარჩიე. ბიჭები მაღალი გოგოს გვერდით კომპლექსდებიან. გიორგი ამ შემთხვევაში თავისუფალია. ჩემი გათვლა იყო ისიც, რომ ვიცოდი გოგონები დაუმესიჯებდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნა ონაშვილმა კომერციული გათვლით აარჩია

„ჩახლეჩილი ხმის და მანერის გამო თეონა კონტრიძემ „ჯო კოკერზე გაზრდილი“ მიწოდა, მაგრამ არ არის ასე. მე კლასიკაზე ვარ გაზრდილი. სულ კლასიკა მესმოდა, მთელი ბავშვობა“

გიორგი მახარაშვილი: „ხმაც შეეცვალა, გეგოვნებაც დამეხვეწა, გავიზარდე. „ჯეოსტარში“ გაგაღიზიანებელი ტემბრი მქონდა, ნვრილი და სხვანაირად ვმღერიდი“

EXCLUSIVE

„და-ძმას გვეძახიან, თმებიც ერთნაირად გვაქვს“

გიორგი მახარაშვილი: „კოხტის თავიდან მოვსრიალებდი და მუსიკას ვუსმენდი, რომ დამირეკეს - ირინა ონაშვილთან ერთად იმღერებ „ორ ვარსკვლავშიო“. ვერ მივხვდი - რა „ორი ვარსკვლავი“, ან ირინა ონაშვილი ვინ არის, დაგირეკავთ-მეთქი და ტელეფონი გავთიშე“

თად ვართ, ყველანი ვმეგობრობთ.

- როგორ შეაფასებ საკუთარ შესრულებას?

- ყველა მეუბნება, გულით მღერიო. ჩემი მინუსი რაც არის, სცენაზე მოძრაობა არ შემიძლია. მიკროფონი შტატივზე მაქვს და ვმღერი. არ მიყვარს ცეკვა, ვიტანჯები ცეკვის ნომერი თუ მჭირდება. არ მანიჭებს სიამოვნებას. მოუქნელი და ტლანქი არ ვარ, წავედი გუდაურში, გადავიღე როგორ ვსრიალებ და ის, ვინც მეუბნებოდა ტლანქი ხარო, დარწმუნდა, რომ არ ვარ ტლანქი.

და-ძმა

თავის მეწყვილეს, ირინა ონაშვილს, აქამდე არ იცნობდა. აღმოჩნდა, რომ ირინამ აარჩია.

გიორგი: - ირინამ „ამომაიუთუბა“, ვიღაცებს უსმენდა და რა სიმაღლისაა, უკითხავს ჩემზე და მაღალიაო რომ უთხრეს, მეწყვილედ ამირჩია.

ირინა: „დავგუგლე“ :) რუსა მორჩილაძესთან ერთად განვიხილავდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი მეწყვილე. გიორგის სიმაღლე დიდი ფაქტორი იყო, რატომაც ავარჩიე. ბიჭები მაღალი გოგოს გვერდით კომპლექსდებიან. გიორგი ამ შემთხვევაში თავისუფალია.

როგორც ამბობენ, კონკურსანტები დიდ დროს ატარებენ ერთად, გადაღებაზე, ვახშმად, გასართობად...

ირინა: - სიმღერისას ბევრის თამაში რომ არ მოგიწიოს, შენ მეწყვილეს უნდა იცნობდე. მე და გიორგი მეგობრები გავხდით. და-ძმას გვეძახიან, თმებიც ერთნაირად გვაქვს, ასე შინაურულად ვართ.

გიორგი: - მე დედასაც ვეძახი. მაკონტროლებს, სახლში მალე მიდი, ხვალ ხმა არ გექნება, ტექსტი ისწავლე.

ირინა: - კონკურენციის მომენტი არ არის ჩვენთან. ნოეც ხშირად აღნიშნავს, „ორი ვარსკვლავი“ შოუებს შორის ერთადერთი გამონაკლისია, სადაც ასეთი უკონკურენტო გარემოა. შოუ მინდა, იჩხუბეთო, ხუმრობით გვემუქრება პროდიუსერი.

გიორგი: - თავიდან ორი კაცი მივდიოდით საქმელად და ბოლოს ისე აღმოჩნდა, რომ მთელი გუნდი მივედით სავახშმოდ. ნოე მიხვდა, რომ არ გამოვიდოდა ჩვენთან დაძაბულობა, კარგად ხართ და ასე იყავითო.

- „ჩორტის“ ჩაგდება უნდოდა?

ირინა: - არ გამოუვა ეგ. მე შოუთი კმაყოფილი ვარ. მომწონს ჩემი შეფასება. არ მეუბნებიან, რომ მხოლოდ ლამაზი ვარ.

- არც ამღერებულ მოდელებს შორის, ანუ შენსა და სალომე ღვინიაშვილს შორის არ არის კონკურენცია?

- არა, საერთოდ არა. ყველას უნდა ფინალისკენ წავიდეთ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეფასება - რა ლამაზი ხარ, აღარ გიხარია.

გიორგი მახარაშვილი: - სალომე ღვინიაშვილი ამბობდა, მინდა მითხრან, რა მახინჯი ხარ და რა კარგად მღერიო.

ირინა: - ამდენი შრომა და ენერგია რომ მიდის, გინდა კარგად შეგაფასონ - როგორ პროგრესირებო. აღარც სახლი გვახსოვს, აღარც ქმარ-შვილი. კონტრიძის შეფასება არ დამავიწყდება - შენ მართლა მოდელი ხარ? მკითხა და ვერ მივხვდი რას მოაყოლებდა. მომღერალივით მღერიო. გიორგის ტორტის ნაჭერი უწოდა...

- ირინა შეიცვალე, სახის რაიმე კორექცია ხომ არ გაგიკეთებია?

- არაფერი, გავხდი უბრალოდ. საერთოდ არაფრის კორექცია არ გამიკეთებია. მქონდა რაიმე გასაკეთებელი? კომპლიმენტია შენი მხრიდან? მართლა მაგარი ვიზაჟისტი გვყავს. დედაჩემს ვუყვებოდი, ისეთ მაკიაჟს გვიკეთებს, გვგონია პლასტიკურ ოპერაციას გვიკეთებს-მეთქი.

- მეუღლე როგორ ხვდება შენს ამღერებას?

- მეუღლე კი არა, არც მე მეგონა ასე კარგად თუ ვიმღერებდი. მეუღლეს ისე მოსწონს, გიჟს ჰგავს. სახლიდან მიყურებს, ასე ურჩევნია. არსად არ დამყვება არასდროს. რჩევებს მაძლევს, ძირითადად აღფრთოვანებულია. პროექტი მოსწონს და კარგადაა განწყობილი.

- თავიდან რომ უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა შოუს, რას ამბობდით?

გიორგი: - წერდნენ სტატუსებს, ძროხები დაყრუვდნენო. ახლა მიხვდნენ, რომ გასართობი შოუა. თუ ვინმე ყრუვდება, გადართონ. ამ შოუში ისინი მღერიან, ვისაც არასდროს უმღერია და რატომ აფასებენ ასეთი სტატუსებით?

- ლელა წუწუმიამ თქვა, ამ პროექტით დაიმსხვრა მითი, რომ ყველა ქართველი მღერის.

ირინა: - ეგ მითები ვინ შექმნა? პროექტის ორგანიზატორებისგან ვიცი, ძალიან გაუჭირდათ მოეძებნათ ცნობილი სახე, რომელიც კარგად მღერის. ისეთ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ცნობილი სახე თუ მღერის, ის ისედაც უკვე მომღერალია.

გიორგი: - „რა ცუდია, რა ცუდიაო“ და ყველაზე დიდი რეიტინგი ჩვენ გვაქვს.

ირინა: - კიდევ ერთხელ გადახვევითაც უყურებენ.

- ირინა, რატომ მოგინდა სიმღერა?

- „ჯეოსტარში“ რომ ვმღეროდი, დაკომპლექსებული ვიყავი. გავიზარდე, დიდი გოგო ვარ და მივხვდი, რომ აღარ უნდა შემრცხვეს გამოვავლინო ჩემი ნიჭი. თავი განვაწყვე და მგონი გამომივიდა. სიმღერა მიყვარს და ამიტომ ვმონაწილეობ. არც არავისთვის მიკითხავს. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ორი სეზონიდან მქონდა შემოთავაზება და დაუფიქრებლად ვთქვი უარი. არ მიყვარს ცეკვა.

გიორგი: - ერთნაირები ვართ, ცეკვა არც მე მიყვარს, ამიტომ ვართ და-ძმა.

- გიორგი მექალთანეოა, ასეა?

ირინა: - „ახალი ხმის“ დროს თაყვანისმცემლები შეიძინა, ბუნებრივია.

გიორგი: - მექალთანე ცუდი სიტყვაა, გოგონები მიყვარს. სულ შეყვარებული ვარ, ერთზე არა, ბევრზე.

- ამიტომაც ამბობენ მექალთანეაო.

ირინა: - გიორგი, მე მეგონა, ერთი იყო გამოკვეთილი.

გიორგი: - ამ ბოლო დროს ერთი გამოიკვეთა, მაგრამ ძალიან არა. არ ვასერიოზულებ. ნაღდად არ მინდა რაღაცაზე და ვიღაცაზე ვიყო დამოკიდებული. ისეთ ასაკში ვარ, ახლა რომ გავასერიოზულო არ მინდა.

- გოგონებისგან მოდის ინიციატივა?

- იმათგანაც მოდის, ჩემგანაც მიდის. ვუმღერი...

- ფანჯარასთან?

- ჩემი გოგოსთვის ფანჯარასთან არასდროს მიმღერია. მეგობრებს გავყოლივარ ხშირად და მიმღერია წყვილის შესარიგებლად, ჩემი მეგობრის მოსანონებლად.

- რა გაგიკეთებია გოგოსთვის თავის მოსაწონებლად?

- არაფერი.

- თავს არ იწუხებ?

- არ მიყვარს ასეთი რაღაცები. ვარ ის, რაც ვარ და მოსახიბვლად არაფერს ვაკეთებ.

- გულშემატკივრები გიმესიჯებენ, ბუნებრივია.

- ამესიჯებენ, ყურადღების ცენტრში ყოფნა მსიამოვნებს.

ირინა: - ამოყარე მესიჯები. ჩემი გათვლა ესეც იყო, გოგონები რომ დაუმესიჯებდნენ ამიტომ ავარჩიე გიორგი.

გიორგი: - ვიცოდი. „ახალი ხმის“ დროს დარჩათ თანხა ანგარიშზე და ახლა მიმესიჯებენ იმ თანხას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„X Factor“-ს საიმონ ქოუელი უერთდება - ექსკ

my View
თამარ გონგაძე

„X Factor“-ი - ეს არის ახალი ტიპის სანახაობა. სიახლეს, გართობას, ემოციების ფოიერვეკს, იმას, რასაც „რუსთავი 2“-დან ელოდებიან, ორშაბათიდან გვექნება“ - დაგვპირდა გიორგი ხაბურზანია, მეგაშოუს პროდიუსერი. ასეც იქნება და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ყველაზე გრანდიოზული მეგაშოუ იწყება. შოუს მნიშვნელობა უკვე საიმონ ქოუელის ხსნებამ შესძინა. როგორც გიორგი ხაბურზანიამ ექსკლუზიურად გაგვიმხილა, საიმონი შოუში გამოჩნდება.

საიმონ ქოუელი ქართულ „X Factor“-ში

გიორგი ხაბურზანია: - ჩვენს შოუში საიმონი გამოჩნდება, ჩვენთვის გამონაკლისი გააკეთა და სპეციალურად ქართული X Factor-თვის ვიდეოა გადაღებული. ჯერ არ ჩამოსულა ვიდეომასალა. თუ მოვასწარით პირველივე შოუში გავუშვებთ. მოკლედ, საიმონი გადაცემის შიგნით თავისებურად მიიღებს მონაწილეობას.

ეს თავისთავად ცოტა რამ ნამდვილად არ არის. ქართულ სატელევიზიო სივრცეში საიმონ ქოუელის გამოჩენა თავისთავად ძალიან რეიტინგულია.

თამთა გოდუაძე: „ისეთებიც მოიძებნებიან, ვინც ჩემ მიმართ სიმპათიით არ არიან განწყობილნი“

თამთა გოდუაძე თავისი ექსტრავაგანტური სტილით გამოირჩევა. იცვამს გამომწვევად, თუმცა სტილს იხდენს. ამბობს, რომ პოპშემსრულებელს განსხვავებული იმიჯი უნდა ჰქონდეს და ჩაცმაზე უნდა ზრუნავდეს. თამთა X Factor-ში სტეფანეს რეკომენდაციით მოხვდა. შოუს პროდიუსერებს მან შესთავაზა საბერძნეთში პოპულარული თამთას ჟიურიში დაჯდომა. „სტეფანეს მესიჯები დამხვდა, მერე გიორგიმაც დამირეკა და შევთანხმდით“. პირველი საკონკურსო ტურის ჩაწერისას მენეჯერი ჩამოჰყვა და თამთასთან მიახლოებული ყველა ჟურნალისტი გააკონტროლა, შემთხვევით ვინმეს პირად თემაზე არ დაესვა კითხვა თამთასთვის. საბერძნეთიდან ჩამოსული თამთაც თავის სიმაღლეზეა, სტეფანესგან და სოფო ტოროშელიძისგან განსხვავებით ვერ ნახავთ წარა-მარა ჟურნალისტებთან მოსაუბრეს. „პრაიმტაიმი“ შოუს მხარდამჭერია, მომღერალმაც ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვა.

- თამთა, დაგღალა ჩაწერებისთვის ჩამოფრენა გაფრენამ?

- ვიღლები, მაგრამ როგორც კი გამოვიძინებ, მერე ჩიტივით ვარ.

- ქალიშვილი არ გთხოვს წამოყოლას?

- ანი წელს აბარებს, 18 წლისაა, აბიტურიენტია და ვერ დამყვება თბილისში. ყოველ ზაფხულს ისედაც ჩამოდის. საქართველოს ჩემზე მეტად მონატრებული არ არის. სანამ „X ფაქტორი“ დამთავრდება, იმედია, მოახერხებს და რამდენიმე დღით ჩამოვა.

- ამხელა შვილი გყავს, ალბათ, დებივით ხართ, არა?

- რომ შემოგვხედავთ, დებივით ვართ, ურთიერთობაში კი დედა-შვილი ვართ. ჯერ დედა სჭირდება, მეგობრები ისედაც ბევრი ჰყავს. კარგი, გახსნილი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ დედა სჭირდება.

- მკაცრი დედა?

- ახლა უკვე აღარ ვარ მკაცრი. ადრე ვიყავი.

- თამთა, დიდი ხანია მღერი, სტატუსიც გაქვს, იმიჯიც. უკვე თავად ირჩევ კომპოზიტორს?

- არ მაქვს იმის ამბიცია, რომ მხოლოდ ცნობილი კომპოზიტორის სიმღერები შეავსრულო. ხშირ შემთხვევაში უცნობები მოიახლოვდებიან და მეუბნებიან, სიმღერა მაქვს დაწერილიო, მეც ვუსმენ. თუ მომეწონება, მერე ვწერ ხოლმე იმ სიმღერას და ვასრულებ. ანუ მაქვს ცნობილი კომპოზიტორის სიმღერებიც და ისეთი სიმღერებიც, რომელიც მისი ავტორისთვის პირველია. თუ სიმღერა არ მომწონს, ჩემი სტილი არ არის, ვიწუნებ. ეს კაპრიზი არ არის.

- როგორი იმიჯი გაქვს საბერძნეთში?

- მიჭირს ჩემს თავზე ლაპარაკი.

- ვიღაცამ ხომ უნდა გვითხრას, ყველაზე კარგი ვარიანტია, ეს პირველმა პირმა გააკეთოს.

- ხალხისგან დიდ სიყვარულს ვიღებ. თუმცა ისეთებიც მოიძებნებიან, ვინც ჩემ მიმართ სიმპათიით არ არიან განწყობილნი. ყოველ შემთხვევაში, მე ცუდი საბაბი არავისთვის მიმიცია. შეიძლება ვიღაცას სტილის გამო არ მოვწონდე, ეს მიღებული ფაქტია და დიდად არ მაღელვებს. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ჩემ ჩაცმაზე. ვთვლი, რომ პოპ მომღერალს ევალება განსხვავებულად გამოიყურებოდეს. მე სცენაზე სტატიკურად არ ვდგავარ. კარგად მესმის ისეთი რამის ჩაცმა, ყველას რომ მოეწონო, ადვილია, მაგრამ მე არ ვარ ასეთი. ბავშვობიდან ვცდილობ ისე ჩავიცვა, რომ ყველას არ ვგავდე.



- და ყურადღება მიიქცია?

- არ იყო ეს ყურადღების მისაქცევად გაკეთებული. ოფისში რომ ვმუშაობდე, ისე ჩაცმული ვერ მივიდოდი, როგორც მე მაცვია. ჩემი პროფესია და სამსახური მაძლევს საშუალებას გამოვხატო ჩემი სიყვარული ჩასაცმელის მიმართ. ფერების შეხამებას არ ვაქცევ ყურადღებას. თამამი შეხამება მიყვარს. იყო პერიოდი, თმააფუებული გაჩეჩილი ვიყავი, როცა ყველა თმაგასწორებული გამოდიოდა ტელევიზიით. ამაზე სტილისტი, დიზაინერი, მაკიაჟის ხელოსანი - ყველა ერთად ვმუშაობთ. კონკრეტულად არავინ მითითებს როგორ გამოვიყურებოდე.

- სინგლს ვუშვებო, პირველ ვიზიტზე გვითხარი.

- გამოვიდა სინგლი ინგლისურ ენაზე და ბერძნულ ენაზე, სხვადასხვა ტექსტებით. ინგლისურ ვერსიას ჰქვია „Always Broken“, ბერძნულს „შენთვის დავიბადე“.

- „ყოველთვის გატეხილი“ რატომ ჰქვია სიმღერას? გული გატკინეს?

- რასაც ვმღერი, ის არ ემთხვევა ჩემს ცხოვრებას. რთულია ასე რომ დაამთხვიო. ხან ემთხვევა, ხან - არა. ამ შემთხვევაში კონკრეტულს არ ემთხვევა.

- პირადზე ვისაუბროთ.

- პირადზე არ ვსაუბრობ. ძალიან კარგად ვარ. როცა მარტო ვარ, ძალიან კარგად ვარ. ყველა თავის არჩევანს აკეთებს. ჩემი არჩევანია ვიყო ისე, როგორც ვარ და ვარ ძალიან კარგად.

სტეფანე - „შვილზე მიჭირს ლაპარაკი“

სტეფანეს ქალიშვილი, სტეფანია მალე ექვსი წლის ხდება. მამა უკვე ფიქრობს, რომელ სკოლაში წავიდეს მისი ქალიშვილი. არჩევანს ორ სკოლას შორის აკეთებს. მომღერალი PrimeTimeNews-ს შვილზე ელაპარაკა.

- სტეფანიას სიმღერის ნიჭი აქვს?

- ყველა ბავშვს აქვს ნიჭი.

- შენ როგორ აფასებ საკუთარ შვილს?

- სიმღერის მხრივ ჰა და ჰა. ზოგადად ნიჭიერი კი ყველა ბავშვია.

- ფოტოებიდან ჩანს, რომ არტისტულია.

- შესაძლებელია არტისტულიც არის, შვილზე მიჭირს ლაპარაკი. მე იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომელიც შვილზე ბევრს ლაპარაკობს. სტეფანიათი ვამაყობ, მაგრამ

გიორგი ხაბურზანია: „ჩვენთვის გამონაკლისი გააკეთა და სპეციალურად ქართული X Factor-თვის ვიდეოა გადაღებული. თუ მოვასწარით პირველივე შოუში გავუშვებთ. მოკლედ, საიმონი გადაცემაში თავისებურად მიიღებს მონაწილეობას“

ჩემთვის, არა სახალხოდ. მე მისთვის კედელი ვარ.

- როგორი მამა ხარ?

- ნორმალური მამა ვარ. გრაფიკი მაქვს რთული და არამამური. შაბათ-კვირას ვცდილობ სადმე წავიყვანო. ამ კვირას კინოში მყავდა, „რიო“ ვნახეთ, 3დ ფორმატით. ბოლო ორ ბილეთს მივუსწარით და გაგვიხარდა. ზოოპარკში რამდენჯერ უნდა წავიდეთ? მით უმეტეს თბილისის ზოოპარკში. სასიამოვნო იქნებოდა ისეთი ზოოპარკი გვქონოდა, ფილმებში რომ გვინახავს, მინდორში ჟირაფერი რომ დადიან, მაგრამ რას ვიზამთ...

X factor-ს მანანა მორჩილაძე შეუერთდა

მანანა მორჩილაძე წელიწად-ნახევრის წინ მარინა ბერიძის გუნდს გაჰყვა „რუსთავი 2“-დან, როდესაც გაუგებრობა მოხდა ბერიძესა და გიორგი ხაბურზანიას შორის. ახლა გიორგიმ შესთავაზა მანანას შოუს მუსიკალური რედაქტორობა. ბოლოს „ჯეოსტარზე“ იმუშავეს. არხიდან წასული მთელი მუსიკალური რედაქციის შემდეგ „ჯეოსტარის“ ნაცვლად „საქართველოს ვარსკვლავი“ გაკეთდა, მარინა ბერიძე კი ახალი თაობის მომღერალმა - სოფო ტოროშელიძემ შეცვალა. სოფო არხის მუსიკალური ხელმძღვანელია. მარინა ბერიძე ამბობს, რომ მანანა მორჩილაძე მისი რეკომენდაციით მიიღეს.

მარინა ბერიძე: - დამეკითხნენ, ვინ შეიძლებოდა მუსიკალურ რედაქტორად მერჩია და მე რეკომენდაცია მანანა მორჩილაძეს გავუწიე. ის ერთ-ერთი სერიოზული პროფესიო-

მარინა ბერიძე: „დამეკითხნენ, ვინ შეიძლებოდა მუსიკალურ რედაქტორად მერჩია და მე რეკომენდაცია მანანა მორჩილაძეს გავუწიე. ის ერთ-ერთი სერიოზული პროფესიონალია და X factor-ს წაადგება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამთა გოდუაძე: „შეიძლება ვილაცას სტილის გამო არ მოვწონდე, მაგრამ ეს დიდად არ მაღელვებს“

EXCLUSIVE

ნალია და X factor-ს წაადგება. მე იმდენად მტკივა სიმღერის პრობლემა და ისეთი აღშფოთებული ვარ იმით, რაც ხდება, რომ მირჩევნია შოუ ფეხზე დადგეს. „რუსთავი 2“-ის გულშემატკივრად მე ისევ ვრჩები. იქ საკმაოდ დიდ პროფესიონალთა გუნდი მუშაობს. ეს პროექტი კრეატიული რომ იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

- გულისტკივილი აღარ გაქვთ „რუსთავი 2“-ზე?

- არა, მას შემდეგ იმდენ რამეზე მეტკინა გული, რომ მიმტევებელი გავხდი. მთავარია, იუმორს არ ვკარგავ.

მანანა მორჩილაძე: - არც ძალიან მოულოდნელი იყო შემოთავაზება და არც მოსალოდნელი. დაემთხვა, რომ არსად არ ვმუშაობდი, საინტერესო პროექტია და რატომაც არა.

- მარინა ბერიძესთან ერთად წახვედით და კონფლიქტი თქვენც შეგეხოთ?

- პირადად კონფლიქტი, ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან მქონდა. ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანები ვერ თანხმდებიან და რაღაც პერიოდი ჯობს ცალცალკე იყვნენ. ჩვენც ჩავთვალეთ, რომ ცალკე მოგვესინჯა ჩვენი თავი.

- აღდგა ძველი ურთიერთობა გიორგისთან?

- გიორგის კარგი ურთიერთობა ჰქონდა მარინასთან და ჩემთანაც. ეს არც განყვეტილა. რაც შეეხება პროექტს, ასეთ პროექტზე არ მიმუშავია, ახალია და როცა გიორგიმ შემომთავაზა, ძალიან დამაინტერესა. „იქს ფაქტორში“ გაერთიანებულია ჩემთვის საყვარელი პროექტების სპეციფიკა, ერთად მაინტერესებდა რა გამოვიდოდა. რაღაც პრინციპებია „ჯეოსტარიდანაც“, „საქართველოს ვარსკვლავიდანაც“, „ვოისის“ ელემენტებიც არის. სიმღერების არჩევისას სოფო ტოროშელიძეც იქნება ჩართული, ნინო მანჯგალაძეც, გიორგი ხაბურზანიაც.

ჟიურის წევრებიც, მათ ეხებათ თავისი კონკურსანტის რეპერტუარის არჩევა. ქართველ მაყურებელს აზარტული მუსიკალური შოუ ელოდება.

გიორგი ხაბურზანია: - მანანას ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ჩვენს შოუში, მუსიკალური რედაქტორია. ვიცი მანანას მუშაობის სტილი, მისი ტემპი და ენერგია, რომელიც გვჭირდება.

- ის მარინა ბერიძესთან ერთად ერთხელ წავიდა არხიდან, სკანდალით.

- მე და არც სხვა ვინმეს არ ჰქონია მანანასთან სკანდალი, ჩვენ ყველა გვიყვარს.

- კონკრეტულად რა დაევალება მანანას?

- კონკურსანტების მომზადება, სიმღერების სელექცია. რთული ეტაპი აწი იწყება. თავისუფალი დრო აღარ ექნება. ეს ჩვეულებრივი მუსიკალური კონკურსი არ არის, დამერწმუნეთ. ეს არის ახალი ტიპის სანახაობა.

სოფო ტოროშელიძე: „ხაში სახაშეშიც მიჭამია“

გამხდარი სოფო ტოროშელიძე ისეთი პურისმჭამელი გოგო აღმოჩნდა, მენიუს ჩამონათვალი გაგაოცებთ.

- გიყვარს გემრიელად ჭამა?

- კაცური საჭმელები მიყვარს, ხორციანი, ცხარე. „სალათის გოგო“ არ ვარ. მიყვარს „ოსტრი“, კუპატი, კუჭმაჭი, ჯიგრის ყაურმა, სოუზი, ჩახოხბილი, ხბოს ხორცის ჩაქაფული. ხაშიც მიყვარს.

- სახაშეში გიჭამია?

- ხაში სახაშეშიც მიჭამია და რესტორანშიც. მე მიმაჩნია, რომ დიეტები სისულელეა. ადამიანმა სწორად უნდა იკვებოს და ივარჯიშოს, შვიდი საათის მერე არ ჭამოს და ფორმაში იქნება. ამ წესების დაცვა სულ არ

გამომდის, რეჟიმის გამო შეიძლება მთელი დღე ვერ მოვახერხო ჭამა და სახლში მისულს სული წამძლევს და მაცივარს გამოვაღებ ხოლმე. სპორტული ცხოვრების რეჟიმიდან ამოვვარდი.

- ვარჯიშობ?

- სახლში მაქვს სარბენი ბილიკი, მაგრამ სახლში რომ ხედავ, უფრო გეზარება. რომ იცი სავარჯიშოდ უნდა წახვიდე, უფრო ინდომებ. ისევ უნდა დავიწყო ვარჯიში.

- ვინ გაცმევს?

- აკა ნანიტაშვილი ზრუნავს ჩემს ჩაცმულობაზე.

- სტეფანე „ახალი ხმის“ ჟიურისგან განსხვავდება?

- რა თქმა უნდა. ახლოს რომ გავიცანი, ბევრი განსხვავებული თვისება აღმოვაჩინე. მისი კრეატიულობა და თვითდაჯერებულობა მომწონს. არგუმენტირებულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რუჯის სეზონი იწყება!

სიშავე სიხამეამდე თუ კანის ლამაზი ფერი?

სალი კიპაროიძე

მზის სინათლე ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი სხივებისგან შედგება. ჩვენ კი ერთ-ერთ მათგანზე ყურებამდე ვართ შეყვარებულები, გვიყვარს ის, რაც უხდება ყველას, განურჩევლად სქესისა და სხვადასხვანაირი ვიზუალისა. გვიყვარს ულტრაიისფერი გამოსხივება, გამოსხივება, რომელიც ადამიანის ორგანიზმში იწვევს ისეთ ბიოლოგიურ პროცესებს, რომლებიც განაპირობებენ კანის პიგმენტაციას – რუჯს. გარუჯვის დროს სპეციალური უჯრედები, მელანოციტები, სითბური დარტყმის თავიდან ასაცილებლად, იწყებენ სპეციალური პიგმენტის მელანინის გამომუშავებას. სწორედ მელანინის რაოდენობა განსაზღვრავს რუჯის ფერს. ასე რომ, „ჯანმრთელი რუჯი“ არის კანის ბუნებრივი რეაქცია მზის სხივების ზემოქმედებაზე. თუმცა ადამიანის ორგანიზმზე მზის სხივების ზემოქმედება ორგვარია, ერთი მხრივ სასიკეთო სხივი, საზიანოც შეიძლება აღმოჩნდეს. მცირე დოზით ულტრაიისფერი სხივები ხელს უშლიან კიბოს უჯრედების წარმოქმნას და პირიქით, მზის აბაზანების ხანგრძლივი მიღება მათ წარმოქმნასა და განვითარებას იწვევს. არსებობს ცნება თუ დღის რომელ მონაკვეთში უნდა გავიდეთ მზეზე სანებივროდ, ყველამ ვიცით, რომ მზის გულზე ნებივრობა სისხამ დილიდან 12 საათამდე, შემდეგ კი 17 საათიდან მზის ჩასვლამდეა მიზანშეწონილი, თუმცა ყველაფერი მაინც კანის ინდივიდუალურ ტიპზეა დამოკიდებული. ზოგიერთები პლაჟზე ორი საათის ყოფნის შემდეგ სახლში თანაბარი, ზომიერი, მიმზიდველი რუჯით ბრუნდებიან, ზოგიერთისთვის კი მზეზე 15 წუთით ყოფნა სრული კრახით მთავრდება და სახლში „ბუნებრივი ჭარხლის ფერითა“ და კანზე წარმოქმნილი მრავალათასიანი ბუშტუკების არმიით ბრუნდებიან. აი გაზაფხულიც დადგა და გაუთავებელი ყინვების, წვიმების და ქარიშხლების შემყურე საზოგადოებას მზის გამოჩენა უკვე მე-8 საოცრებად ეჩვენება. თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ზაფხულში ხალხი გაცილებით უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ზამთარში. თუმცა ეს ფაქტი ხომ გასაკვირი არაა. წელიწადის ამ დროის მოახლოებისას, მთელი ქალაქი იწყებს დიეტას (იმვითად გამოდის ხოლმე, მაგრამ, რაც მთავარია, მცდელობები და სურვილი ამ პერიოდში მაინც გამძაფრებულად არსებობს). მოკლედ, იწყება „თავის მოვლისა და ვიდზე მოსვლის“ სეზონი, ასე რომ, სულ მალე არავისთვის გაკვირვებას არ წარმოადგენს შეზლონგებზე თუ მაღალსართულიანი სახლების სახურავებზე წამოგორებული თეთრი ფითქინა სხეულები. ზაფხულში ე.წ. ზაგრის არ ქონა ჩვენს ქალაქში „გოიმობის და ქაჯობის“ ტოლფასი გახდა. შესაბამისად, ყველა სხვადასხვანაირი მეთოდით ცდილობს, მაისის პირველი რიცხვებიდან, ჩვენამდე ძლივსძლივობით მოღწეული მზის სუსტი სხივები, ზედ კანზე დაისვას და ფერი უსიკვდილოდ შეიცვალოს. რუჯის მისაღები მეთოდები ზომიერებისა და ბუნებრიობის ფარგლებში, ადვილი გასაგები, მისაღები და ესთეტურად მიმზიდველია, თუმცა გასულ სეზონებს თუ გადავხედავთ ჩვენს ქვეყანაში სტერეოტიპებთან ერთად მომწიფდა ლეღვიც. წინა სეზონის ნიუსების უმრავლესობა დამწვრობის ცენტრში პანტაპუნტით მიყვანილ გადაბუგულ ადამიანებს ეძღვნებოდა. პანიკის მიუხედავად „ცეცხლწაკიდებული“ ადამიანების ნაკადი მაინც არ წყდებოდა. არადა, რა უცნაურია, ბავშვობაში მაინც, ალბათ, ყველას დაწვეთებია თითზე ლეღვის ფოთლის ყუნწიდან წამოსული რძე, რომელიც სიწითლეს, წვასა და საშინელ ქავილს იწვევს. ყველაფერი ამის ფონზე კი ცოტა წარმოუდგენელია როგორ უნდა მოხარშო ლეღვის ფოთლები, შემდეგ ტანზე გადაივლო და თაკარა მზეზე დაწვე. აღნიშნული ნახარშის გადავლების შემდეგ, თქვენი კანი ხდება მზის სხივების მიმართ ზედმეტად მგრძნობიარე, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ იბუგებით, ბოლი აგდით და იწვით. ნახარშში ამოვლებულმა ადამიანებმა სასურველი შედეგის მაგივრად საგზური საავადმყოფოში და მაღალი ხარისხის დამწვრობა მიიღეს. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს, თუმცა ჩვენ ხომ ყველაფერში გადაჭარბება გვჩვევია. გასაგებია, რომ „ზაგარი“ მზეზე ნაშრომი ღარიბი გლეხის ან ტრაილერის მძღოლის პროფესიულ დამღას აღარ წარმოადგენს და ქოლგებქვეშ შეფარებული და ფერუმარილით შეფიფქული თეთრი ქალების მოდაც წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ნუ გადავაყოლებთ ამ სილამაზეს ჩვენს ჯანმრთელობას, ნურც იმიტომ, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, სულაც არაა ლამაზი ალმოდებული კანი და ნარინჯისფერი რუჯი. შოკოლადისფერ სხეულზე მიმზიდველი, მადისაღმძვრელი და საამაყო ნამდვილად არაფერი არაა, თუმცა არც მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა მაინცდამაინც მოსაწონი. „უზაგროების“ დისკრიმინაცია ზაფხულში, რომელიც ამ ბოლო დროს ე.წ. უფულობის, უშვებულებობის, უგემოვნობისა და აქედან გამომდინარე გოიმობასთან ასოცირდება, ცოტა გაუგებარია.

ყველა ქვეყანაში გოგოების უმეტესობა ნამზეურს „ვემონებით“, სწორედ იმიტომ, რომ ფაქტია, ჯანმრთელ რუჯზე მეტად ზაფხულს არაფერი უხდება. ყველა ჩვენგანი გაგიჟებულა სიხარულით, როცა ვინმეს უთქვამს ჩვენთვის, „ძალიან მაგარი ზაგარი გაქვს“, ეს ფრაზა ხომ ერთიორად ზრდის თვითშეფასებასა და თავდაჯერების კოეფიციენტს, ასევე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაგვფუჭებია ხასიათი და შეგვშურებია იმის, ვისაც ჩვენზე მაგარი „ზაგარი“ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ქალის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მისი თეთრი „ფითქინა“ კანი ითვლებოდა, ახლა უკვე მოდაში კანის შოკოლადისფერად დაფერვაა. გარუჯვა მოდაში გასული საუკუნის დასაწყისიდან სულ შემთხვევით შემოვდა. 1920 წლის ზაფხულში ცნობილი ფრანგი დიზაინერი კოკო შანელი ფრანგულ რივიერაზე მზეზე იმაზე მეტი დროით აღმოჩნდა, ვიდრე გათვალისწინებული ჰქონდა, რის გამოც იგი სრულიად შემთხვევით გაირუჯა. როდესაც ფრანგული მოდის ფუძემდებელის ფიგურა მისმა თაყვანისმცემლებმა ფერშეცვლილი, მოყავისფრო კანით ნახეს, გადაწყვიტეს, რომ ეს მოდაშია. ამ ფაქტის შემდეგ ახალმა მოდამ მთელი მსოფლიო მოიცვა და მანამდე მხოლოდ დაბალი ფენისთვის დამახასიათებელმა ყავისფერმა ზედა ეშელონებში, არისტოკრატების კანზეც კი გადაინაცვლა.

ერთი სიტყვით, ნუ გაიღებთ სილამაზისთვის ისეთ მსხვერპლს, რომელიც სავარაუდო შედეგებით დასრულდება. უფრო მეტიც, დღეს მრავალი კოსმეტიკური სინთეზური საშუალება არსებობს, რომლებიც მზის უარყოფით მოქმედებას ან მისგან გამოწვეულ დისკომფორტს ამცირებს და ხელს უწყობს თქვენს კომფორტს მზის აბაზანების მიღებისას. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მზის გულზე არხეინად კოტრიალმა სილამაზის გარდა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემებიც გამოიწვიოს. ზომიერება აქაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან საჭირო დოზით, საჭირო საათებში მიღებული რუჯი აუმჯობესებს იმუნიტეტს და სისხლის მიმოქცევას უწყობს ხელს, ხოლო გადამეტებული დოზით მზეზე ყოფნა ორგანიზმში სერიოზულ დისბალანსს იწვევს.

P.S. გისურვებთ მშვიდობიან გარუჯვას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N14 (264) ორშაბათი, 14 აპრილი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ექსკლუზიური ინტერვიუ მიშა მშვილდაძესთან

exclusive

მიშა მშვილდაძე: „ვფიქრობ, რომ ე.წ. ბიო ნარკოტიკი ჯანმრთელობისთვის საზიანოა და კარგს არაფერს იწვევს“

თიკო სადუნიშვილი „გამჭვირვალე ზედის ჩაცმას არ ვაპირებ, ამიტომ თმის წითლად შეღებვა კარგი გამოსავალი იყო“

მარიამ როინიშვილი: „ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეული არ ყოფილა. მე ეს ორი წლის წინ გადავიტანე“

„ასე დავმალავ ყოველთვის ჩემს პირადს. ვისაც უნდა, ის ახერხებს დამალვას, ვისაც უნდა ამაზე ხმამაღლა საუბრობს“

SCANDAL

EXCLUSIVE

რუჯის სეზონი იხსნება!

სიშავე სიხამემდე თუ კანის ლამაზი ფერი?

ნიკოლოზ რაჭველი: „ცდილობენ მივიღო რადიკალური გადაწყვეტილება საქართველოსა და მუსიკალური ცენტრის დატოვებაზე“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება